# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 აპრილი **ოთხშაბათი** 2013
№083 (13 999) ფასი 80 თეთრი


## დღეს საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებია

15:00 დილა-ჩიხურა (0:3)
15:00 სიონი-ტორპედო (1:3)
16:00 სპარტაკი-მეტალურგი (0:1)
18:00 დინამო-გურია (0:0)



2

ექსკლუზიური ინტერვიუ დინამოს პრეზიდენტთან

## რომან ფიფია

# აქ დიდი სიბინძურე ტრიალებს!



- ფეხბურთელს მაქინაციებისთვის იჭერ, მერე უშვებ და საკუთარ კლუბში ასაქმებ – ყოველივე ამას განა რაიმე კომენტარი სჭირდება?
- ტოტალიზატორების პროგრამიდან მაინცდამაინც დილას მატჩების ამოღებას ფედერაციის მხრიდან ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს
- თუ ფედერაციამ სამართლიანი თამაშის პრინციპები ვერ დაიცვა, დინამო რადიკალურ ნაბიჯს გადადგამს
- საკადრო საკითხებში სხვებს ვენდე. ეს ჩემი სტრატეგიული შეცდომა იყო!

2

# MADE IN GERMANY

…და ხუთგოლიანი სეირი სტამბოლში





9







# იქნება ომი?

გუშინ იუვენტუსი პენალტებში ვარჯიშობდა… პსჟ-სთან მესის თამაში საეჭვოა

8

● საქართველოს თასი. საპასუხო მეოთხედფინალური მატჩების წინათქმა

10.04. თბილისი. დინამო არენა. 18:00
**დინამო (თბ)-გურია**
პირველი მატჩი 0:0

10.04. გორი. თ. [illegible]. 15:00
**დილა-ჩიხურა**
პირველი მატჩი 0:3

# მოვლენებს ნუ გავუსწრებთ...

**საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები 13 მარტს ჩატარდა და აი, თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ საპასუხო შეხვედრების დროც დადგა. მოკლედ, დღეს ოთხი ნახევარფინალისტი უნდა გამოვლინდეს, მერე, უახლოეს დღეებში ამ ნახევარფინალისტთა კენჭისყრა მოეწყობა, თასის ფინალი კი წლეულს 23 მაისს გაიმართება. თუმცა, ფინალამდე და ნახევარფინალამდე არანაკლებ საინტერესო საპასუხო მეოთხედფინალები გველოდება; თანაც, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამ ოთხიდან რომელიმე შეხვედრას ძირითადი დრო არ „ეყოს" და ზოგიერთ გუნდს დამატებითი ორი ტაიმის ჩატარებამ მოუწიოს, ანდა, სულაც პენალტების სერია ვიხილოთ!**

### დინამო (თბ) – გურია

საქართველოს თასის ცხრაგზის გამარჯვებული თბილისის „დინამო" ტიტულების რაოდენობით რეკორდსმენია; თუმცა ჩემპიონატისა არ იყოს, დინამოელები ამ ბოლო წლებში ვერც თასზე ყოჩაღობენ: წინა გათამაშებაში მერვედფინალში (!) გამოვარდნენ, იმის წინ — მეოთხედფინალში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი სრული მობილიზაციით უდგება დღევანდელ შეხვედრას: მით უფრო, რომ პირველი მატჩი ფრედ, 0:0 დაამთავრა. ერთი შეხედვით, წყვილის აშკარა ფავორიტად „დინამო" უნდა მივიჩნიოთ: **დუშან უჰრინის** გუნდს საკუთარ მოედანზე, ფაქტობრივად, 100-პროცენტიანი შედეგი აქვს (ჩემპიონატშიც და თასზეც) და საერთოდაც, ყველა წინა პირობაა შექმნილი „დუბლის" შესასრულებლად. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დინამოს" უკვე სამი წელიწადია, ნახევარფინალში არ უასპარეზია და ნავსის გატეხას დღეს შეეცდება. ისე, დღევანდელი მეტოქის ფაქტორს თავი რომ დავანებოთ, ისიც საინტერესოა, თუ როგორი იქნება უმაღლესი და პირველი ლიგის ლიდერების დაპირისპირება; ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტორზე, რომ 11-წლიანი პაუზის მერე თბილისში კვლავ ვიხილავთ „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" დაპირისპირებას! გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში (უფრო ზუსტად, პირველ და მეორე ეროვნულ ჩემპიონატში) თბილისის „დინამოს", ფაქტობრივად, ერთადერთი რეალური კონკურენტი ჰყავდა და ეს ლანჩხუთის „გურია" იყო. მართალია, იმ ორივე ჩემპიონატში „დინამომ" იმძლავრა, სამაგიეროდ, გურულები მუდამ იამაყებენ მართლაც დაუვიწყარი მიღწევით: საქართველოს თასის პირველი გათამაშების გამარჯვებული ხომ სწორედ ლანჩხუთის „გურია" გახდა!

...ამ გუნდების პირველმა დაპირისპირებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ლანჩხუთში არნახული ინტერესი გამოიწვია: ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონის ერთადერთი ტრიბუნა 4500 გულშემატკივარს იტევს და იქ ხომ ცარიელ ადგილს ვერ ნახავდით, ქომაგთა ნაწილი „ალტერნატიული ტერიტორიიდან" ადევნებდა თვალს იმ მართლაც უშელავათო პაექრობას. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ტოლი არ დაუდეს ძლიერ და სახელიან მეტოქეს: „დინამოს" 100-პროცენტიანი მომენტი, ფაქტობრივად, არც ჰქონია, მაშინ როცა სტუმრები ერთხელ... ძელმა გადაარჩინა, რამდენიმე ეპიზოდში კი — **გიორგი ლორიას** ჩინებულმა რეაქციამ!

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ეს მართლაც საფეხბურთო ზეიმი ახალდაგებულ მოედანზე ჩატარდა და როცა ლანჩხუთის სტადიონის სრული რეკონსტრუქცია დასრულდება, კიდევ ერთი გამორჩეული საფეხბურთო ნაგებობაც გვექნება. მოკლედ, ლანჩხუთელები „ყველანაირად" ემზადებიან უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად, თუმცა თასის გათამაშების „იგნორირებასაც" არ აპირებენ და მთელი სერიოზულობით ემზადებიან დღევანდელი მატჩისათვის. ეგ კი არა, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ დღეს სტუმრებს უფრო მეტი ქომაგი ჰყავდეთ: ჩვენი ინფორმაციით, ათასამდე გულშემატკივარი აპირებს ლანჩხუთიდან თბილისში ჩამოსვლასა და საყვარელი გუნდის მხარდაჭერა-გამხნევებას. მოკლედ, ერთობ დამაინტრიგებელი მატჩი გველოდება და იმედია, თბილისელი გულშემატკივარიც მიაშურებს „დინამო-არენას", სადაც, გვჯერა, რომ არავინ მოიწყენს!..

» მე-3 გვერდზე


ლანჩხუთის „გურია"-„დინამოს" მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა

● დინამო

# ექსკლუზივი

**სეზონი დასკვნით ფაზაში შედის და ვნებათაღელვაც მატულობს. საქართველოს ჩემპიონობისთვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს, „დინამოსა" და „დილას" შორის კონკურენცია დედაქალაქური კლუბის პრეზიდენტ რომან ფიფიასთან საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემაა, თუმცა ინტერვიუში სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც შევეხეთ - „დინამოს" პირველკაცთან სასაუბროდ თემები მრავლად დაგვიგროვდა. რომან ფიფიამ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე გვიმასპინძლა და საკმაოდ ხმამაღალი განცხადებებიც გააკეთა.**


რომან ფიფია

ფოტოები: fcdinamo.ge

# რომან ფიფია: დინამოს აღორძინება და პროგრესი ზოგიერთებს აღიზიანებთ

> ფეხბურთელს მაქინაციებისთვის იჭერ, მერე უშვებ და საკუთარ კლუბში ასაქმებ – ყოველივე ამას განა რაიმე კომენტარი სჭირდება?

**- „დინამოში" 2011 წლის იანვარში მიხვედით. მას შემდეგ კლუბში ბევრი რამ შეიცვალა, მრავლად დაგროვდა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მომენტები...**

- რა თქმა უნდა, იყო წარმატებებიც და შეცდომებიც. შეცდომების გარეშე ამ პერიოდის გავლა, ალბათ, წარმოუდგენელი იყო. გადაჭარბების გარეშე ვიტყოდი, რომ ყველაფერი ერთბაშად გაგვიხდა გასაკეთებელი – „დინამოსგან" მხოლოდ ლოგო და ტიტულები იყო დარჩენილი.

საწვრთნელი ბაზის რეკონსტრუქციამ დიდი დრო და ენერგია წაიღო. ასეთი საქმეები მხოლოდ ფულით არ კეთდება, ამას დიდი გული სჭირდება. კლუბის ხელმძღვანელობა, სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები და პერსონალი „დინამოს" ბაზას საკუთარ სახლად მიიჩნევენ, აქ თავს ყველანი ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ.

რასაკვირველია, გუნდის ჩამოყალიბებისას სერიოზული შეცდომები დავუშვით. ამას არავის გადავაბრალებ, რადგან პრეზიდენტი მე ვარ და ვალდებული ვიყავი, უფრო ფხიზლად ვყოფილიყავი. საკადრო საკითხებში სხვებს ვენდე. ეს ჩემი სტრატეგიული შეცდომა იყო, რაც გვიან აღმოვაჩინე.

ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ საკადრო საკითხები ჩვენთან უკეთაა დალაგებული. გვერდით პროფესიონალები მყავს – სანდრო შახოვი, ბუბა ტყავაძე, თქვენი კოლეგა გიგა გვენცაძე და სხვები.

დუშან უჰრინი „დინამოში" მაღალი დონის მწვრთნელი და შესანიშნავი პიროვნებაა. ასეთი მამის შვილი სხვანაირი ვერც იქნებოდა. მის პროფესიონალიზმში პირადად არაერთხელ დავრწმუნდი, თუმცა მწვრთნელი, უპირველეს ყოვლისა, შედეგით ფასდება.

**- საკლუბო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად, წინა სეზონში „დინამომ" ანტირეკორდი თქვენს ხელში დაამყარა – დარჩა საქართველოს ჩემპიონატის საპრიზო სამეულსა და ევროტურნირებს მიღმა.**

- ჩვენ მოვიწვიეთ მწვრთნელი, რომელსაც პირველ გუნდში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. ეს ჩემი შეცდომა იყო. მეტი დაკვირვება მმართებდა, მაგრამ ვენდე ადამიანებს. მე ნდობა მჩვევია. როცა ადამიანს შენთან ასაქმებ, მას უნდა ენდო კიდეც.

შევცდით ბევრ ფეხბურთელში, რომლებთანაც სამწლიანი კონტრაქტები გავაფორმეთ და ამის საფასურსაც მე ვიხდი.

რაც შეეხება ალექს გარსიას დათხოვნის ამბავს: მას ზამთრის შეკრების დაწყებამდე ორი კატეგორიული მოთხოვნა წავუყენე – უნდა აემაღლებინა დისციპლინა და მოეყვანა ფიზმომზადების მწვრთნელი. მან პრობლემების მოგვარების პირობა მომცა, მაგრამ როცა ესპანურ შეკრებაზე ჩავედი და გუნდში არსებული გარემო საკუთარი თვალით ვნახე, გარსიას გათავისუფლების გარდა, სხვა გზა აღარ მქონდა დარჩენილი. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ჩემი მენეჯერები ამ გადაწყვეტილებას ბოლომდე ეწინააღმდეგებოდნენ.

> საკადრო საკითხებში სხვებს ვენდე. ეს ჩემი სტრატეგიული შეცდომა იყო.

სამწუხაროდ, საქმეს თავი ვერც გიორგი დევდარიანმა გაართვა, რომელიც უნიჭიერესი მწვრთნელია, მაგრამ მას საქმიანობის თავისი სფერო აქვს და სწორედ იქ არის ძალიან წარმატებული.

**- ამჟამინდელი გუნდითა და საქართველოს ჩემპიონატის დონის გათვალისწინებით, შეგვიძლია გვქონდეს ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის იმედი?**

- მჯერა, რომ ამის რეალური შანსი გვაქვს. საამისოდ თავს არ დავზოგავთ, თუმცა, რა თქმა უნდა, გუნდის გაძლიერებაზე კიდევ ვიზრუნებთ.

„დინამო" ერთპიროვნული ლიდერია, უახლოეს მდევარს 4 ქულით ვუსწრებთ, მაგრამ ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას. პირდაპირ ვიტყვი, რომ აქ დიდი სიბინძურე ტრიალებს. თუნდაც „ზუგდიდის" მაგალითი ავიღოთ, რომელიც „ზესტაფონთან" თავს იკლავს, „დინამოს" და „ტორპედოს" შეაკვდება და გორის „დილასთან" დიდი ანგარიშით აგებს, თუ ფეხბურთის ფედერაციამ ეს არ ან ვერ ალკვეთა, თუ ფეხბურთის ფედერაციამ, რომელიც ჩემპიონატს ატარებს, სამართლიანი თამაშის პრინციპები ვერ დაიცვა, „დინამო" რადიკალურ ნაბიჯს გადადგამს.

ჩვენი ერთ-ერთი კონკურენტი „დილა" სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ისევე როგორც ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე „ზუგდიდი", „სიონი" და სხვა გუნდები. სასურველია მათ კერძო ინვესტორი ჰყავდეთ, მაგრამ თუ ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, თანაბარ პირობებში იყვნენ. სახელმწიფოს ხარჯზე არ უნდა ეძლეოდეს ერთ გუნდს 3 მილიონი, მეორეს კი მხოლოდ 600 ათასი. ასეთი დისბალანსი არაკონკურენტუნარიან გარემოს ქმნის. მაშინ ყველა 3 მილიონით დაფინანსდეს და ამით ჩემპიონატის დონეც ამაღლდება და გარიგებულ მატჩებზე საუბარიც ნაკლებად მოგვიწევს.

ფეხბურთელს მაქინაციებისთვის იჭერ, მერე უშვებ და საკუთარ კლუბში ასაქმებ – ყოველივე ამას განა რაიმე კომენტარი სჭირდება?

ძალიან კარგი თამაში გაიმართა ქუთაისში, სადაც „ტორპედოს" ვეთამაშეთ. სხვა საქმეა, დასანიშნი იყო თუ არა ჩვენს კარში პენალტი – ჩემი აზრით, არ იყო. ამას თავი გავანებოთ. მე მაინტერესებს – სად არის ლოგიკა იმაში, რომ ამ მატჩის მსაჯი ხეცაძე ბოლო ტურში და თასზე „დაასვენეს", ხოლო გვანცელაძემ, რომელმაც „დინამო"-„დილას" შეხვედრაში ჩვენი მეტოქის კარში აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა, მომდევნო ტურში ჩვეულებრივად იმსაჯა. მე ვინმეს დასჯის მომხრე კი არ ვარ, უბრალოდ, ასეთი ორმაგი სტანდარტები მაშფოთებს.

**- ფიქრობთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „დილას" ჩემპიონობა უნდა?**

- სამწუხაროდ, „დინამოს" აღორძინება და პროგრესი ზოგიერთებს აღიზიანებთ. ტოტალიზატორების პროგრამიდან მაინცდამაინც „დილას" მონაწილეობით საქართველოს ჩემპიონატისა თუ თასის მატჩების ამოღებას ფედერაციის მხრიდან ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს. სამწუხაროდ, ამ პრობლემებზე ხშირად გვიწევს საუბარი ფედერაციაში, 12-თა საბჭოზე, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

> - ფიქრობთ, რომ ფედერაციას „დილას" ჩემპიონობა უნდა?
> - სამწუხაროდ, „დინამოს" აღორძინება და პროგრესი ზოგიერთებს აღიზიანებთ.

**- გარიგებული მატჩების რაოდენობის შემცირებას ჩემპიონატის ფორმატიც უნდა უწყობდეს ხელს.**

- ექვსეულებად დაყოფას და მსგავს იდეებს იქნებ სჯობდეს ათგუნდიანი ჩემპიონატის ოთხ წრედ ჩატარება. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და საბოლოო გადაწყვეტილება ფედერაციამ და თორმეტთა საბჭომ ერთობლივად უნდა მიიღონ.

**- პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაერთიანებული ლიგის შესახებ რა აზრის ხართ?**

- მიმაჩნია, რომ კარგი აზრია. ვიცი, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით ფეხბურთის ფედერაციაშიც მიმდინარეობს მუშაობა მსგავსი მოდელის პროექტზე. ამ თემაზე ფედერაციას აქვს კონსულტაციები თორმეტთა საბჭოსთან და ვფიქრობ, ეს ქართული ფეხბურთის პროგრესს და პოპულარიზაციას ძალიან შეუწყობს ხელს.

**- ბოლო დროს „დინამოს" აღზრდილი ახალგაზრდები ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩანან. რა არის ამის მიზეზი?**

- სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ისინი საამისოდ მზად არ არიან. ზოგს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, ზოგს შენიშვნის მიღება არ შეუძლია... თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს წლებში „დინამოს" მამოძრავებელი ძალა სწორედ მისი აღზრდილები იქნებიან. ჩვენი აკადემიის ეფექტური მუშაობა ამის დიდ რწმენას მიჩენს.

ლეგიონერების სიმრავლე ჩვენი თვითმიზანი ნამდვილად არ არის. დუშანს უკვე ვუთხარი, რომ უცხოელების რიცხვს ნელ-ნელა შევამცირებთ და ვურჩიე, უფრო აქტიურად დააკვირდეს ქართველ ახალგაზრდებს. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ ევროთასებზე წარმატებას ჩამოყალიბებული ფეხბურთელი სჭირდება. ლეგიონერების ნაწილი სეზონის დასრულებისთანავე დაგვტოვებს, თუმცა ორი უცხოელის დამატებას მაინც ვგეგმავთ – გვინდა ერთი ფორვარდი და ერთი საყრდენი ნახევარმცველი.

> ვიცი, რომ აქ დიდი სიბინძურე ტრიალებს... თუ ფეხბურთის ფედერაციამ ეს არ, ან ვერ ალკვეთა, თუ ფეხბურთის ფედერაციამ, რომელიც ჩემპიონატს ატარებს, სამართლიანი თამაშის პრინციპები ვერ დაიცვა, „დინამო" რადიკალურ ნაბიჯს გადადგამს.

**- ჩისკოს მომავალი როგორი იქნება?**

- შესაძლოა, დარჩეს. პირადად ჩემი სურვილია, რომ დარჩეს.

**- ფედერაციამ რამდენიმე დღის წინათ გულშემატკივრებისადმი მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც მათ გარიგებული მატჩების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს.**

-ჩვენ ამ საკითხზე 12-თა საბჭოში ვიმსჯელეთ. ფედერაციამ პროკურატურას მიმართა და ვფიქრობ, სათანადო ნების არსებობის შემთხვევაში, ყველაფრის გამოძიება და დადგენა იქნება შესაძლებელი.

**გია ტუხაშვილი**
**ლევან ჯანეზაშვილი**


რომან ფიფია და „დინამოს" მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი



● საქართველოს თასი. საპასუხო მეოთხედფინალური მატჩების წინათქმა

10.04. გორი. მ. მესხი. 16:00
**სპარტაკი-მეტალურგი**
პირველი მატჩი 0:1

10.04. ტექნიკური ცენტრი ბასა. 15:00
**სიონი-ტორპედო**
პირველი მატჩი 1:3

# მოვლენებს ნუ გავუსწრებთ...

« მე-2 გვერდიდან

### სპარტაკი – მეტალურგი

კიდევ ერთი წყვილი, სადაც უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; თანაც, „გურიას" მსგავსად, ცხინვალის „სპარტაკიც" უმაღლეს ლიგაში აღზევების რეალური კანდიდატია და გამოცდილი სპეციალისტის, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი, როგორც ხედავთ, ჯერჯერობით ახერხებს ორივე „ფრონტზე" წარმატებულად ასპარეზობას. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს „სპარტაკს" ერთობ გაუჭირდება ზემოტივირებულ მეტოქესთან სასურველი ანგარიშით გამარჯვება. ჰო, რუსთაველებს ხომ ერთადერთი შანსიღა დარჩათ ევროტურნირებზე მოსახვედრად და ამ შანსს, სულ მცირე, ფინალში გასვლა „ჰქვია"! შორს წაგვიყვანს იმ მიზეზების ჩამოთვლა, რის გამოც „მეტალურგი" ამჟამად ქვედა ექვეულში ასპარეზობს; არადა, გუნდი დღესდღეობით ისეთ ფორმაშია, საპრიზო სამეულში მოსახვედრადაც იბრძოლებდა, მაგრამ **გიორგი ყიფიანის** შეგირდები სწორედ „თასზე გამავალი გზით" აპირებენ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას. სხვათა შორის, ბევრს ეგონა, რომ ქვედა ექვსეულის მატჩებს „მეტალურგი" „არასერიოზულად" მიუდგებოდა და „არანორმალურად" მოტივირებულ მეტოქეებსაც ქულებს ჩამოურიგებდა; თანაც, ვერც ვერავინ გაამტყუნებდა, იმისთანა „ალიბი" ექნებოდათ: „ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი თასის გათამაშებაა და ჩემპიონატი ამიტომაც აღარ გვაინტერესებსო"! საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და „მეტალურგი" FAIR PLAY-ს პრინციპების სრული დაცვით ხვდება დღევანდელ მატჩს...

### სიონი – ტორპედო

ბოლნისელები თასის ნახევარფინალში უკანასკნელად 6 წლის წინათ იყვნენ და ვეჭვობთ, რომ ეს შედეგი წლეულსაც გაიმეორონ. რა თქმა უნდა, სათასო გათამაშებას მართლაც განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს, მაგრამ „ტორპედო" რომ დღესდღეობით „სიონზე" უკეთესი გუნდია, ვფიქრობთ, ამაში ბევრი არ შემოგვედავება. არც ის არის პატარა ამბავი, რომ პირობითად „მასპინძლებს" ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ: სულ მცირე, 2 ბურთის სხვაობით უნდა დაამარცხონ გუნდი, ამ ბოლო დროს ჩინებულ ფორმაში რომ იმყოფება. შეგახსენებთ, რომ მოკლე პერიოდში **გია გეგუჩაძის** გუნდმა ჯერ „დინამოსთან", მერე კი „დილასთან" ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და იმის გარდა, რომ ჩემპიონატშიც წარმატებულად ასპარეზობს, თასზეც მაქსიმალური შედეგის ჩვენებას აპირებს. აი, „სიონს" კი აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვს: **არმაზ ჯელაძის** გუნდს ჩემპიონატში ურთულესი მატჩები დარჩა თავის უშუალო კონკურენტებთან; თუმცა, მაინც გვგონია, რომ გამოცდილი და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ცნობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „სიონი" მაინც შეძლებს და უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს.

### დილა – ჩიხურა

პირველი მეოთხედფინალური მატჩებიდან ყველაზე დიდი მოულოდნელობა საჩხერეში დაფიქსირდა: „ჩიხურამ" თასის მოქმედი მფლობელის, „დილას" კარში სამი უპასუხო ბურთი გაიტანა! თუმცა, როცა სტუმართა შემადგენლობას გავეცანით, ეს ყველაფერი მოულოდნელობად ველარ შეფასდებოდა: გორელთა ლიტველმა თავკაცმა **ვალდას ივანაუსკასმა** მოედანზე, ფაქტობრივად, მეორე გუნდი გამოიყვანა (**ირაკლი მაისურაძის, გოგიტა გოგუასა** და **ირაკლი მოდებაძის** გამოკლებით). ანუ, იმ თამაშის მერევე გაჩნდა ეჭვი, რომ „დილამ" ამ სეზონში პრიორიტეტად ჩემპიონატი არჩია, თორემ რა გარანტია აქვთ გორელებს, რომ გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე და არცთუ ურიგო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ჩიხურას" 3 ან მეტი ბურთის სხვაობით დაამარცხებენ? ვნახოთ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და დღევანდელ მატჩს დაველოდოთ; აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ სამიოდ დღეში ეს გუნდები კვლავაც უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ, ამჯერად უკვე ჩემპიონატში...

**გია ტუხაშვილი**

● პუბლიკაციის კვალდაკვალ

# გრიგალავა მოედანს მალე დაუბრუნდება

„ლელო" უკვე წერდა, თუ რატომ არ თამაშობს **გია გრიგალავა** რუსეთის პრემიერლიგაში. ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" 23 წლის მცველს თურქულ შეკრებაზე ყური ასტკივდა, პარალელურად, ვირუსი შეეყარა, ფეხის კუნთის ნერვის ანთება დაემართა, თავბრუსხვევები დაეწყო და სხეულის კოორდინაცია დაერღვა. ბოლოს კი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას მოძრაობაც უჭირდა.


გია გრიგალავა

მოთამაშე თბილისში განკურნეს და დაამშვიდეს, რომ ერთ თვეში ფეხზე დააყენებდნენ. საბედნიეროდ, ნაკრების მცველი უკვე განიკურნა, თუმცა, მოედანს მხოლოდ აპრილის ბოლოს თუ დაუბრუნდება.

„კრიზისი ჩავლილია, ახლა მკურნალობის კურსს „ვოლგას" ექიმის ზედამხედველობით გავდივარ. ჯერ სრული დატვირთვით ვერ ვვარჯიშობ, მაგრამ ინდივიდუალურად კი ვემზადები. იმედია, ჩემპიონატის დასრულებამდე გამოვჯანმრთელდები და რამდენიმე შეხვედრას მაინც ვითამაშებ. არადა, პირველ წრეში ძირითადში 19 შეხვედრა ჩავატარე და თამაში მომენატრა. უჩვეულო განცდაა, როდესაც შენიანებს გარედან უყურებ. ჩემთვის აუხსნელია, რატომ გვაქვს გასვლაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე ნიჟნი ნოვგოროდში. შესაძლოა იმიტომ, რომ „მეორე ნომრით" თამაში უფრო გვეხერხება" – ამბობს გრიგალავა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს თასის საპასუხო მატჩის წინ

### ზვიად მეტრეველი:

# ფრთხილად, შანსი გველოდება

დღეს თასის ნახევარფინალისტები გაირკვევა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზეც კარგი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს - პირველლიგელი ცხინვალის „სპარტაკი“ ქვედა ექვსეულის ბინადარს, რუსთავის „მეტალურგს“ დაუხვდება.

რუსთავში მასპინძლებმა 1:0 კი მოიგეს, მაგრამ ეს ისეთი ანგარიშია, საპასუხო შეხვედრისთვის დიდ უპირატესობას რომ არ იძლევა.

„სპარტაკმა“ მერვედფინალში უმაღლესლიგელი „ვიტ ჯორჯია“ დაამარცხა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არც „მეტალურგთან“ იქნება უშანსოდ.

„სპარტაკს“ ახალგაზრდების გარდა ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელიც ჰყავს, თუნდაც ზვიად მეტრეველი, 27 წლის თავდამსხმელი, ვისაც საკმაოდ ბევრი გადამწყვეტი გოლი გაუტანია როგორც „სპარტაკში“, ისე სხვა გუნდის შემადგენლობაში. მეტრეველს „დინამო თბილისშიც“ აქვს ნათამაშევი, ანუ საკმაოდ კვალიფიციური ფეხბურთელია.

მეტრეველმა პირველი ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 11 ბურთი შეაგდო, თასის მერვედფინალში „ვიტ ჯორჯიასაც“ გაუტანა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გუნდის წარმატებაში.

მეტრეველს გუშინ რამდენიმე კითხვა დავუსვით.



ზვიად მეტრეველი

**- „მეტალურგამდე“ თასზე „ვიტ ჯორჯიას“ შეხვდით - რუსთავულ გუნდთან უფრო გაგიჭირდათ თამაში?**

- „ვიტ ჯორჯიასა“ და „მეტალურგს“ შორის დიდი განსხვავება არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „მეტალურგი“ უფრო გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, გამოცდილება კი მოგეხსენებათ, ცოტას არ ნიშნავს. „მეტალურგთან“ საპასუხო შეხვედრას დიდი მოტივაციით ვხვდებით, ნახევარფინალში გასვლა „სპარტაკისთვის“ დიდი წარმატება იქნება.

**- მატჩის წინა დღეს შეკრებაზე არ გადასულხართ?**

- არა, ჩვეული რეჟიმით ვემზადებით, „სპარტაკში“ პროფესიონალი ფეხბურთელები თამაშობენ და მწვრთნელებიც გვენდობიან.

**- „სპარტაკი“ პირველლიგელი კი არის, თუმცა საშუასეზონო პერიოდში უცხოური შეკრებაც მოახერხეთ...**

- თურქეთში მართლაც ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ, კარგ გუნდებს ვეთამაშეთ, გვაინტერესებდა, რა დონეზე ვართ და მიმაჩნია, რომ თუ საქართველოში სწორად მიუდგებიან საქმეს, ევროპულ დონემდე დიდი მანძილი აღარ იქნება.

**- „მეტალურგთან“ დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. „ცხინვალს“ შეტევაში წასვლა მართებს, რადგან ნახევარფინალში გასასვლელად გოლის გატანა აუცილებლად გჭირდებათ - ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა იძულებული ხარ, შემტევი ფეხბურთი ითამაშო?**

- ცხადია, გოლი გასატანი გვაქვს, თუმცა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზეც უნდა ვიზრუნოთ, „მეტალურგმა“ თუ გაგვიტანა, ეს ძალიან უარყოფითად იმოქმედებს ჩვენზე. ვფიქრობ, ფრთხილად უნდა ვითამაშოთ და დაველოდოთ ჩვენს შანსს, რომელიც აუცილებლად იქნება.

**- „სპარტაკი“ საშინაო შეხვედრებს „ბენდელაზე“ ატარებს, „მეტალურგთან“ სათასო მატჩი კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება - ეს ინიციატივა „სპარტაკიდან“ წამოვიდა?**

- არა, ეს ჩვენი მოთხოვნა არ ყოფილა, გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კარგი მინდორია და ვეცდებით, კარგი ფეხბურთიც ვითამაშოთ. ჩვენს გუნდს აქვს იმის გამოცდილება, რომ პრინციპულ შეხვედრაში კარგ შედეგს მიაღწიოს.

**- თასის ნახევარფინალში როდესმე გითამაშია?**

- ჯერ არა და პირველად მაქვს ამის რეალური შანსი. „სპრტაკს“ ამ სეზონში მხოლოდ თასის გათამაშებიდან შეუძლია ევროსარბიელზე გასვლა და რა თქმა უნდა, ამას ყველანი ვითვალისწინებთ.

**- უმაღლესი ლიგის საგზური თითქმის მოპოვებული გაქვთ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირველი ლიგის თქვენ ზონაში ვინმე დაგეწიოთ. ის თუ არის გარკვეული, მომდევნო სეზონში რა დაფინანსება და მხარდაჭერა ექნება „სპარტაკს“?**

- ვეცდებით, რაც შეიძლება მალე გავინაღდოთ უმაღლესი ლიგის საგზური. რაც შეეხება მომდევნო სეზონს, ვითარება დამაიმედებელია, გვითხრეს, თუ უმაღლესში დავბრუნდებით, გუნდი ისე გაძლიერდება, რომ უმაღლეს ლიგაში ნამდვილად არ შევრცხვებითო. მანამდე კი არ უნდა მოვდუნდეთ, პირველი ლიგის დასრულებამდე ჯერ კიდევ ერთი წრეა დარჩენილი...

**დავით თავართქილაძე**

თვალსაზრისი

# კითხვა-პასუხის რეჟიმი

საქართველოს ჩემპიონატში გვეულებათ ისეთი ფეხბურთელი, რომლის სანახავადაც ხალხი სტადიონზე დადის?

შესაძლოა, სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, ახლახან როგორ დაუსვა კითხვა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა ჟურნალისტებს ტელეკომპანია „მზის“ პირდაპირ ეთერში, მაგრამ არსი ასეთი იყო.

ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ითქვას, რომ კითხვა მართლაც საინტერესოა. საერთოდ, კითხვებს იქით უსვამს ხოლმე ჟურნალისტი მწვრთნელს, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე.

მე მაინც მგონია, რომ ხალხი ქართულ სტადიონებზე ფეხბურთელების სანახავად უფრო დადის, ვიდრე მზესუმზირის საკნატუნოდ თუ სიგარეტის მოსაწევად, მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეული ინდივიდუალისტები ჩვენს ჩემპიონატში ცოტანი არიან.

„დინამო არენაზე“ ყველაზე უფრო **ჩისკო** უყვართ და არცთუ ბევრი გულშემატკივარიც იქ ალბათ მისთვის მიდის. ჩისკოც საქართველოს ნაკრებში თამაშზე ოცნებობს.

ქუთაისში განსაკუთრებულად უყვართ ფეხბურთი და ხალხიც იქ უფრო მეტი დადის სტადიონზე, ვიდრე თბილისში, ზესტაფონში თუ ბოლნისში.

**საბანაძე,** გოლი! „ტორპედოს“ თითქმის ყოველ საშინაო მატჩზე ისმის ეს შეძახილი.

ქეცბაია არ მინახავს პირველი ლიგის მატჩებზე, არადა საქართველოს ქვედა ლიგაშიც ჰყავთ გულშემატკივრებს თავიანთი ჯილა ფეხბურთელები.

„ზესტაფონში“ უწინდელივით ბევრი მაყურებელი არ დადის სტადიონზე, მაგრამ იქაც ფეხბურთელს მიჰყავს ქომაგი არენაზე. მერწმუნეთ, **თორნიკე აფციაურის** ერთი კარგად შესრულებული ტექნიკური ილეთიც კი ის მიზეზია, რომ ბევრს თუ არა, ცოტა მაყურებელს ნაღდად რომ მიიყვანს თამაშზე.

დღეს ისე აღარაა, როგორც ადრე - ამაში მართალია ნაკრების მწვრთნელი. **მალხაზ ასათიანი** რომ თამაშობდა „ტორპედოში“, მარტო მას შეეძლო ათასობით გულშემატკივრის მიზიდვა სტადიონზე ქუთაისშიც და სხვაგანაც.

როგორ გგონიათ, რატომ დადის ათასობით ქომაგი გორში „დილას“ საშინაო მატჩებზე? ფეხბურთელი ყველგან ფეხბურთელია, გულშემატკივარიც ყველგან გულშემატკივარია - გრავიტაციას ყველგან ერთი და იგივე ძალა იწვევს.

ნაკრების თამაშზეც მხოლოდ იმიტომ არ დადის გულშემატკივარი, რომ ეროვნული გუნდი თამაშობს. ინდივიდუალისტებს აქაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება უწევთ. საქართველოს ნაკრების ქომაგს **ალექსანდრე იაშვილი** უფრო მიიყვანს სტადიონზე, თუ **ირაკლი სირბილაძე**? საინტერესო იქნებოდა ამ კითხვაზე ქეცბაის პასუხი.



ჩისკო

ფეხბურთში ვითარება სწრაფად იცვლება. ქეცბაია და მისი შტაბი ეროვნული ჩემპიონატის უკვე ძალიან ბევრ თამაშს დაესწრნენ და აუცილებლად შეამჩნევდნენ, ქართულ სტადიონებზე მადლიერი გულშემატკივარი მისი საყვარელი გუნდის მწვრთნელის გვარს რომ ყვირის. საქართველოს ჩემპიონატში არიან ასეთი მწვრთნელები და ხალხიც მათი გაწვრთნილი გუნდის სანახავად დადის სტადიონზე...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

### დავით ოდიკაძე:

# ჩიხურას მეტი შეუძლია

თბილისის „დინამოსთან“ დამარცხებით “ჩიხურას” სატურნირო ცხრილში პოზიცია შეერყა: საჩხერელები 50 ქულით მესამიდან მეოთხე საფეხურზე ჩამოქვეითდნენ და ახლა ქუთაისის „ტორპედოსაც“ (51 ქულა) ჩამორჩებიან.

“ჩიხურას” ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ოდიკაძემ შეხვედრა გამოტოვა. წლების განმავლობაში, ოდიკაძე “დინამოს” ფორმით გამოდიოდა, იყო გუნდის კაპიტანი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. მაგრამ თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა სეზონის დაწყებამდე, შეკრების დასრულების შემდეგ ვეტერანი მოთამაშე გუნდიდან გაუშვა.



**- როგორც ვიცით, “დინამოსთან” თამაში იჯარის გამო გამოტოვე.**

- ასეა. როდესაც თბილისის “დინამომ” იჯარით გამიშვა, მაშინ გადაწყდა, რომ მის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ მქონდა. არადა, მსურდა დამემტკიცებინა, რომ ჩემი გაშვება შეცდომა იყო და ამას არ ვიმსახურებდი, მაგრამ რას ვიზამთ.

**- თქვენი აზრით, “დინამოსთან” მნიშვნელოვანი მატჩის წაგების მიზეზი მხოლოდ შესუსტებული შემადგენლობა იყო?**

- რა თქმა უნდა, ცხადია, ამან “ჩიხურას” თამაშსა და შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა. სხვადასხვა მიზეზით ექვსი ფეხბურთელი დაგვაკლდა – ჩემზე უკვე გითხარით, გიორგი რეხვიაშვილმაც “დინამოსთან” კონტრაქტის გამო ვერ ითამაშა. გუნდს ვერ დაეხმარნენ ედიკ საჯაია, დათო ბოლქვაძე, დათო დილმელაშვილი, ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი დათო კირკიტაძე და მათ ნაცვლად ბევრმა გამოუცდელმა ითამაშა.

ასეა თუ ისე, “დინამოს” გამარჯვებას ვულოცავ. ვაღიარებ, რომ გვაჯობეს და დამსახურებულადაც.

**- სამეულისთვის მებრძოლმა გუნდმა “დინამოსთან” თბილისში ორჯერ წააგო დიდი ანგარიშით: ჯერ 2:5, ახლა - 0:3. ეს გუნდებს შორის დიდ სხვაობაზე მიუთითებს.**

- მე კი მაინც მგონია, რომ “ჩიხურამ” შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. გუნდს გაცილებით მეტი რომ შეუძლია, ეს სეზონის მსვლელობის დროს გამოჩნდა. მაგრამ ჯერ დაკარგული არაფერია, მიზანი ევროსაგზურის მოპოვებაა და იმედია, საბოლოოდ, სასურველ შედეგს მაინც მივაღწევთ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში “ჩიხურას” გაძლიერება დასჭირდება.

**- თქვენ საქმე გაირთულეთ.**

- სხვა რა გზაა, დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმალური შედეგი უნდა ვაჩვენოთ.

**- “დინამოსთან” კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- სეზონის დამთავრებასთან ერთად.

**- მერე “ჩიხურაში” დარჩები თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებ?**

- საჩხერეში ისეთი კარგი გუნდი ჩამოყალიბდა, აქედან წასვლას არ ვაპირებ. მეორე მხარეა ფინანსები და სავარჯიშო პირობები – ამ კუთხითაც ყველა ის პირობა გვაქვს, თავი ფეხბურთელად რომ ვიგრძნოთ. მომავალი სეზონიდან კიდევ უკეთეს პირობებს გვპირდებიან და ვნახოთ. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, დღეს რაც მაქვს, ისიც მაკმაყოფილებს.

**- ტრადიციის გარეშე ლიდერებში დამკვიდრება ძნელია. “ჩიხურამ” ეს მოახერხა, მაგრამ არის კი გუნდში მეტი წინსვლის რესურსი?**

- რადგან “ჩიხურა” წლეულს გადმოვიდა უმაღლეს ლიგაში, სულაც არ ნიშნავს, რომ გუნდის წევრებიც გამოუცდელები ვართ. “ჩიხურას” შემადგენლობას რომ გადავხედოთ, ბევრი ფეხბურთელისთვის საქართველოს ჩემპიონობაც არ არის უცხო ამბავი. გამოცდილი მოთამაშეები კი გუნდისთვის ბევრს ნიშნავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

# გადაულახავი ბარიერი

**ფარერები-საქართველო 2:1**

**1:0 სევდალი (38), 1:1 ჭიჭინაძე (47), 2:1 სევდალი (73)**

საქართველო: ჭკუასელი, სუთიძე, პასიკაშვილი, ქველიძე, მალიძე (82. კვალიაშვილი), თოდაძე, მატვეევა, ჭიჭინაძე, ბაქრაძე (68. ჩემინავა), ტატუაშვილი, სხირტლაძე

*სათადარიგოები:* გულორდავა, ხუბულური, ბასილაძე, ზაქაიძე

მწვრთნელი: თ. სვანაძე

საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დასძლია. საამისოდ **თეიმურაზ სვანაძის** გუნდს ფარერელთა დამარცხება სჭირდებოდა, თუმცა როგორც ხედავთ, ჩვენი გოგონები თავად დამარცხდნენ.

შემდეგი რაუნდის საგზური ფარერებმა და ჩერნოგორიამ მოიპოვეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფარერები | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 2. ჩერნოგორია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 4. ლიტვა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი

# დარასელიას უიღბლო საშინაო დებიუტი

**გიორგი დარასელიამ** ხაბაროვსკის “სკა-ენერგიას” თავკაცის პოსტზე პირველი საშინაო მატჩი ჩაატარა და მოულოდნელად, ბელგოროდის “სალიუტთან” დიდი ანგარიშით, 0:3 დამარცხდა. ამაში თავისი როლი მასპინძელთა მეკარის გაძევებამაც ითამაშა.

**გიორგი ნავალოვსკიმ, ლაშა სალუქვაძემ** და **ოთარ მარცვალაძემ** “სკა-ენერგიას” შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო **შოთა გრიგალაშვილი** და **გოჩა ხოჯავა** მეორე ტაიმში შეცვალეს.

“სკა-ენერგია” რუსეთის პირველ დივიზიონში 42 ქულით მეოთხე ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეიოფში მონაწილეობის კარგი შანსი აქვს.

იმავე ლიგაში ნალჩიკის “სპარტაკმა” ასტრახანის “ვოლგარი” მიიღო და 3:1 სძლია. **დავით სირაძე** მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს. “სპარტაკსაც” 42 ქულა აქვს და პირველ დივიზიონში მესამე საფეხურზეა.

პოლონეთის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში **ლადო დვალიშვილის** “ლეგია” სტუმრად 0:0 დაუზავდა “რუხს”. ქართველმა თავდამსხმელმა მოედანზე მხოლოდ ბოლო ოთხი წუთი გაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იუნაიტედი-სიტი. გამოხმაურება

# პრესტიჟის მატჩი

## მანჩინი მომდევნო სეზონში ისევ ოქროს უმიზნებს

„მანჩესტერ სიტიმ" „ოლდ ტრეფორდზე" მოგებით გარკვეულწილად რეაბილიტაცია გაიარა. **რობერტო მანჩინის** გუნდმა პრინციპულ მეტოქეზე უკეთ ითამაშა და 3 ქულა ალალად დაიმსახურა. თამაშის ხასიათი ჩვეულებრივი იყო, როგორც ეს პრემიერლიგაში დერბის შეხვედრებს ახასიათებს. გუნდებმა თავიდანვე უარი თქვეს ერთი მტკაველი მიწის დათმობაზეც კი. ხისტი თამაში ერთია, მაგრამ, ყვითელი ბარათების სიმრავლის მიუხედავად, როგორც მაღალი კლასის გუნდებს შეჰფერის, უხეშობას ადგილი არ ჰქონია. სტუმართა უპირატესობა კი იყო გამოკვეთილი, მაგრამ 100%-იან საგოლე მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. მეორე ტაიმში ბრძოლამ და ტემპმა იმატა. „იუნაიტედმა" ის იყო, მცირე უპირატესობა მოიპოვა, რომ „სიტიმ" ანგარიში გახსნა. ყველაფერი **რაიან გიგზის** მიერ უდროო დროს დაკარგული ბურთის შემდეგ დაიწყო. უელსელის არაზუსტი გადაცემა **გარეთ ბარის** ფეხებში მოხვდა, ვინც წინ დაიძრა და **სამირ ნასრი** ცენტრში მონახა. ფრანგმა ოდნავ უკან **ჯეიმს მილნერს** დაუგორა, ვისი ძლიერი დარტყმაც **ფილ ჯონსს** შეეხო და ბადეში გაეხვია. „იუნაიტედმა" მალევე უპასუხა. **რობინ ვან პერსის** საჯარიმოს შემდეგ ჯონსის თავური **ვენსან კომპანის** ზურგში მოხვდა. ეს რომ არა, გოლი ნამდვილად არ გავიდოდა. მატჩს წერტილი **სერხიო აგუერომ** დაუსვა. არგენტინელს სამი „ეშმაკი" ფეხზე დააჯდა, მაგრამ მან მაინც მოახერხა და **დავიდ დე ხეას** ახლო მაღალ კუთხეში გაუტანა.

**მატჩის შემდგომ**

**რობერტო მანჩინი** (მანჩესტერ სიტი): *„ჩვენ შეგვიძლია მომდევნო სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლა, მაგრამ ამისთვის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები გვჭირდება. ამისთვის წინ 2-3 თვე გვაქვს. წელს „იუნაიტედმა" ტიტული აშკარად დაიმსახურა. ის ჩვენზე სტაბილურად თამაშობდა. ეს ფაქტია და ვერსად გავექცევით. უკანასკნელი მარცხი მას ნოემბერში ჰქონდა. ჩვენი წარუმატებლობის რაღაც წილი ნამყვანი ფეხბურთელების ტრავმების დამსახურებაა. გარკვეულწილად თავად ვართ დამნაშავენი, როცა ისეთ თამაშებს ვერ ვიგებდით, სადაც ულაპარაკოდ უნდა აგველო სამი ქულა. დღევანდელმა თამაშმა დაადასტურა, რომ არ ვიმსახურებთ ჩემპიონატში 15-ქულიან ჩამორჩენას. ეს გამარჯვება მეორე ადგილისთვის ბრძოლაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა მთავარია, დარჩენილ თამაშებშიც წარმატებით ვითამაშოთ. წინ ხომ კიდევ 7 შეხვედრა გველის."*

**ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *„ნორმალურად ვითამაშეთ. დროდადრო კი უბრალოდ კარგად გამოვიყურებოდით. ამ ფონზე განსაკუთრებით გულსატკენია ჩემპიონატში 18-თამაშიანი წაუგებელი სერიის შეწყვეტა და თანაც დერბიში, სადაც წარმატებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი უპირატესობით ვლიდერობთ, მაგრამ გუნდში არავინ ფიქრობს, რომ ეს ფორა საკმარისია და დანარჩენი ყველაფერი თავისით მოვა. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სტოკ სიტისთან" მომდევნო თამაშის მოგება.*

*უშუალოდ თამაშზე კი იმას ვიტყვი, რომ ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში პირველი გოლი, როგორც წესი, ძალიან ბევრს წყვეტს ხოლმე. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. არადა, მოედანზე კონტროლი უკვე დანესებული გვქონდა და თამაშის ლოგიკიდან გოლი ამოვარდნილი იყო. მეორე ბურთზე კი სერხიო აგუეროს მეტისმეტად დიდი სივრცე მივეცით დასარტყმელად, რითაც მან ისარგებლა კიდეც. სერხიოს შეტევების დასრულება ხომ ისედაც მშვენივრად ეხერხება".*



ალექს ფერგიუსონმა რობერტო მანჩინისთან ორშაბათის ბრძოლა წააგო, მაგრამ ომი, საერთო ჯამში, მაინც მოგებული აქვს

### დერბის კიდევ ერთი მსხვერპლი

„იუნაიტედი"-„სიტის" თემატიკას ვერა და ვერ ვცილდებით. „ოლდ ტრეფორდზე" **დავიდ სილვას** გარდა უკანასკნელ წუთებზე ტრავმა მიიღო და გარკვეული პერიოდი უფეხბურთოდ მოუწევს ცხოვრება „ეშმაკების" განაპირა ნახევარმცველს, 27 წლის **ეშლი იანგს**. თითქმის გარკვეულია, რომ 14 აპრილს კვირას „სტოკ სიტისთან" გასვლით შეხვედრაში ის თამაშს ვერ შეძლებს. ტრავმის მიზეზი **პაბლო საბალეტასთან** შეჯახება გახდა. ერთი თამაშის გამოტოვებას კიდევ რა უშავს? პირველადი პროგნოზი ხომ ბევრად უფრო პესიმისტური იყო.

მანჩესტერ სიტი

# ტრავმირებულთა ამბები

ორშაბათს XXXII ტურის დამაგვირგვინებელ შეხვედრაში მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ სიტის" 27 წლის ნახევარმცველმა **დავიდ სილვამ** მთელი თამაში მაღალ დონეზე ჩაატარა. მისდა სამწუხაროდ, შეხვედრის ბოლო წუთებზე მან მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც **რობერტო მანჩინი** იძულებული გახდა, მის ნაცვლად მინდორზე **ჯოლეონ ლესკოტი** გამოეყვანა. ფეხბურთელი გასახდელისკენ კოჭლობით გაემართა. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, დავიდს მუხლის მყესები აქვს დაჭიმული. მას მინიმუმ ერთი კვირა მოუწევს დასვენება, რაც იმას ნიშნავს, რომ 14 აპრილს „უემბლიზე" ასოციაციის თასის 1/2-ფინალში „ჩელსის" წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს. დავიდის ტრავმა „ქალაქელებისთვის" უზარმაზარი დანაკლისია. ესპანელის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში 41 თამაშში 5 გოლი და 14 საგოლე გადაცემაა.

სამაგიეროდ, მანჩინის შეუძლია გული იმით დაიმშვიდოს, რომ მალე მწყობრში ჩადგებიან და მოედანზე გასვლას შეძლებენ **მაიკონი** და **მიკა რიჩარდსი**. პირველს თებერვლის შუა რიცხვების შემდეგ არ უთამაშია, მეორე კი 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ მკურნალობს. ამ ფეხბურთელებმა ორშაბათს დუბლების შემადგენლობაში ითამაშეს. შესაბამისად, მზად არიან, პირველ გუნდსაც დაეხმარონ.



დავიდ სილვას მცირე შვებულების აღება მოუხდება

ფეხბურთი და პოლიტიკა

# წითლები და რკინის ლედი

„ჰილსბოროს" ტრაგედიაზე იმდენი დაიწერა, რომ ძნელია, რაიმე ახალი სიტყვა თქვა. უბრალოდ შეგახსენებთ, 1989 წლის 15 აპრილს შეფილდის სტადიონ „ჰილსბოროზე" მაყურებელთა ჭყლეტას ადგილზე 94 ადამიანი შეეწირა. ტრავმებისგან მოგვიანებით 2 ადამიანი კიდევ გარდაიცვალა. „ლივერპულის" გულშემატკივრებს წლების განმავლობაში მიაჩნდათ, რომ გამოძიების ოფიციალური დასკვნა, რომლის თანახმადაც დამნაშავენი თავად ფანები იყვნენ და რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურები 22 წელიწადზე მეტ ხანს იმეორებდნენ, ყველაზე მეტად ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, **მარგარეტ ტეტჩერის** ზეგავლენის „დამსახურება" გახლდათ. ორშაბათს 87 წლის ასაკში „რკინის ლედი" გარდაიცვალა, რის შემდეგაც დალუპულთა ოჯახის წევრებმა კიდევ ერთხელ მოითხოვეს, გამოქვეყნდეს დოკუმენტები, თუ რა როლი ჰქონდა ოფიციალური ვერსიის გავრცელებაში მაშინდელ პრემიერს. გასული წლის დეკემბერში დამოუკიდებელმა კომისიამ აღიარა, რომ 96 ადამიანის დაღუპვის მიზეზი პოლიციის უმოქმედობა და არაპროფესიონალიზმი იყო. თუმცა ტეტჩერის როლის შესახებ კომისიის დასკვნაში სიტყვაც არ დაძრულა.

აი, რა თქვა „ლივერპულ ეხოსთან" ინტერვიუში მოძრაობა „სამართლიანობა ჰილსბოროსთვის" ხელმძღვანელმა **შეილა კოლმენმა**: *„ყველაფრის მიუხედავად პატივს ვცემ გარდაცვლილ ადამიანებს, მაგრამ ქალბატონი ტეტჩერისგან განსხვავებით, მე სიცოცხლესაც ვაფასებ. არ მგონია, რომ მერსისაიდში მისი დაღუპვის შემდეგ ბევრს ეგლოვა. იმედია, ახლა მაინც გველირსება დოკუმენტაციის გამოქვეყნება, თუ ვისი დამსახურება იყო ტრაგედიის დეტალების დამალვა. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა და კატასტროფაში დამნაშავე პირებს ხელი დააფარა. მოქმედი მთავრობისგან მოვითხოვთ ახლა მაინც გვითხრან სრული სიმართლე".*



მარგარეტ ტეტჩერმა ტრაგედიის შემდეგ „ჰილსბოროს" ტრიბუნები თავად დაათვალიერა

ამბები

### დი მატეო ფავორიტია

„ლიდს იუნაიტედს" 1-ელ აპრილს 64 წლის **ნილ უორნოკთან** ხუმრობა არც უფიქრია, როცა მწვრთნელს პოსტიდან დათხოვნის ამბავი ამცნო. გუნდს დროებით **ნილ რედფერნი** უდგას სათავეში, ვინც სწორედ იმითია ცნობილი, რომ დროებით დამრიგებლად ძალიან ხშირად უწევს მუშაობა. ის იორკშირელებს შარშან **საიმონ გრეისონის** გათავისუფლების შემდეგ 3 კვირა წვრთნიდა. კლუბის ხელმძღვანელობა რამდენიმე კანდიდატთან პარალელურად აწარმოებს მოლაპარაკებას. ყველაზე რეალური „ელანდ როუდზე" „ჩელსის" ყოფილი თავკაცის **რობერტო დი მატეოს** დანიშვნაა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ ბრიტანელ ბუკმეიკერებს. 42 წლის იტალიელის გარდა განიხილება **ბრაიან მაკდერმოტის, ოუენ კოილის, დიმონიკ მატეოსა** და **მარკ ჰიუზის** კანდიდატურები.



რობერტო დი მატეო

### ფილ ნევილი ევერტონიდან მიდის

„გუდისონ პარკზე" გატარებული 8 წლის შემდეგ „ევერტონის" 35 წლის ვეტერანმა **ფილ ნევილმა** წასვლა გადაწყვიტა. ის საფეხბურთო კარიერის დასრულებას ჯერ არ გეგმავს. სად გააგრძელებს თამაშს, ამას ფეხბურთელი ზაფხულში გადაწყვეტს. *„ევერტონში" თამაში და მით უფრო გუნდის კაპიტნის სამკლავურის ტარება ჩემთვის უდიდესი პატივი იყო. ლივერპულში გატარებული წლებით ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა მადლობა ვუთხრა კლუბის თანამშრომლებს უზარმაზარი მხარდაჭერისთვის. „ევერტონი" ყოველთვის დარჩება ჩემს გულში. სეზონის ფინიშზე კი ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. კარიერის შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ამის მერე ვიფიქრებ,"* – განუცხადა ნევილმა „ევერტონის" ოფიციალურ ვებგვერდს.

### შვარცერი ფულჰემს დატოვებს

„ფულჰემის" 40 წლის მეკარე **მარკ შვარცერი** „კრევენ კოტეჯიდან" მიდის. ვეტერანს ხელშეკრულება ივნისში უმთავრდება, მხარეებს კი თანამშრომლობის გაგრძელებაზე არც უფიქრიათ. ავსტრალიელი გოლკიპერის აგენტი არ გამორიცხავს, რომ მისი კლიენტი სამშობლოში დაბრუნდეს ან საინტერესო წინადადების არქონის შემთხვევაში სულაც კარიერა დაასრულოს. **მარტინ იოლს** შვარცერის ყველაზე ღირსეულ მემკვიდრედ „სტოკ სიტის" 25 წლის გოლკიპერი **ასმირ ბეგოვიჩი** მიაჩნია. ლონდონელებს მისი ხელში ჩაგდება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან ბოსნიელის გადაბირებას „ფულჰემზე" ამბიციური კლუბებიც გეგმავენ.

### ბენტეკე დარჩება, თუკი...

„ასტონ ვილას" 22 წლის ბელგიელი თავდამსხმელი **კრისტიან ბენტეკე** თანახმაა, კლუბთან ხელშეკრულება ერთი წლით გააგრძელოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ბირმინგემული კლუბი პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. ახალი კონტრაქტის თანახმად, კლუბი თავდამსხმელს გაორმაგებულ ხელფასს გადაუხდის. ბელგიელმა თავისი გამოსვლით ეს ნამდვილად დაიმსახურა, რადგან ცხადია, რომ არა ჩემპიონატში მისი 15 გოლი, **პოლ ლამბერტის** გუნდი „რედინგის" მეზობლად ცხრილის ფსკერზე იქნებოდა გამაგრებული. აღსანიშნავია, რომ თავდამსხმელის გადაბირებას „არსენალი" და „ლივერპული" გეგმავენ.

### სეზარი ჩემპიონშიპშიც ითამაშებს

„ქუინზ პარკისა" და ბრაზილიის ნაკრების 33 წლის კარის დარაჯმა **ჟულიო სეზარმა** განაცხადა, რომ ჩემპიონშიპში გავარდნის შემთხვევაშიც კი ის გუნდის ერთგული დარჩება და მას ქვედა ლიგაშიც დაეხმარება. სამხრეთამერიკელის თქმით, მის ხელშეკრულებაში დაქვეითების გამო თანამშრომლობის ავტომატურად შეწყვეტის პუნქტი გათვალისწინებული არ არის. „რეინჯერების" მიერ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნების კი უკვე ყველაზე ოპტიმისტ გულშემატკივრებსაც აღარ სჯერათ. ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურით ადრე ლონდონელებს 7-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა მართებთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ევროპული ბიბლიოთეკა

ინგლისი. XXXII ტურის შეჯამება

# ლამაზი გოლების ტური

„მანჩესტერ სიტიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი მოუგო, მაგრამ საჩემპიონო ინტრიგის დაბრუნებაზე საუბარი უხერხულია - „იუნაიტედს“ საიუბილეო, მე-20 ტიტულის მოსაგებად, დარჩენილ 7 შეხვედრაში 10 ქულის ალებაც ჰყოფნის. სამაგიეროდ, დაძაბულია სიტუაცია ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში, არაფერს ვამბობთ ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე...



მეტიუ ლოუტონი

## რედინგი და ქუინზ პარკი გავარდებიან

**ჰარი რედნაპის** მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ პრაქტიკულად გავარდნილად უნდა გამოვაცხადოთ. ლონდონელებს ამ ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩი ჰქონდათ, რომელიც ვერ მოიგეს და ჩემპიონშიპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. ლონდონელები **ბობი ზამორამ** დაალალატა, რომელმაც 21-ე წუთზე **ხორდი გომესს** სახეში ფეხი ჩაარტყა და წითელი ბარათი მიიღო. 85-ე წუთზე ლოიკ **რემიმ** ულამაზესი გოლი გაიტანა და თითქოს, გადარჩენის შანსიც გაჩნდა, მაგრამ არბიტრის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე, **შონ მელონიმ** საკუთარი ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა გოლად აქცია და „უიგანს“ სასიცოცხლოდ აუცილებელი ფრე მოუტანა, „ქუინზ პარკის“ ქომაგებს კი გული ატკინა.

*„ჩვენ დღეს უნდა მოგვეგო. ათი კაცით ბოლომდე ვიბრძოლეთ და უფრო სამართლიანი იქნებოდა თუ გავიმარჯვებდით, მაგრამ ბოლო წამებზე ორი სულელური ჯარიმა „ავიკიდეთ“ და მეორეს გოლიც მოჰყვა. ეს ყველაფერი ძალიან მტკივნეულია - გოლი ხომ ბოლო წამებზე გავუშვით,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ გულდაწყვეტილმა ჰარი რედნაპმა.

„უიგანი“ ჩვეულ სტიქიაშია - **რობერტო მარტინესის** შეგირდებმა ბოლო ხუთ ტურში ათი ქულა მოიპოვეს. მართალია, გუნდი ჯერ კიდევ გასავარდნ ზონაშია, მაგრამ გავითვალისწინოთ ის, რომ შარშან ამ დროს, „უიგანი“ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო...

„რედინგმა“ ზედიზედ მერვე მატჩი წააგო. **ნაიჯელ ედკინსი** ყოფილ გუნდს დაუპირისპირდა, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია - **მაურისიო პოჩეტინოს** გუნდმა „როიალსამდე“ „ჩელსი“ და „ლივერპული“ დაამარცხა, ამჯერად კი „მადეისკიზეც“ იმარჯვა. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ჯეი როდრიგესმა**, ვინც ზედიზედ მესამე მატჩში გაიტანა და გარდა ამისა, საგოლე პასიც გააკეთა. „წმინდანებმა“ ზედიზედ მესამე თამაში მოიგეს და სატურნირო ცხრილში ერთბაშად მე-11 პოზიციამდე ალზევდნენ.

## ფრე სხვების სასარგებლოდ

ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი ოთხი გუნდიდან ორი ერთმანეთს „უაით ჰარტ ლეინზე“ შეხვდა. „ევერტონი“ გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მერსისაიდელებმა ბოლომდე ვერ გაძლეს და მეორე ბურთი 88-ე წუთზე გაუშვეს. „ტოტენჰემი“ **გილფი სიგურდსონმა** გადაარჩინა, რომელმაც ძელიდან ასხლეტილ ბურთს დაამატა.

აუცილებლად უნდა ალნიშნოთ **კევინ მირალასის** კიდევ ერთი ლამაზი გოლი - ბელგიელმა წინა ტურში „სტოკს“ 50-მეტრიანი დრიბლინგის შემდეგ გაუტანა, ამჯერად დისტანცია შედარებით მცირე იყო, მაგრამ რეიდი არანაკლებ შთამბეჭდავი გამოვიდა.

ჰო, არ დაგვავიწყეს, რომ ორივე გუნდს სერიოზული დანაკლისი ჰქონდა: „დეზებს“ **აარონ ლენონი** და **გარეთ ბეილი** არ ჰყავდათ, **დევიდ მოიესმა** კი **მარუან ფელაინი** და **სტივენ პიენაარი** ვერ დაიხმარა.

„ტოტენჰემის“ და „ევერტონის“ 2:2-ით „არსენალმა“ და „ჩელსიმ“ ისარგებლეს. „არისტოკრატები“ მესამე ადგილზე დაბრუნდნენ, „არსენალი“ კი „დეზებს“ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება, მაგრამ თამაში აქვს თადარიგში, თუმცა... ეს თამაში მას სწორედ იმ „ევერტონთან“ აქვს, რომელიც ჯერ კიდევ იბრძვის სანუკვარი საგზურისთვის.

„სტედიუმ ოფ ლაითზე“, სადაც **პაოლო დი კანიოს** დებიუტი შედგა, დუბლი შეასრულა **ტომაშ როსიცკიმ**, ვისთვისაც ეს გოლები ამ სეზონში პირველი იყო. გარდა ამისა, ჩეხმა ვეტერანმა დუბლი ბოლოს 2006 წლის 25 მარტს შეასრულა, როდესაც დორტმუნდის „ბორუსიას“ მაისურით ორი გოლი „ჰამბურგს“ გაუტანა.

## 2013 წლის ყველაზე ცუდი გუნდი

5 ქულა 2013 წელს - ასეთი შედეგი აქვს „სტოკ სიტის“, რომელმაც ამ ტურშიც წააგო და უკვე მე-15 ადგილს იკავებს. **ტონი პულისის** გუნდი „ასტონ ვილამ“ დაამარცხა, რომელზეც ცალკე ვისაუბრებთ.

„სტოკი“ უხვგოლიანობით არც ადრე გამოირჩეოდა, მაგრამ ბოლო 6 შეხვედრაში გატანილი 2 გოლი მართლაც კატასტროფული შედეგია. მომდევნო ტურში პულისის სამწყსო „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობს, ამის მერე კი „ლოფტუს როუდს“ ეწვევა, სადაც ხავსს მოჭიდებულ „ქუინზ პარკს“ უნდა შეხვდეს. მოკლედ, თუ სიტუაცია რადიკალურად არ შეიცვალა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ „რედინგთან“ და ქპრ-სთან ერთად, მესამე უიღბლო გუნდი სწორედ „სტოკი“ იყოს.

## იადონებმა გედებს ვერ აჯობეს

20 ოქტომბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით, „ნორვიჩმა“ 10-მატჩიანი წაუგებელი სერია „გამოაცხო“. აბა, ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ მომდევნო 15 ტურში გუნდი მხოლოდ 1 შეხვედრას მოიგებდა? ფაქტია, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. **კრის ჰიუტონის** გუნდმა ვერც ამ ტურში იმარჯვა და უმოტივაციო „სუონსის“ ქულა გაატანა.

„იადონები“ სატურნირო ცხრილში ზედ „სტოკის“ თავზე იმყოფებიან და აქვე ალვნიშნოთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს 35-ე ტურში ხვდებიან. ამ დაპირისპირებამ შესაძლოა ძალიან ბევრი რამ გადაწყვიტოს.

## ლოუტონის და სისეს სასწაული

გახსოვთ **პიტერ კრაუჩის** ულამაზესი გოლი, რომელიც მან „მანჩესტერ სიტის“ გაუტანა? ან როგორ უნდა დაგვიწყებოდათ, ეს ბურთი ხომ ბევრის აზრით პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა... შაბათს, „ასტონ ვილას“ 23 წლის მარჯვენა მცველმა **მეტ ლოუტონმა**, იმავე სტადიონზე (ბრიტანია) კრაუჩის გოლის კოპირება მოახდინა. გოლი იმდენად ლამაზი გამოდგა, რომ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, ის თავად უნდა ნახოთ...

**პოლ ლამბერტის** გუნდი გამოცოცხლდა - „ასტონ ვილამ“ უკანასკნელი ოთხი მატჩიდან სამი მოიგო და გასავარდნი ზონიდან ამოვიდა. „სანდერლენდის“ კატასტროფული კალენდრის, „სტოკის“ და „ნორვიჩის“ საშინელი ფორმის გათვალისწინებით, ბირმინგემელებმა ძალიან უნდა მოინდომონ, მეორე დივიზიონში რომ გავარდნენ.

ასევე ლამაზი და არანაკლებ მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა **პაპის დემბა სისემ** - „ნიუკასლის“ სენეგალელმა ფორვარდმა ბურთი ურთულეს სიტუაციაში მიიღო და აკრობატულ ნახტომში „ფულჰემის“ კარისკენ გადაგზავნა. მატჩის 90-ე წუთზე გატანილი ამ ბურთის წყალობით, ჯორდებმა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აიღეს. ამ გოლის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის რეაქცია, რომელიც **ალან პარდიუს** ჰქონდა - „კაჭკაჭების“ დამრიგებელი სიხარულისგან გადაირია და გამარჯვება გულშემატკივრებთან ერთად ალნიშნა.

*„ძალიან ბედნიერი ვარ. თამაშის შემდეგ ჩემი ზეიმის კადრები ვნახე და სიმართლე გითხრათ, ცოტათი შემრცხვა, თუმცა სწორედ ასეთი ემოციების გამო გვიყვარს ჩვენ პრემიერლიგა,“* - განაცხადა ბედნიერმა ალან პარდიუმ.

**ბომბარდირები:**

22 - ლუის სუარესი (ლივერპული)
19 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი)
17 - გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), მიჩუ (სუონსი)
15 - დემბა ბა (ჩელსი), კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა)

**ასისტენტები:**

10 - ხუან მატა (ჩელსი)
9 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ლუკას პოდოლსკი (არსენალი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), თეო უოლკოტი (არსენალი).
8 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ედენ აზარი (ჩელსი).

**5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით:**

1. რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი).
2. გარეთ ბეილი (ტოტენჰემი).
3. ხუან მატა (ჩელსი).
4. ლუის სუარესი (ლივერპული)
5. ედენ აზარი (ჩელსი)

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




Golden Foot

# ოქროს ფეხი: ვინ გახდება ლეგენდა

## კრიშტიანო რონალდოს გულისთვის ჟიურიმ გამონაკლისი დაუშვა

ცნობილი გახდა პრესტიჟული პრემიის „ოქროს ფეხის“ (Golden Foot) 10 კანდიდატი ფეხბურთელის ვინაობა. ეს პრემია გადაეცემა იმ ფეხბურთელებს, რომელთაც 29 წელი შეუსრულდათ და კვლავ მოქმედი სპორტსმენები არიან და დიდი დამსახურება მიუძღვით ფეხბურთის განვითარებაში. ამ პრემიით ფეხბურთელის მთლიანი კარიერა ფასდება. ნომინანტებს ირჩევს საერთაშორისო ჟურნალისტთა ჯგუფი, ხოლო გამარჯვებულს ავლენს ონლაინგამოკითხვა.

„ოქროს ფეხის“ პრემიის ლაურეატი მონაკოს სამთავროს „ჩემპიონთა ბულვარზე“ თავისი ფეხის ოქროს ანაბეჭდს დატოვებს სამუდამოდ. ალბათ, არ უნდა იმას შეხსენება, რომ „ოქროს ფეხის“ პრემიის მთავარი მეოხი მონაკოს პრინცი **ალბერ II** გახლავთ.




2013 წლის პრემიის 10 კანდიდატი

წლევანდელ ნომინანტთა შორის სენსაციური სიახლეა - მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი **კრიშტიანო რონალდო**. სენსაციური რონალდოს ასაკია: პორტუგალიელი 28 წლის და 2 თვისაა. მიუხედავად ამისა, „ოქროს ფეხის“ ჟიურიმ გამონაკლისი დაუშვა და რონალდოს 10 თვით უმცროსობა „აპატია“.

სხვა ნომინანტები არიან: **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა, 29), **დავიდ ტრეზეგე** (რივერ პლეიტი, 35), **ფრენკ ლამპარდი** (ჩელსი, 34), **სამუელ ეტოო** (ანჟი, 31), **იკერ კასილიასი** (რეალი,31), **მიროსლავ კლოზე** (ლაციო, 34), **ანდრეა პირლო** (33), **დიდიე დროგბა** (გალათასარაი, 35), **დევიდ ბექჰემი** (პსჟ, 37).

როგორც ხედავთ, 10-დან 9 ნომინანტი ევროპულ კლუბში თამაშობს, აქედან 3 ლა ლიგაში და 2 „რეალში“. წლეულს პრემიას მე-11 გამარჯვებული ეყოლება. პირველი გამარჯვებული იყო **რობერტო ბაჯო** (2003) წელს, ბოლო კი - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (2012).

| ოქროს ფეხის ყველა გამარჯვებული | | |
|---|---|---|
| 2003 | რობერტო ბაჯო | ბრეშია |
| 2004 | პაველ ნედვედი | იუვენტუსი |
| 2005 | ანდრი შევჩენკო | მილანი |
| 2006 | რონალდო | რეალი |
| 2007 | ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი |
| 2008 | რობერტო კარლოსი | ფენერბაჰჩე. |
| 2009 | რონალდინიო | მილანი |
| 2010 | ფრანჩესკო ტოტი | რომა |
| 2011 | რაიან გიგზი | მან. იუნაიტედი |
| 2012 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | პსჟ |

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული

 იტალია. სერია A. XXXI ტურის შეჯამება

# ომი მოედანზე და მოედანს მიღმა

## ბალოტელი 3 მატჩს გამოტოვებს

**სერია A-ს XXXI ტური საინტერესო მოვლენებით დახუნძლული გამოვიდა, სათქმელი ბევრი დაგროვდა და გამოხმაურებაც ორ ნომერზე გაიწერა. ორშაბათს, „სტადიო ოლიმპიკოზე" რომაული დერბი შედგა, რომელშიც გუნდებმა ქულები გაიყვეს...**

### რომაული დერბი

თამაშის დაწყებამდე გუნდების ტიფოზები ერთმანეთს ქალაქის ქუჩებში შეასკდნენ და დიდი არეულობა მოაწყვეს. ათეულობით ადამიანი დაშავდა, სამი გულშემატკივარი კი მძიმედ დაიჭრა. მოკლედ, იტალიაში სეზონი არ ჩაივლის, რომ ტიფოზები ერთმანეთს არ დაერიონ და სისხლი არ დაღვარონ. თვითონ თამაშიც ომს ჰგავდა, თითოეულ ეპიზოდს გარჩევა და გაწევ-გამოწევა მოსდევდა, ფეხბურთელები კი უხეშობის ზღვარზე


ერნანესმა კარგად დაიწყო, შემდეგ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა

ირჯებოდნენ. პირველი ტაიმი „ლაციოს" უპირატესობით წარიმართა, რაც **ვლადიმირ პეტკოვიჩის** შეგირდებმა ერთ გოლში ასახეს. შედეგიანი დარტყმა **ერნანესის** ანგარიშზეა, რომელმაც კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად დაამთავრა. დიახ, ბრაზილიელმა გახსნა ანგარიში და გმირობისკენ გადადგა ნაბიჯი, თუმცა შემდეგ, ჯერ თერთმეტმეტრიანი გააცუდა, ბოლოს კი თვითონვე აიკიდა პენალტი და **ფრანჩესკო ტოტის** ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 20 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც „ლაციო" კაცნაკლული დარჩა და შესაბამისად, დასკვნითი ნაწილი „ჯალოროსის" უპირატესობით წარიმართა. თუმცა, „მგლებმა" **ჯუზეპე ბიავას** გაძევებით ვერ ისარგებლეს და საბოლოოდ, ფრე დაფიქსირდა, 1:1. აღვნიშნოთ ისიც, რომ „ლაციოს" ტრავმირებული **მიროსლავ კლოზე** დაუბრუნდა, „რომას" კი - **მატია დესტრო**.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციოს მთავარი მწვრთნელი):** *„პირველ ტაიმში, ბურთზე კონტროლი დავამყარეთ და შედეგად, მატჩი ჩვენი კარნახით მიდიოდა. შესვენებაზე შეგირდებს თამაშის დაწყნარება ვთხოვე, მაგრამ ამოცანა ვერ შეასრულეს. საბოლოოდ, გაგვექცა სადავეები ხელიდან და მხოლოდ ფრეს დავჯერდით. შედეგით უკმაყოფილო ვარ, თუმცა ჯერ კიდევ მჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეგვიძლია".*

**აურელიო ანდრეაცოლი (რომას მთავარი მწვრთნელი):** *„ძალიან დაძაბული მატჩი იყო, რომელიც ლოგიკური შედეგით დასრულდა. თუმცა, მეტი სიზუსტე რომ გამოგვეჩინა შეტევაში, სამი ქულა სწორედ ჩვენ დაგვრჩებოდა. სატურნირო ცხრილზე ნაკლებად ვფიქრობ – მთავარია, სწორი გზით ვიაროთ, არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ და ყველაფერი კარგად იქნება".*

**ერნანესი (ლაციო):** *„ფეხბურთი მოულოდნელობებით არის სავსე... თავიდან მეგონა, რომ ფანტასტიკური საღამო იქნებოდა, რადგან ყველაფერი ლამაზი გოლით დავიწყე, თუმცა შემდეგ, ყველაფერი თავდაყირა დადგა. თერთმეტმეტრიანებს იშვიათად ვაფუჭებ, ამჯერად კი ფორტუნა ჩემს მხარეს არ იყო. ვეცდები დაშვებული შეცდომები მომდევნო შეხვედრაში გამოვასწორო".*

### დასჯილი ბალოტელი

აქამდე **მარიო ბალოტელი** ჭკვიანად იქცეოდა, „ფიორენტინასთან" შეხვედრაში კი ნერვებმა უმტყუნა და 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა. დიახ, „ლეგა კალჩოს" სადისციპლინო კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სუპერმარიო სამ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრას გამოტოვებს: „ნაპოლისთან", „იუვენტუსთან" და „კატანიასთან".

მარიომ 5 ყვითელი ბარათი დააგროვა და ერთი თამაში ისედაც უნდა გამოეტოვებინა, მსაჯთა შეურაცხყოფის გამო კი ორი მატჩი დაუმატეს. მოკლედ, ბალოტელიმ ვერ მოითმინა, ქმოციები ვერ მოთოკა, რითაც თავისი გუნდი რთულ ვითარებაში ჩააგდო. მაშინ, როდესაც **ჯამპაოლო პაცინი** ახალგამოჯანმრთელებულია და ოპტიმალურ ფორმაში არაა, ბალოტელის დისკვალიფიკაცია მილანელთათვის სერიოზული პრობლემაა. „როსონერის" მესვეურები „ლეგა კალჩოს" გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

### დასჯილი არბიტრები

გასულ უქმეებზე, მარტო მარიო ბალოტელი არ დასჯილა, დისკვალიფიკაცია მსაჯებმაც გამოიწერეს. **პაოლო ტალიავენტო** „ფიორენტინა"-„მილანის" მატჩს წვრთნიდა და ჯერ ფლორენციელი **ნენად ტომოვიჩი** გააგდო ტყუილად, შემდეგ კი „მილანის" სასარგებლოდ 100%-იანი თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. რაც შეეხება **ანდრეა ჯერვაზონის**, „ინტერის" კარში აბსურდული პენალტი დანიშნა, რასაც „ატალანტას" გამოცოცხლება და სენსაციური გამარჯვება მოჰყვა. მოკლედ, პაოლომ და ანდრეამ ბლომად შეცდომა დაუშვეს, რის გამოც რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერეს... ზუსტი რაოდენობა ჯერ ცნობილი არაა, მაგრამ მინიმუმ 3-3 ტურს რომ გამოტოვებენ, აქედანვე ცხადია. ითქვა ისიც, რომ მიმდინარე სეზონში, ტალიავენტო და ჯერვაზონი ტურის ცენტრალურ მატჩებს აღარ მოესახურებიან.

### დანავსული ინტერი

„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს" – „ინტერს" კიდევ ერთი თავდამსხმელი, ამჯერად **ანტონიო კასანო** დაუშავდა. სეზონის წინ, **ანდრეა სტრამაჩონი** ოთხ ფორვარდზე ამყარებდა იმედებს: ანტონიო კასანოზე, **დიეგო მილიტოსა** და **როდრიგო პალასიოზე**. მილიტო კარგა ხნის წინ დაშავდა და სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა ფეხბურთს, ათიოდე დღის წინ კი მისი ბედი პალასიომაც გაიზიარა. შედეგად, სტრამაჩონის განკარგულებაში ანტონიო კასანო და მხცოვანი **ტომაზო როკი** დარჩნენ. ბედის ირონიით, „ატალანტასთან" შეხვედრაში კასანოც დაშავდა და პირველადი დასკვნით, მინიმუმ 40 დღის გამოტოვება მოუწევს. ანუ, კარგ შემთხვევაში, კასანტა სეზონის ბოლოს თუ დაუბრუნდება ფეხბურთს, თუმცა ესეც ჯერ კიდევ საკითხავია. მოკლედ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე სეზონში „ინტერის" მესაჭეს ანტონიოს იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. და ვინღა დარჩა სტრამაჩონის? – 35 წლის ტომაზო როკი, რომელიც კარიერის მიწურულის თვით „ინტერის" ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდია და მთელი იმედები მასზე მყარდება.

### ციფრები და ფაქტები

- 2007 წლის აპრილის შემდეგ, რომაული დერბი პირველად დასრულდა ფრედ.
- ბოლო 10 რომაულ დერბიში 10 ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან.
- „მილანს" ფლორენციაში 2005 წლის ნოემბრის შემდეგ არ წაუგია, 4 მოგება და 3 ფრე.
- „ფიორენტინასთან" შეხვედრაში „მილანის" 4-მატჩიანი მშრალი სერია შეწყდა.
- მიმდინარე სეზონში, „ფიორენტინას" და „კალიარის" სასარგებლოდ 9 თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ყველაზე მეტი სერია A-ს გუნდებს შორის.
- „მილანმა" 2009 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად გაანიავა 2-ბურთიანი უპირატესობა.
- „ინტერმა" მიჯრით სამი საშინაო მატჩი წააგო, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 1955/1956 წლების სეზონში ჰქონდა.
- ტომაზო როკიმ პირველი გოლი გაიტანა „ინტერის" მაისურით და მე-100 სერია A-ში.
- „ატალანტამ" პირველად დაამარცხა „ინტერი" გასვლაზე 2002 წლის შემდეგ.
- „ატალანტამ" გასვლით შეხვედრაში პირველად გაიტანა 4 გოლი 2001 წლის შემდეგ.
- პესკარელ **ემანუელე კაშონეს** სერია A-ში სულ 2 გოლი აქვს გატანილი და ორივე „იუვენტუსის" კარში, თანაც სხვადასხვა შეხვედრაში.
- „პალერმომ" პირველად მოიგო გასვლითი მატჩი გასული წლის აპრილის შემდეგ.
- **სტივ ფონ ბერგენმა** „პალერმოდან", პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში.
- „უდინეზეს" საკუთარ მოედანზე 15 მატჩია, არ წაუგია.
- 2013 წელს, „პარმას" გასვლითი მატჩი არ მოუგია.

**ლაშა წიკლაური**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




არგენტინა. ტორნეო ფინალი. VIII ტური

# კლასიკოში რივერმა იმარჯვა

## ბოკა ისევ ვერ იგებს

**ოლ ბოისი-ინდეპენდიენტე 2:0**

**გოლები:** 1:0 სარმიენტო (8), 2:0 ვილდოსო (90).
**გაძევება:** მორელი (90. ინდეპენდიენტე)

**ტიგრე-ატლ. რაფაელა 1:3**

**გოლები:** 0:1 ს. კარერა (7), 1:1 სისტერნა (51), 1:2 ხ. ლოპესი (83), 1:3 ხ. ლოპესი (90).
**გაძევება:** პერეს გარსია (59. ტიგრე)

**ველესი-სან ლორენსო 1:1**

**გოლები:** 1:0 რესკალდანი (55), 1:1 ლ. ნავარო (80).

**რასინგი-რივერი 0:2**

**გოლები:** 0:1 გონსალეს პირესი (12), 0:2 ლანსინი (89).

**ნიუელსი-კოლონი 1:2**

**გოლები:** 0:1 ჟიგლიოტი (52), 0:2 ჟიგლიოტი (56), 1:2 ორსანი (58).

**არსენალი-ესტუდიანტესი 1:0**

**გოლი:** 1:0 როლე (88).
**გაძევება:** ლ. ხარა (38. ესტუდიანტესი)

| | |
|---|---|
| უნიონი-არ. ხუნიორსი | 0:0 |
| გოდოი კრუსი-ბელგრანო | 0:0 |
| კილმესი-სან მარტინი | 0:0 |
| ბოკა ხუნიორსი-ლანუსი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-3 | 18 |
| 2. ნიუელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-9 | 16 |
| 3. რივერი | 8 | 5 | 1 | 2 | 10-7 | 16 |
| 4. არსენალი | 8 | 4 | 3 | 1 | 10-7 | 15 |
| 5. გოდოი კრუსი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-6 | 15 |
| 6. კილმესი | 8 | 3 | 4 | 1 | 15-10 | 13 |
| 7. ატლ. რაფაელა | 8 | 3 | 3 | 2 | 13-9 | 12 |
| 8. ოლ ბოისი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| 9. რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-8 | 11 |
| 10. სან ლორენსო | 8 | 2 | 4 | 2 | 5-4 | 10 |
| 11. ტიგრე | 8 | 3 | 1 | 4 | 12-13 | 10 |
| 12. ბელგრანო | 8 | 2 | 4 | 2 | 6-7 | 10 |
| 13. ველესი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-5 | 9 |
| 14. უნიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 15. ბოკა ხუნიორსი | 8 | 1 | 5 | 2 | 7-10 | 8 |
| 16. ინდეპენდ. | 8 | 2 | 2 | 4 | 5-8 | 8 |
| 17. კოლონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-16 | 8 |
| 18. არ. ხუნიორსი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-9 | 6 |
| 19. სან მარტინი | 8 | 0 | 4 | 4 | 6-14 | 4 |
| 20. ესტუდიანტესი | 8 | 0 | 3 | 5 | 8-15 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - ჟიგლიოტი (კოლონი); 5 - სილვიო რომერო (ლანუსი), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 4 - პერეს გარსია (ტიგრე), დ. საპატა (ესტუდიანტესი).


ჟიგლიოტიმ თითქმის ყველა შეხვედრაში გაიტანა

**სარელეგაციო ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 14. ატლ. რაფაელა | 65 | 82 | 1.262 |
| 15. არ. ხუნიორსი | 103 | 128 | 1.243 |
| 16. სან ლორენსო | 103 | 127 | 1.233 |
| 17. კილმესი | 27 | 32 | 1.185 |
| 18. ინდეპენდიენტე | 103 | 115 | 1.117 |
| 19. სან მარტინი | 65 | 69 | 1.062 |
| 20. უნიონი | 65 | 66 | 1.015 |

### კლასიკო

ე.წ. „დიდი ხუთეულის" ორი წევრი დაუპირისპირდა ერთმანეთს **ხუან პერონის** სახელობის სტადიონზე. აველიანედას „რასინგი", რომელსაც 4-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, მასპინძლობდა „რივერ პლეიტს", ვისაც ბოლო ორ შეხვედრაში გოლი არ ჰქონდა გატანილი. შეხვედრა „რივერის" შეტევებით დაიწყო და მე-12 წუთზე **ლეანდრო გონსალეს პირესმა** კარიერაში პირველი გოლი გაიტანა. მთელი მატჩი სტუმართა კარნახით მიმდინარეობდა და საბოლოოდ, **რამონ დიასის** შეგირდებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს. „რასინგის" მხრიდან ყველაზე მეტად 36 წლის **მაურო ხერმან კამორანეზი** აქტიურობდა, გუნდის თამაში გამოაცოცხლა ცვლილებაზე შემოსულმა **დიეგო ვილიარმაც**, მაგრამ ვეტერანების კარგი თამაში, თუნდაც ქულის ასაღებად საკმარისი არ გამოდგა.

მეორე ტაიმში ყველაზე რეალური მომენტი **ბრუნო სუკულინის** ჰქონდა, მაგრამ „რასინგის" 20 წლის ნახევარმცველმა ხუთი მეტრიდან ბურთი ხარიხას გაარტყა, ცოტა ხანში კი „რივერმა" კონტრშეტევა განახორციელა და **მანუელ ლანსინიმ** შეხვედრას წერტილი დაუსვა. საბოლოოდ, 0:2 და რამონ დიასის გუნდმა ლიდერ „ლანუსთან" სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა.

### ლანუსი კვლავ დაუმარცხებელია

ლიდერი „ბომბონერას" ეწვია და იქიდან ქულა წამოიღო. შეხვედრა საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა, რასაც ხელი ხელოვნური განათების მწყობრიდან გამოსვლამაც შეუწყო. **კარლოს ბიანკის** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ჰყავდა, მაგრამ „ბოკას" საკმაოდ გრძელი სათადარიგო სკამი აქვს, ამიტომ რამდენიმე ფეხბურთელის გამოკლება გუნდზე არ უნდა აისახოს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ **რიკელმე** და კომპანია ტორნეო ფინალში ძალიან ცუდად გამოიყურებიან. ამ შეხვედრის წინ, „ბოკას" 6-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა, რომლის დასრულებაც გუნდმა ვერ მოახერხა. როგორც აღვნიშნეთ, მატჩი მოსაწყენი იყო, საგოლე მომენტი თითქმის არ ყოფილა და შესაბამისად, 0:0 ლოგიკური შედეგია.

„ლანუსმა" უახლოეს მდევართან სხვაობა კი გაზარდა, მაგრამ „რივერს" და „არსენალს" მიახლოების საშუალება მისცა.

### ჟიგლიოტი შესანიშნავ ფორმაშია

7 გოლი 8 ტურში - **ემანუელ ჟიგლიოტი** მართლაც შესანიშნავ ფორმაშია. 25 წლის ფორვარდი, რომელმაც ტორნეო ინისიალის ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილი დაიკავა, ამჯერად ლიდერია და **სკოკო-რომეროს** დუეტს ორი გოლით უსწრებს.

**რობერტო ნესტორ სენსინის** გაგდების შემდეგ „კოლონმა" მეორე თამაში ჩაატარა და მეორე გამარჯვება მოიპოვა. წინა ტურში სანტაფელებმა „ტიგრეს" სძლიეს, ამჯერად კი მეორე ადგილზე მყოფ „ნიუელს ოლდ ბოისს" მოუგეს. მასპინძლები მოედანზე პრაქტიკულად მეორე შემადგენლობით გამოვიდნენ, რადგან რამდენიმე დღეში „ოლიმპიასთან" ლიბერტადორესის თასის მატჩი ელით. მართალია, „ნიუელსის" ჯგუფში ჩარჩენა თითქმის წარმოუდგენელია (დიდი ანგარიშით უნდა წააგოს, ხოლო პარალელურად ასევე დიდი ანგარიშით უნდა მოიგოს „უნივერსიდად დე ჩილემ"), მაგრამ როგორც ჩანს, **ხერარდო მარტინოს** გარისკვა არ სურს. შედეგად, „ნიუელსმა" სეზონში მეორე მარცხი განიცადა, მაგრამ მაინც მეორე პოზიციაზე დარჩა.

### ინდეპენდიენტეს არაფერი შველის

შავ დღეში მყოფმა „ინდეპენდიენტემ" მორიგი მარცხი განიცადა და მეორე დივიზიონისკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა. „ბოკა ხუნიორსთან" ჩატარებული კარგი მატჩის შემდეგ (1:1), „ინდეპენდიენტეს" გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, მაგრამ მომდევნო ტურში **ამერიკო გალიეგოს** გუნდი „ოლ ბოისთან" დამარცხდა, თანაც მომავალი შეხვედრისთვის **კლაუდიო მორელიც** დაკარგა, ვინც წითელი ბარათი მიიღო.

არგენტინული ფეხბურთის გრანდი უკვე კატასტროფულ მდგომარეობაშია და სასწაული უნდა მოხდეს იმისთვის, რომ „ინდეპენდიენტემ" ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ მეორე დივიზიონში დამაჯერებლად ლიდერობს „როსარიო სენტრალი" და არგენტინის კიდევ ერთ ისტორიულ გუნდს, მომავალ სეზონში, დიდი ალბათობით, პრიმერაში ვიხილავთ.

**ტატო ბაციკაძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

# ტურინი ბობოქრობს, კონტე თავს იზღვევს

## ჰაინკესი: ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ

რომელ იტალიურ კლუბს შეიძლება ხელეწიფებოდეს „ბაიერნთან" ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, თუ არა ტურინის „იუვენტუსს"? მაგრამ „ბებერი ქალბატონი" მიუნხენში იმდენად უსუსური ჩანდა, ექსპერტების აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ „იუვესთვის" ჩემპიონთა ლიგა ამ სეზონში დღეს დასრულდება. თუმცა იტალიის მოქმედი და მომავალი ჩემპიონის ფეხბურთელები საბრძოლო განწყობაზე არიან და ფიქრობენ, რომ ამ წყვილში ჯერ კიდევ არაა ყველაფერი გადაწყვეტილი. ერთადერთია „იუვენტინო", რომელსაც, მართალია, ფარხმალი არ დაუყრია, მაგრამ არც განსაკუთრებით დიდი იმედი აქვს, გუნდის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტეა. მიუნხენელები კი ამტიცებენ, რომ დღევანდელი მატჩისთვისაც სრულ მზადყოფნაში არიან და მიუხედავად იმისა, რომ შაბათს გერმანიის ჩემპიონები გახდნენ, კონცენტრაციის პრობლემა არ შეექმნებათ.

| იუვენტუსი-ბაიერნი | 22:45 |
|---|---|

პირველი მატჩი: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - პადოინი, პოგბა, პირლო, მარკიზიო, ასამოა - კვალიარელა, ვუჩინიჩი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**არბიტრი:** კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი)

**ურთიერთშეხვედრები**

**02.04.2013**

| ბაიერნი-იუვენტუსი | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ალაბა (1), 2:0 თ. მიულერი (63)

**08.12.2009**

| იუვენტუსი-ბაიერნი | 1:4 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (19), 1:1 ბუტი (30-პენ), 1:2 ოლიჩი (52), 1:3 გომესი (83), 1:4 ტიმოშჩუკი (90)

**30.09.2009**

| ბაიერნი-იუვენტუსი | 0:0 |
|---|---|

**02.11.2005**

| იუვენტუსი-ბაიერნი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (62), 1:1 დაისლერი (66), 2:1 ტრეზეგე (85)

**18.10.2005**

| ბაიერნი-იუვენტუსი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 დაისლერი (33), 2:0 დემიკელისი (39), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (90)

**03.11.2004**

| ბაიერნი-იუვენტუსი | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 დელ პიერო (90)

**19.10.2004**

| იუვენტუსი-ბაიერნი | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 ნედვედი (76)



მარიო მანჯუკიჩი, ანდრეა პირლო და თომას მიულერი: პირველ შეხვედრაში მიუნხენელებმა ანდრეა პირლო იდეალურად გაანეიტრალეს

„პესკარასთან" მატჩში, რომელიც „იუვენტუსმა" 2:1 მოიგო, ტურინელთა თავკაცმა **ანტონიო კონტემ** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა. ძირითად შემადგენლობაში არც **ჯიჯი ბუფონი** იყო, არც **ანდრეა ბარძალი**, არც **ჯორჯო კიელინი**, არც **კლაუდიო მარკიზიო** და არც **ანდრეა პირლო.** ცხადია, კონტე ასე სწორედ დღევანდელი მატჩისთვის მოიქცა - „პესკარას" ექსპერიმენტული შემადგენლობაც ეყო, „ბაიერნთან" საპასუხო ჯახს კი „იუვეს" ლიდერები დასვენებულები ხვდებიან

ტურინი დღევანდელ მატჩს დიდი იმედით ხვდება: ტიფოზებმა „პესკარასთან" შეხვედრის დროს გუნდს დიდი ტრანსპარანტი გადმოუკიდეს, რომელზეც ეწერა: *„10 აპრილი - ჩვენ გვჯერა!"*

თავდაჯერების არქონას არც „იუვენტუსის" ფეხბურთელები უჩივიან. *„ბაიერნს" გერმანიის ჩემპიონობას გულით ვულოცავ, მაგრამ ოთხშაბათს გერმანიის ახალგამომცხვარ ჩემპიონებს „იუვენტუსის" სახით ისეთი ძლიერი მეტოქე ეყოლებათ, როგორთანაც ამ სეზონში ჯერ არ უთამაშიათ,* - უთხრა ჩვენს იტალიელ კოლეგებს **მირკო ვუჩინიჩმა**, რომელმაც „პესკარასთან" დუბლი შეასრულა, - *ჩვენმა ფანებმა იციან, როგორ უნდა გვიქომაგონ იმისათვის, რომ გულანთებულებმა ვირბინოთ. ეს ნამდვილი ომი იქნება. ამ წყვილში გადაწყვეტილი არაფერია!"*

არადა, დიდი შანსია, რომ კონტემ ვუჩინიჩი ძირითადში არ ათამაშოს. „პესკარასთან" გატანილი ერთ-ერთი გოლი მირკომ უცნაურად, შორტის გახდით აღნიშნა, რის გამოც მწვრთნელთან უთანხმოება მოუვიდა, რის შემდეგაც კონტე დაემუქრა, „ბაიერნთან" ძირითადში არ გათამაშებო.

თავად კონტე, რომელიც დღეს დისკვალიფიკაციის გამო **ვიდალისა** და **ლიხტშტაინერის** სახით ორი წამყვან მოთამაშეს ვერ გამოიყენებს, „ბაიერნთან" მატჩზე შეგირდებზე გაცილებით ფრთხილად საუბრობს: *„ძალიან დაძაბულ მატჩს და მაგარ ბრძოლას ველოდები, მაგრამ ისეთი ოცნებები, როგორიც ჩვენ გვაქვს, ფეხბურთში იშვიათად სრულდება. უმჯობესია, რომ „ბაიერნთან" საპასუხო მატჩს არა ოცნებებით, არამედ რეალური განწყობით შევხვდეთ,"* - თქვა კონტემ გუშინ.

ფაქტობრივად ცნობილია, რომ არტურო ვიდალს ნახევარდაცვის ცენტრში **პოლ პოგბა** შეცვლის, ლიხტშტაინერის ნაცვლად კი, მარჯვენა ფლანგზე სავარაუდოდ **პადოინს** ვიხილავთ.

### ჰაინკესი: ყველაფრისთვის მზად ვართ

„ბაიერნმა" შაბათს გერმანიის ჩემპიონობა გაინაღდა, მაგრამ მიუნხენელებმა ზეიმზე უარი თქვეს და 23-ე ჩემპიონობა მხოლოდ ერთი ყუთი ლუდით (ისიც გასახდელში) აღნიშნეს. ასე განსაჯეთ: მიუნხენელებმა ერთობლივი ვახშამიც კი არ მოაწყვეს და უფრო მეტიც - სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** მოთამაშეებს **ფრანკ რიბერის** დაბადების დღის აღსანიშნავი (კვირას 30 წლის გახდა) ვახშმის ორგანიზებაც კი აუკრძალა. მშრალი კანონის მიზეზი, რა თქმა უნდა, დღევანდელი მატჩია - მიუნხენელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ „იუვენტუსთან" საპასუხო შეხვედრისთვის კონცენტრაცია ოდნავადაც არ დაეკარგათ.

„ბაიერნი" დღევანდელ მატჩს ფრთხილად ეკიდება, მაგრამ ყველა ფეხბურთელი თავდაჯერებულია. *„ტურინში რთული მატჩი გველის და ჭკვიანად უნდა ვიყოთ,"* - განაცხადა ტურინში გაფრენამდე რეკორდმაისტერის მეკარე მანუელ ნოიერმა. *„საპასუხო მატჩის წინ უბრალოდ, მეტოქეზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ და მეტი არაფერი,"* - ეს კი **არიენ რობენის** სიტყვებია, რომელიც დღეს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, რადგან **ტონი კროოსი** ტრავმირებულია და გეხსომებათ, პირველ შეხვედრაში ეს უკანასკნელი სწორედ რობენმა შეცვალა.

ბავარიელთა მთავარი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** თქმით, „ბაიერნი" მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე არ იზრუნებს. მიუნხენელები ტურინშიც შეუტევენ: *„ეს აუცილებელია, რადგან გოლის გატანა „იუვენტუსის" მოედანზეც გვინდა,"* - აღნიშნა გუშინ „დონ იუპმა" და შეგახსენებთ, რომ თუ „ბაიერნმა" მართლაც შეძლო ერთის გატანა, „იუვენტუსს" 4 გოლი დასჭირდება...

ვუჩინიჩის სიტყვებს, გერმანელებს ომს გავუმართავთო, ჰაინკესმა უილბლო კომენტარი უწოდა, ნოიერმა კი თქვა, ომი საფეხბურთო მატჩის შესაფერისი ტერმინი არ არისო. *„ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რასაც გულისხმობს ვუჩინიჩი და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ,"* - დასძინა რობენმა.

*„იუვენტუსი" ეცდება, შეუძლებელი შეძლოს, ჩვენი მისია კი ისაა, რომ ტურინელებს არაფერი ვავაბედვინოთ. იმის თქმა მინდა, რომ კარგად ვიცით, როგორც უნდა ვითამაშოთ,"* - ეს ჰაინკესის სიტყვებია, რომელმაც დასძინა, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ისევ პირლოს განეიტრალება იქნებაო. „დონ იუპს" დიდი ხნის ტრავმირებული **ჰოლგერ ბადშტურებისა** და პირველ მატჩში დაშავებული ტონი კროოსის გარდა ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, თუმცა დღეს ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში ნახევარფინალის პირველი რაუნდისთვის დისკვალიფიკაცია ერთდროულად 4 ბაიერნელს ემუქრება: კაპიტან **ფილიპ ლამს**, დაცვის ბურჯ **დანტეს**, საყრდენ ნახევარმცველ **ლუის გუსტავოს** და თავდამსხმელ **მარიო მანჯუკიჩს. ხავი მარტინესმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითადში დაბრუნდება.

# მესი კითხვის ნიშნის ქვეშ

## ლეო ძირითადში ალბათ არ იქნება

„ბარსელონა" პირველ მატჩამდეც ამ წყვილის აშკარა ფავორიტი იყო და პარიზში დაფიქსირებული 2:2-ის შემდეგ ნახევარფინალში გასვლის შანსი კიდევ უფრო გაეზარდა, თუმცა გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, დიდი შანსია, რომ დღეს კატალონიელებს ლიონელ მესი არ ჰყავდეთ, რაც ტიტო ვილანოვას გუნდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება, ფრანგებისთვის კი - კარგი შანსი.

| ბარსელონა-პსჟ | 22:45 |
|---|---|

პირველი მატჩი: 2:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, ბარტრა, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

**პსჟ (4-4-2):** სირიგუ - ჟალე, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - ლუკას მოურა, ბექჰემი, ვერატი, პასტორე - ლავეცი, იბრაჰიმოვიჩი.

**არბიტრი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

**ურთიერთშეხვედრები**

**ჩემპიონთა ლიგა**

**02.04.2013**

| პსჟ-ბარსელონა | 2:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 მესი (38), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (79), 1:2 ჩავი (89-პენ), 2:2 მატუიდი (94)

**15.03.1995**

| პსჟ-ბარსელონა | 2:1 |
|---|---|

**01.03.1995**

| ბარსელონა-პსჟ | 1:1 |
|---|---|

**თასების მფლობელთა თასი. ფინალი**

**14.05.1997**

| ბარსელონა-პსჟ | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 რონალდო (36-პენ)

ამრიგად, **ლეო მესის** თამაში საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, 25 წლის არგენტინელ სუპერვარსკვლავს მინიმუმ ძირითად შემადგენლობაში ვერ ვნახავთ, შეცვლაზე თამაშს კი ალბათ მოახერხებს. მიუხედავად ამისა, „ბარსელონა" მაინც ფავორიტად რჩება, მესის კი სასტარტოში სავარაუდოდ **სესკ ფაბრეგასი** შეცვლის. **ტიტო ვილანოვას** ასისტენტმა **ჟორდი როურამ** პარიზული დაპირისპირების შემდეგ თქვა, თუ საპასუხო შეხვედრაში ლეო დაგვაკლდება, ფაბრეგასს ასი პროცენტით ვენდობითო. მესი სწორედ პარიზში დაშავდა. სამაგიეროდ, კატალონიელებს **პედრო** გამოუჯანმრთელდათ.

ფაბრეგასი მთლად მესი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ ძალიან კარგ ფორმაშია, რაც „მალიორკასთან" 5:0-ზე მოგებულ შეხვედრაშიც დაამტკიცა - სესკმა „ბარსას" ფორმით პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა. თუკი მესის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, **ხავიერ მასკერანოსა** და **კარლეს პუიოლის** ასპარეზობა გამორიცხულია. ამრიგად, დაცვის ცენტრში, **პიკეს** გვერდით ან გამოუცდელი **ბარტრა** ითამაშებს, ანაც **ალექს სონგი.**



ლიონელ მესიმ პარიზში ანგარიში გახსნა, მერე კი ტრავმა მიიღო. დღეს არგენტინელის თამაში საეჭვოა

### ბექჰი ისევ ძირითადში?

პარიზელთა უმთავრესი იმედი კი კვლავ **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, რომელმაც პირველ მატჩშიც შეძლო „ბარსას" კარის აღება. აქვე ვთქვათ, რომ **კარლო ანჩელოტის** ბიჭებმა „რენი" 2:0 დაამარცხეს. საინტერესოა, ათამაშებს თუ არა ანჩელოტი **დევიდ ბექჰემს** სასტარტოში. გეხსომებათ, კარლიტომ პირველ შეხვედრაში ვეტერანი ინგლისელი ძირითადში გაამწესა, მაგრამ დევიდმა ისე ვერ იასპარეზა, როგორც მისგან ელიან. **მარკო ვერატი** კი ძალიან კარგ ფორმაშია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცამ**

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXX ტურის შეჯამება

# ოდეს გაბრწყინდა სესკი

## ლა ლიგა ფინიშის სწორზე გადის, რჩება მხოლოდ 8 ტური

**ღვიძლგადანერგილი** ერიკ აბიდალის დაბრუნება და მისი სამადლობელი; „მალაგას" თავკაც მანუელ პელეგრინის კაცური საქციელი; ფრანჩესკ ფაბრეგასის გაბრწყინება ლეო მესის არყოფნაში; ბასკური „ჩური ურდინის" რეალური განაცხადი ჩემპიონთა ლიგის საგზურზე - ამ და სხვა ამბებზე შევჩერდებით ლა ლიგის 30-ე ტურის შემდეგ...

### მესი ვს რონი

**ლიონელ მესიმ** ტრავმის გამო ვერ ითამაშა „მალიორკასთან" 5:0 მოგებულ შეხვედრაში.

**კრიშტიანო რონალდომ** 45 წუთი (შეცვლაზე) ითამაშა „ლევანტესთან" 5:1 მოგებულ შეხვედრაში. მან 4-ჯერ დაარტყა კარისკენ, 3-ჯერ ზუსტად, გაიტანა 1 გოლი და გააკეთა 1 საგოლე პასი. მის წინააღმდეგ ერთხელ დაჯარიმდნენ.

*მოდი, ასე ვთქვათ, მესის ტექნიკური წაგება ჩაეთვალა და ანგარიში 14:10 გახდა (ისევ ლეოს სასარგებლოდ). ამ ორი ფეხბურთელის ტრავმა, საბედნიეროდ, იშვიათი ხილია და იმედია, ასეთი „რაუნდი" სეზონის ბოლომდე აღარ იქნება.*

### პელეგრინი

**მანუელ პელეგრინის** „მალაგამ" ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი დათმო სან სებასტიანში „ანოეტაზე" 2:4. მაშ რატომ გამოვყავით ჩილელი სპეციალისტი? საქმე იმაშია, რომ შაბათს მას სამშობლოში მამა გარდაეცვალა, მაგრამ ამის შესახებ ფეხბურთელებს მხოლოდ თამაშის შემდეგ უთხრა. მას სამშობლოში მიეჩქარებოდა, თუმცა წაგებული თამაშის შემდეგ „რეალის" ექსთავკაცმა ჟურნალისტებს პატივი სცა და პრესკონფერენციაზეც გამოცხადდა და კითხვებსაც ჩვეული თავაზიანობით პასუხობდა. არადა, იმავე დღეს კიდევ ერთხელ არ მივიდა პრესკონფერენციაზე **ჟოზე მოურინიო**, რა თქმა უნდა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე...

### იცით თუ არა, რომ...

* ლიონელ მესიმ პარიზში მიღებული ტრავმის გამო ვერ ითამაშა „მალიორკასთან", რის გამოც ზედიზედ მე-20 ტურში ველარ გაიტანა. საოცარი სერია შეწყდა.

* კრიშტიანო რონალდო ლა ლიგაში ზედიზედ მესამედ იყო სათადარიგო ფეხბურთელი, ასეთი რამ მის მადრიდულ კარიერაში აქამდე არ მომხდარა.

* **სესკ ფაბრეგასმა „ბარსელონას"** ხუთივე გოლში მიიღო მონაწილეობა.

### ტურის ფრაზები

**ლუკას ალკარასი:** *„მე მხოლოდ წინსვლა მასწავლეს, უკან არ დავიხევ. დამიჯერეთ, ეს ისევ ის გუნდია, რომელმაც მადრიდელებს მოუგო. ჩვენ გვაქვს პასუხები რთულ კითხვებზე. დღეს კი ფანებისთვის ბოდიშის მოხდის დღეა"*, - „გრანადას" თავკაცი ანდალუსიურ დერბიში განადგურების შემდეგ.

**ფილიპ მონტანიე:** *„ეს არ იყო გადამწყვეტი გამარჯვება ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში. მეოთხე ადგილისთვის სხვა გუნდებიც იბრძვიან. დღევანდელი დღით, ზურუტუზას და ველას ტრავმებს თუ არ ჩავთვლით, ძალიან კმაყოფილი ვარ - ეფექტურად ვითამაშეთ"*, - „რეალ სოსიედადი" და მისი ფრანგი თავკაცი აღარ ხუმრობენ.



**ერიკ აბიდალი:** *„მადლობა ჩემს ბიძაშვილს, მის გარეშე მე დღეს აქ ვერ ვიქნებოდი"*, - „ბარსელონას" ფრანგი მცველი ფეხბურთში დაბრუნების შემდეგ.

**სესკ ფაბრეგასი:** *„ცენტრფორვარდად თამაში გამომდის, მაგრამ „ბარსაში" ეს პოზიცია მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელს აქვს დაკავებული"*, - მესის პოზიციაზე თამაშისას ჰეთთრიკის შესრულების შემდეგ.

**დიეგო სიმეონე:** *„ბოლო დროს მოწინააღმდეგეებმა „ატლეტიკოს" წინააღმდეგ ეფექტური კონტრთამაში შეიმუშავეს"*, - „ატლეტიკოს" თავკაცს სიახლის ძებნა მოუწევს.

### ტურის მსხვერპლები

**დავიდ ზურუტუზა** (რეალ სოსიედადი)
**კარლოს ველა** (რეალ სოსიედადი)
**ალექსის სანჩესი** (ბარსელონა)
**პედრო ლეონი** (ხეტაფე)

როგორც ხედავთ, განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „რეალ სოსიედადი" დაზარალდა, რომელსაც ორი წამყვანი შემტევი დაუშავდა.

ფეხბურთელთა გარდა ტურის მსხვერპლთა სიაში შევიყვანდით „სარაგოსას" იმ ოციოდე ფანს, რომლებიც ლა კორუნიის ერთ-ერთ ბარში დაარბიეს „დეპორტივოს" ულტრასებმა. ერთ-ერთი მათგანი საკმაოდ სერიოზულადაც დაიჭრა და ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა.

### ტურის საუკეთესო გოლი

**გონსალო იგუაინი** (რეალი) „ლევანტეს" კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა) საგოლე პასი ალექსის სანჩესს.

### ტურის სტატისტიკა

38 გოლი ტურში (3,8 მატჩში). 6 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 3 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 62 ყვითელი ბარათი 7 წითელი დაარიგეს.

ჰეთთრიკი: **სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა)
დუბლი: **ალექსის სანჩესი** (ბარსელონა), **რუბენ კასტრო** (ბეტისი), **მესუთ იოზილი** (რეალი), **ალვარო ნეგრედო** (სევილია).
**რობერტო სოლდადომ** (ვალენსია) ვერ გაიტანა პენალტი
ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ოლივერ ტორესი** (ატლეტიკო, 18 წლის).
ყველაზე მეტი მაყურებელი: 65 120 - „კამპ ნოუ"
ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 13 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 36 - რეალი
ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 13 - ვალენსია
ყველაზე მეტი ჯარიმა: 20 - ატლეტიკო
ყველაზე მეტი კუთხური: 17 - გრანადა
ყველაზე მეტი თამაშგარე: 8 - დეპორტივო
ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 73% - რეალი

### მომდევნო ტური

12 აპრილი: ბეტისი-სევილია.

13 აპრილი: ვალიადოლიდი-ხეტაფე, ლევანტე-დეპორტივო, ესპანიოლი-ვალენსია, მალაგა-ოსასუნა.

14 აპრილი: რაიო ვალეკანო-რეალ სოსიედადი, ატლეტიკო-გრანადა, სარაგოსა-ბარსელონა, ბილბაო-რეალი.

15 აპრილი: მალიორკა-სელტა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ტურის გმირი

**სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)**



ტურის მიმოხილვაშიც გამოვთქვით ვარაუდი - ხომ არ უშლის ლეოს ფაქტორი 27 წლის სესკ ფაბრეგასის გაბრწყინებას? ყოველ შემთხვევაში 30-ე ტურმა ამის საფუძვლიანი ეჭვი დაგვიტოვა. 65 წუთში მან ჰეთთრიკი შეასრულა (პირველი კარიერაში), ერთი დიდებული საგოლე პასი გააკეთა და ერთიც მის დარტყმულს დაამატეს. ლეოს არყოფნაში შეტევაში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა გაილაღა - ალექსის სანჩესმა (2 გოლი და 2 საგოლე პასი).

დებიუტანტი ერთია - „ესპანიოლიდან" პირველი გოლის (თავური) ავტორი ექტორ მორენო. კრიშტიანო რონალდო მე-13-დ მოხვდა სიმბოლურში, ხოლო სესკ ფაბრეგასი მე-7-დ.

### ბომბარდირები

43 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### ასისტენტები

14 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
11 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
10 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

54 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
35 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
23 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### მე-12 ფეხბურთელი

**ანტუან გრიზმანი** (სოსიედადი)

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები



დორტმუნდის ბორუსია ნახევარფინალში ფელიპე სანტანას გოლმა გაიყვანა

# დორტმუნდის სასწაული

## გალა და რეალი კარგად გაერთნენ

### დორტმუნდი-მალაგა 3:2 (0:0)

**გოლები:** 0:1 ხოაკინი (25), 1:1 ლევანდოვსკი (40), 1:2 ელიზეუ (82), 2:2 როისი (91), 3:2 ფელიპე სანტანა (92)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - გიუნდოგანი (86. ჰუმელსი), ს. ბენდერი (72. ნ. შაჰინი) - ბლაშჩიკოვსკი (72. შიბერი), გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, დემიკელისი, ანტუნეში - ტულალანი, კამაჩო - ხოაკინი (87. პორტილიო), ისკო, დუდა (74. ელიზეუ) - ჟულიო ბაპტიშტა (83. სანტა კრუსი).

**გაფრთხილება:** ს. ბენდერი, შმელცერი - ხესუს გამესი, ტულალანი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 16(9)-8(5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 65 829

დორტმუნდის „ბორუსია" ამ წყვილის აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ ნახევარფინალში გასასვლელად სასწაული დასჭირდა. **იურგენ კლოპის** გუნდი „მალაგასთან" ორჯერ აგებდა და თამაში მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში, **მარკო როისისა** (91) და **ფელიპე სანტანას** (92) გოლებით შეატრიალა. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტი გოლის მომენტში ორი ეპიზოდი ჰგავდა თამაშგარე მდგომარეობას - ჯერ **იულიან შიბერი** გახლდათ ოფსაიდში, მერე კი სანტანა, მაგრამ აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „მალაგას" მეორე გოლიც თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა (**ელიზეუ**).

*„ორი ზღაპრული გოლი 91-ე და 92-ე წუთებზე! მთელი ღამე ვიზეიმებთ!"* - თქვა მატჩის შემდეგ კლოპმა.

*„ეს მატჩი სიკვდილამდე მეხსომება! ჩვენ ხომ ფაქტობრივად მკვდრები ვიყავით და ალბათ ბოლო წუთებში აღარავის სჯეროდა, რომ ნახევარფინალში მაინც გავიდოდით,"* - ეს „ბორუსიას" გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, დორტმუნდელებმა თამაში ძალიან ნერვიულად დაიწყეს და 25-ე წუთზე სამართლიანად დაისაჯნენ: **ისკოს** პასი **ხოაკინმა** შეირგო და ანგარიში გახსნა. „ბორუსიამ" ისე ვერ მოუმატა, როგორც საჭირო იყო, მაგრამ კლოპის ბიჭებმა პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში მაინც გაათანაბრეს: **გიოტცემ** როისი მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი მოხდენილი პასით, ბურთი ქუსლით გაატანა **ლევანდოვსკის**, რომელიც **კაბალიეროს** გასცდა და ცარიელი კარი დალაშქრა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დორტმუნდელთა პოლონელმა გოლეადორმა დუბლის შესრულების იდეალური შანსი გაანიავა - მას კაბალიერომ აჯობა. მერე კი უკვე „ბორუსიას" მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** იხსნა თავისიანები. კლოპმა თამაშში **ნური შაჰინი** და **იულიან შიბერი** ჩართო, შეგირდებს ანდალუსიელთა დაწნეხვა უბრძანა, მაგრამ შავ-ყვითლები მასირებული იერიშების განხორციელებას ვერ ახერხებდნენ. 76-ე და 79-ე წუთებზე ჯერ როისს, მერე კი გიოტცეს მართებდათ გატანა. სამ წუთში კი, ყველასათვის მოულოდნელად, „მალაგამ" გაიტანა - ზემოთაც ვთქვით, რომ ელიზეუს გოლის მომენტი ძალიან ჰგავდა თამაშგარე მდგომარეობას.

იმ დროს, როცა ყველამ იფიქრა, რომ ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშების ყველაზე სენსაციური გუნდი „მალაგა" ნახევარფინალში გავიდა, დორტმუნდელებმა მსაჯის მიერ დამატებულ პირველ და მეორე წუთებზე ორი გოლი გაიტანეს და წარმოგვიდგენია, ფეხბურთის რამდენ მოყვარულს გაახსენეს 1999 წლის ფინალი...

### გალათასარაი-რეალი 3:2 (0:3)

**გოლები:** 0:1 კ. რონალდო (8), 1:1 ებუე (58), 2:1 სნეიდერი (71), 3:1 დროგბა (72), 3:2 კ. რონალდო (92)

**გალათასარაი (4-1-2-1-2):** მუსლერა - ებუე (80. ელმანდერი), სემი კაია, გიოქჰან ზანი, რიერა - ფელიპე მელო - ჰამით ალთინთოფი (46. ამრაბატი), სელჩუკ ინანი - სნეიდერი - უმუთ ბულუთი (63. საბრი), დროგბა.

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - ესიენი (31. არბელოა), ვარანი, პეპე, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, მოდრიჩი - დი მარია, იოზილი (81. რაულ ალბიოლი), კ. რონალდო - იგუაინი (73. ბენზემა).

**გაფრთხილება:** სნეიდერი, ებუე, ამრაბატი

**გაძევება:** არბელოა (90. რეალი)

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13(5)-9(5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 50 734

ამ წყვილში პირველი მატჩის (რეალი-გალათასარაი 3:0) შემდეგ ყველაფერი გარკვეული იყო, მაგრამ თურქულ გრანდს ეს გამარჯვება მაინც აქტივში ჩაეთვლება. საინტერესოა ის, რომ ზუსტად ისე, როგორც 2001 წელს, პირველი ტაიმი ამჯერადაც „რეალმა" მოიგო, თამაში კი - „გალათასარაიმ".

მიუხედავად იმისა, რომ 72-ე წუთზე **დიდიე დროგბამ** ანგარიში 3:1 გახადა და იმ მომენტში „გალას" ყველა დროის უდიდესი საფეხბურთო სასწაულისთვის ორი გოლიღა სჭირდებოდა, მადრიდელებს რეალური ნერვიულობა არ დასტყობიათ, **ჟოზე მოურინიოს** გუნდის ნახევარფინალში გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. ბოლოს **კრიშტიანო რონალდომ** დუბლი გაიფორმა და საბოლოო ჯამში, ორივე გუნდისთვის კომფორტული ანგარიში (3:2) დააფიქსირა. „გალათასარაის" გასალანძღადენა არავის მოუბრუნდება, ნახევარფინალში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, „რეალი" ითამაშებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ფარიკაობა



# იქნებ, იმედმა დღეს გაგვიმართლოს

ქართველმა მოფარიკავე **ლუკა ღაღანიძე**, როგორც გაუწყეთ, სხვა ქართველ სპორტსმენებთან ერთად ხორვატიის ქალაქ პორეცში კადეტებისა და ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე რაპირათი ცდიდა ძალებს. ჯგუფში მან სამ მეტოქეს სძლია, თუმცა თავადაც ამდენივე შეხვედრაში დამარცხდა. პლეი ოფში ზედიზედ ორი კონკურენტი ჩამოიშორა - დიდი ბრიტანელი დანიელ კისი (15:11) და ავსტრალიელი ედვარდ ფიტჯერალდი (15:7). გუშინ პაექრობების განახლებისას ამერიკელ აქსელ კიფერთან წააგო 2:15 და საბოლოოდ 32-ე ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. ფრანჩესკო ინგარჯოლა (იტალია), 2. ტომაზო კიუტი (იტალია), 3. მარატ ბაკიროვი (რუსეთი) და ტოშია საიტო (იაპონია).

ხმლით მოფარიკავე კადეტებში გამოდიოდა **ქრისტინე ნოზაძე**. ჯგუფში მან აჯობა ალა მუკატოვას (ყაზახეთი, 5:3), ვანესა ინფანტეს (მექსიკა, 5:4), ანასტასია ივანოვას (აშშ, 5:3), ხოლო მარია შოურის (საბერძნეთი, 2:5), შრეია ანელისა (დიდი ბრიტანეთი, 3:5) და ფატმა კოსეს (თურქეთი, 0:5) დანებდა. პლეი ოფში ბრიტანელი ქეით დაიკინი კი დაჯაბნა - 15:8, მაგრამ იტალიელ ელოიზა პასაროს ვერ გასცდა - 4:15. საბოლოოდ 30-ე ადგილს დასჯერდა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. კარენ ნაი ჰინ ჩანი (ჰონგ კონგი), 2. თეოდორა გუდურა (საბერძნეთი), 3. ვანესა ინფანტე (მექსიკა) და ან-სოფი კინდლერი (გერმანია).

გუშინვე მსოფლიოს პირველობაში ახალგაზრდებიც ჩაებნენ. საფარიკაო ბილიკებზე პირველი მოხმალავენი გამოჩნდნენ. საქართველოს სპორტულ ღირსებას სამი სპორტსმენი იცავდა. ახალგაზრდებში 2013 წლის ევროპის ჩემპიონმა **სანდრო ბაზაძემ** ჯგუფში ზედიზედ ექვსი მეტოქე დაამარცხა: მეით ბანშიში (უნგრეთი, 5:0), ჟიძიუ ჟოუ (ჩინეთი, 5:3), აკრამ ბოუნაბი (ალჟირი, 5:2), ლიუბოსლავ ბურნევი (ბულგარეთი, 5:3), რიუტა ჰარიმა (იაპონია, 5:2), პიოტრ მატეისინი (მოლდოვა, 5:1). ასევე, ექვსი მოფარიკავე დაჯაბნა კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა **მიხეილ მარდალეიშვილმა**: ალექსანდრ ტრუშაკოვი (რუსეთი, 5:2), ლუკას რაპაჩი (ბრაზილია, 5:0), სებასტიან კუელარი (კოლუმბია, 5:0), იინ ჩუნგ იამი (ნიკარაგუა, 5:3), კირაკოს-ორესტის პოტუ (საბერძნეთი, 5:1) და შო თანდაი (იაპონია, 5:3).

პლეი ოფში მარდალეიშვილი პირველ ნომრადაა განთესილი. ჩვენებური სტარტზე ისვენებდა, მეორე წრეში მან მუხტარ ვაფაის (ეგვიპტე) მოუგო 15:9 და მეთექვსმეტედფინალში ბელარუს სიარჰეი კისელს დაუპირისპირდება. წარმატებით იასპარეზა სანდრო ბაზაძემაც, რომელმაც, ასევე, მე-2 წრეში ნიკოლაი ზაპოროჟენკოს (მოლდოვა) სძლია 15:8 და დღეს ვენესუელელ ხესუს კარვახალთან გაარკვევს ურთიერთობას. თანაგუნდელებს ბოლომდე ვერ აუბა მხარი **დავით უკლებამ.** მართალია, მან ჯგუფში ესპანელი ფერნანდო პერედა (5:2) და ფრანგი მაქსენ ლამბერტი (5:3) დაჯაბნა, მაგრამ სამ მეტოქესთან (ჩეხ ადამ ჰანუსთან - 4:5, არგენტინელ ივან სტეფანო ლუცეტისთან - 4:5, ტუნისელ რიდჰა ზდირისთან - 2:5) დამარცხდა, პლეი ოფში კორეელ ბინ სანგ მუუნთან წააგო - 5:15 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ახალგაზრდებმა რაპირაშიც (გოგონები) გამართეს წინასწარი შეხვედრები. **თეონა გოგლიძემ** ექვსიდან ოთხ ორთაბრძოლაში წარმატებას მიაღწია. ძლეულთა შორის არიან ნურა მოჰამედი (ეგვიპტე, 5:3), მალინა კალუგარეანუ (რუმინეთი, 5:3), ჰანა ზანევსკაია (ბელარუსი, 5:3) და იონ ალისია კვაჟი (ავსტრალია, 5:2), თავად კი ჯერონიმე მრან-ნიანგას (საფრანგეთი, 3:5) და ზონია ზალაის (უნგრეთი, 1:5) დანებდა. პლეი ოფში კი პირველსავე პაექრობაში ელიანორ ჰარვეისთან (კანადა) 10:15 დამარცხდა.

**ნუცა იაგორაშვილმა** ჯგუფში ყველა შეხვედრა წააგო (კამილა მანჩინისთან (იტალია)-0:5, ელიზავეტ სტანჩუსთან (საბერძნეთი)-2:5, მარტინა სტანჯერთან (დანია)-3:5, ფრეია გენკერთან (ავსტრია)-3:5, ტეკლა ბარტლისა (გერმანია)-1:5 და ანასტასია ლენჩუკთან (უკრაინა)-3:5) და პლეი ოფში ველარ გააღწია.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა

# მინდორაშვილი დატვირთვებს ზრდის

**ევროპის ჩემპიონატი ეს-ესაა, ჩამთავრდა, წინ კი მსოფლიოს პირველობაა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები უკვე შეუდგა ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის მზადებას. მით უფრო, საქმე მართლაც ბევრია. წარმატების მიუხედავად - 2-2 ოქრო-ბრინჯაო ანუ ჯამში ოთხი მედალი 7 წონიდან. ევროპის ჩემპიონატმა ხარვეზებიც გამოავლინა, რომლის დაძლევის გარეშე უმაღლესი დონის შედეგები არ გვექნება. არადა, ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ გუნდში არის რეზერვი, მოვიდა უდავოდ დიდი შესაძლებლობების ვარსკვლავური თაობა, რომელსაც მწვერვალების დაპყრობა შეუძლია, მაგრამ ტალანტის რეალიზაციისთვის ჯერაც დიდი შრომაა საჭირო.**

გუშინ ფალავანთა კლუბს დაბარებულივით იმ დროს ვესტუმრე (არადა, სულ არ ვიყავი საქმის კურსში), როცა „თავისუფალთა" ნაკრებს ფედერაციის პრეზიდენტი და თავადაც უბადლო მოჭიდავე, მსოფლიოს ჭიდაობაში ეპოქის შემქმნელი **ლუკა კურტანიძე** სტუმრობდა. მან პრაქტიკული მეცადინეობებიც ჩაუტარა ბიჭებს ფეხის ბლოკირებაზე, ფეხში შესვლაზე, დგომიდან ჩოქბჯენში გადაყვანაზე... ამის ნახვა ერთ რამედ ღირდა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი კატეგორიული ტონი - 5:0-საც რომ იგებდეთ, უკან დახევა, ბრძოლიდან გაქცევა არ დავინახო, ბოლომდე იბრძოლეთო. ძალიან კარგი და დაბეჯითებული იყო **დავით პოლოსიანის** თეორიული გაკვეთილებიც, სრულყოფილად რომ უხსნიდა ყოველი ილეთის, ყოველი ფანდის არსს... ამის შემდეგ ლუკა კურტანიძე ლეიბზეც შევიდა და თავის შვილს - **ნოდარ კურტანიძეს** ავარჯიშებდა, რომელმაც ჩოქბჯენიდან რამდენჯერმე შესაშური სისხარტით დაატრიალა ეს მსოფლიოს ჩემპიონი კაცი. ჩვენ კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რევაზ მინდორაშვილს** გუნდის უახლოეს გეგმებზე გავესაუბრეთ, რაც მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას ისახავს მიზნად. მინდორაშვილმა ნაკრებს ახალი გეგმა დაუსახა და დღეში ორჯერ ავარჯიშებს.

**- როგორ ემზადებით მსოფლიოს პირველობისთვის, როგორია ნაკრების უახლოესი გეგმები?**

- მზადება უკვე დავიწყეთ - ყოველდღიური ვარჯიში დარბაზში, ვიასპარეზებთ საერთაშორისო შეჯიბრებებში და მერე დავიწყებთ შეკრებებს. 23-27 მაისს მახაჩყალაში ტარდება ალი ალიევის სახელობის დიდი საერთაშორისო ტურნირი და იქ ვიასპარეზებთ, თვის ბოლოს კი ნაწილი იტალიურ სასარიში იჭიდავებს. მსოფლიოს წინ - აგვისტოში პოლონეთშიც გამოვალთ, მაისში კი თბილისში საქართველოს თასსაც ჩავატარებთ, სადაც ყველა იასპარეზებს.

**- ევროპის ჩემპიონატმა რა გიკარნახათ - რაა შესაცვლელი, დასამატებელი, რა ასპექტშია სწორი კურსი აღებული?**

- ტურნირმა დაგვანახვა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ, მაგრამ უნდა გავზარდოთ კონკურენცია, რაც ყველაზე მთავარია. ჩვეულ რეჟიმში ვიმუშავებთ - უნდა გავაძლიეროთ ტექნიკა, სისწრაფე, ძალა, გამძლეობა. ჭიდაობაში ყველაფერი მნიშვნელოვანია და თუ ჩემპიონობა გინდა, ყველა კომპონენტში თანაბრად ძლიერი უნდა იყო. ფიზიკური დატვირთვებიც გაძლიერდება. ცხადია, ყურადღება მიექცევა ტაქტიკასაც.

საერთოდ, ამ ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ რეზერვი არის, რაც კარგია, მაგრამ მთლიანად ვერ გამოვიყენეთ.

**- რატომ, რა იყო მიზეზი?**

- დრო არ გვეყო რეფორმებისთვის. როცა მოვედით, უკვე ყველა წონა გარკვეული იყო, ახალი ხალხის წარმოსაჩენად კი დრო არ გვქონდა. ოლიმპიადის შემდეგ საკადრო ცვლილებები ხდება - ზოგი სპორტიდან მიდის, ზოგიც წონას იცვლის... ამ ცვლილებებით გამოწვეული პროცესების დასაბალანსებლად დრო გვჭირდება. მაგალითად, დრო გვინდა, რომ 66-ში გავზარდოთ კონკურენცია და იქ ვინცაა, ყველას მიეცეს შეჯიბრებაზე წასვლის, თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ტურნირებზე კარგად ჩანს, ვის რა შეუძლია. როგორც გითხარით, უახლოეს პერიოდში ორ ტურნირში გამოვალთ - ნაწილი მახაჩყალაში წავა, ნაწილი - იტალიაში. ასე იმიტომ ვანაწილებთ, რომ ყველას მიეცეს თავის გამოვლენის შანსი. ზოგმა თვითონ ირჩია მახაჩყალა, რადგან იქ უფრო დატვირთული, ძლიერი ტურნირი იქნება, ზოგს კი არ სჭირდება ამდენი დატვირთვა და ის იტალიაში გამოვა.

**- თუმცა ტურნირებში მაინც ძირითადად ლიდერები წავლენ, მესამე-მეოთხე ნომრებისთვის არის შეჯიბრებები განსაზღვრული?**

- ისინიც მიმყავს, შერეული გუნდებით გამოვალთ, რათა ყველას მივცეთ შანსი. არავინ იცის, მომავალში რა მოხდება. შეიძლება, ასეთი შანსით იმ მესამე-მეოთხე ნომერს მეტი სტიმული მიეცეს და ხვალზეგ ის უკეთესი გახდეს. მისი დაწინაურება გუნდისთვისაც კარგი იქნება და - ლიდერისთვისაც, რომელიც არ მოდუნდება, მუდამ ფორმაში იქნება.



რევაზ მინდორაშვილი

**- დღეში ორჯერადი ვარჯიში თქვენს პრაქტიკაში ნოვაციაა. რამ გიბიძგათ ამისკენ?**

- დილით ხალიჩაა ძირითადი, საღამოს კი უფრო ფიზიკურ დატვირთვას და გამძლეობას ვაქცევთ ყურადღებას თავისი მოქნილობით. ეს საჭიროა ჭიდაობაში, რომ გაუძლოს შეჯიბრებას ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, გადალახოს ყველა ეტაპი.

**- ლიდერები ანუ ევროპის პირველობის მედალოსნები ჩვეულებრივ შეუდგნენ მზადებას თუ დასვენების საშუალება მიეცით?**

- ზოგს ტრავმა აქვს, ზოგს ასეთი დაძაბული შეჯიბრების მერე განტვირთვის, დასვენების საშუალება უნდა მისცე, მაგრამ გაივლის ეს დათქმული დრო და მერე ყველა ჩვეულებრივი დატვირთვით, სერიოზულად შეუდგება ვარჯიშს. ჩვენ ამას მკაცრად გავაკონტროლებთ. საქართველოს თასსაც იმიტომ ვატარებთ, რომ მათი მომზადება შევამოწმოთ.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ენგურ გოგიჩაიშვილის მემორიალი

# გიგა გელაშვილი ისევ პირველია



+90 კგ. კვარცხლბეკი

გორმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა ენგურ გოგიჩაიშვილის მემორიალურ ტრადიციულ ტურნირს ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის. გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში გორელთა გარდა საასპარეზოდ თავი მოიყარეს მცხეთის, დუშეთის, კასპის, ქარელის, ყვარლის, მარნეულის, ბოლნისის, მესტიისა და თბილისის 1994-1996 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა გუნდებმა. შეჯიბრებაზე ამ ასაკის ბევრმა ძლიერმა ძიუდოისტმა იასპარეზა, თუმცა ვერ იჭიდავა იმ შემადგენლობამ, რომელიც პარალელურად ახალგაზრდებს შორის სალონიკში მიმდინარე ევროპის თასზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა. მაგალითად, საბერძნეთში გაჩემპიონებული გორელი **ანდრო ბერუაშვილი,** ე. გოგიჩაიშვილის შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული, ხოლო სალონიკში ბრინჯაოს პრიზიორი **მინდია ლოლიჯაშვილი** - ფინალისტი იყო. ამიტომ წლეულს გორელებმა ორი პირველი ადგილი იკმარეს, თუმცა შარშანდლის მსგავსად, წარმატება ახლაც იზეიმა მათმა მძიმეწონოსანმა **გიგა გელაშვილმა.** გამარჯვებულთა რაოდენობით უკეთესი შედეგი თბილისელებს ჰქონდათ (სამი). გორელთა მსგავსად, კარგად იასპარეზეს ბოლნისელებმა (ორ-ორი გამარჯვებული), ერთი გამარჯვებული ჰყავს კასპს. ტურნირი გორის მუნიციპალიტეტთან არსებული ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი **ანზორ თენაძე**) და შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაციის (პრეზიდენტი **ბორის გოგიჩაიშვილი**) მიერ იყო ორგანიზებული.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. გიორგი მირუაშვილი (გორი), 2. გიორგი შუკვანი, 3. ოთარ თამლიანი (ორივე - მესტია), ბექა მელქუაშვილი (გორი).

**55 კგ.** 1. რატი ასლანიშვილი (თბილისი), 2. ტატო ტატულაშვილი (გორი), 3. როინ რატიანი (მესტია), რამაზ გუგულაშვილი (კასპი).

**60 კგ.** 1. თამაზ ნოზაძე (გორი), 2. სანდრო ხუციანიძე (თბილისი), 3. ვიქტორ ოდიაშვილი, გიორგი ზუბაშვილი (ორივე - გორი).

**66 კგ.** 1. ცოტნე მელაშვილი (თბილისი), 2. ჯუბა ჩიხიაშვილი (ყვარელი), 3. ილია ლეკიაშვილი (თბილისი), ვალერი ახვლედიანი (მარნეული).

**73 კგ.** 1. ვალერი იაშვილი, 2. ლაშა ლიპარტელიანი (ორივე - კასპი), 3. თემო გოგიაშვილი, გიორგი გელაშვილი (ორივე - თბილისი).

**81 კგ.** 1. ლერი დადვანი, 2. სოლომონ ჯოჯუა, 3. ბორის შავრეშიანი (სამივე - ბოლნისი), გიორგი ხოხობაშვილი (თბილისი).

**90 კგ.** 1. ნოდარ ბერიანი (ბოლნისი), 2. ნიკა აბულაძე (დუშეთი), 3. შოთა ჟორჟოლიანი (ბოლნისი), ბორის ბიჩინაშვილი (გორი).

**+90 კგ.** 1. გიგა გელაშვილი (გორი), 2. ზაზა ხუბულური (თბილისი), 3. ნიკოლოზ მახალდიანი (ბოლნისი), დიტო გუგულაშვილი (კასპი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ძალოსნობა

# ტირანაში ხუთი ათლეტით

ალბანეთის დედაქალაქში დაიწყო ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მედლებისთვის ხუთი ქართველი ათლეტიც იბრძოლებს. ესენი არიან: ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **რაულ ცირეკიძე** (ქუთაისი, 85 კგ), **ვაჟა ლონლაძე** (ქუთაისი, 94), 23-წლამდელებში ევროპის მეორე პრიზიორი **დავით გოგია** (ზუგდიდი, 105), **ალბერტ კუზილოვი** (თბილისი, 105), რომელიც დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა ფიცარნაგს და შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი **ირაკლი თურმანიძე** (აჭარა, მძიმე წონა). ქართველები პაექრობაში 12 აპრილიდან ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ჩემპიონობა ვადამდე

წლეულს თურქეთში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა გაიმართება. იმ შეჯიბრებაში ქართველ ვაჟთაგან საერთაშორისო ოსტატი **ზურაბ ჯავახაძე** იასპარეზებს. ეს ცნობილი გახდა გუშინ 20-წლამდელთა საქართველოს პირველობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე - ჯავახაძემ შავი ფიგურებით მე-8 ტურში გიორგი სიბაშვილს სძლია, მოაგროვა 7,5 ქულა და ქვეყნის ჩემპიონობა ვადამდე მოიპოვა. 6 ქულით მეორე ადგილზეა ირაკლი ბერაძე, 5,5-5,5 ქულით გიორგი ნიკოლაშვილი და ნოდარ ლორთქიფანიძე მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.



ზურაბ ჯავახაძე

ამავე ასაკის გოგონებში 7 ქულით ანა კუჭავა ლიდერობს. ნახევარ-ნახევარი ქულით მერი არაბიძე და ანა შამათავა ჩამორჩებიან. ოქროს მედლისა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მფლობელის ვინაობა ანა კუჭავა-მარიამ ვალიშვილის, მარიამ ჭოლაძე-ანა შამათავას, მერი არაბიძე-ნინო გუმბარიძის ბოლო ტურის პაექრობებში გაირკვევა.

**12-წლიან** გოგონებში ელენე კოსტავა მეწინავეობს. ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებენ სალომე სანიკიძე და ლილე ქორიძე, რომლებმაც 6-6 ქულას მოუყარეს თავი. ბიჭებში კოკა ბუკიამ ნიკა ხვადაგიანი დაამარცხა და 7 ქულით გათამაშების ცხრილს ჩაუდგა სათავეში. 6,5 ქულით მეორეა ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ხოლო დავით კამკია და მათე თოდაშვილი 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებზე არიან. პრიზიორებს დღევანდელი მე-9 ტურის შვიდი შეხვედრის შედეგი დაასახელებს: სალომე ხუცურაული (5,5)-ელენე კოსტავა (6,5), სალომე სანიკიძე (6)-ლილე ქორიძე (6), სანდრა კაპანაძე (5,5)-თამარ ესაძე (5); კოკა ბუკია (7)-ლუკა ობოლაძე (5), ნიკოლოზ პეტრიაშვილი (6,5)-ცოტნე ქვარცხავა (5), ლუკა შამუგია (5)-დავით კამკია (6), ანტონ ნადირაძე (5)-მათე თოდაშვილი (6).

**ვაჟა დანელია**

*სოფიკო ნიკოლაძის ფოტო*

დარბაზის ჰოკეი





# ორივე თასი ქუთაისში დარჩა

## თემურ არჩაიას სახელობის ტურნირი

**საქართველოში ბალახის ჰოკეის ფუძემდებლისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თემურ არჩაიას სახელობის ტურნირს დარბაზის ჰოკეიში ტრადიციულად ქუთაისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.**

გასულ წლებში ამ ტურნირს საერთაშორისო სტატუსი ჰქონდა და ქუთაისში სათამაშოდ ძირითადად სომხური გუნდები ჩამოდიოდნენ, რიგით მეცხრე შეჯიბრებაზე სტუმრების მოწვევა ვერ მოხერხდა და ტურნირზე მხოლოდ ვაჟთა და ქალთა 44-მა ქართულმა გუნდმა იასპარეზა.

პირველ ნახევარფინალურ წყვილში „ქუთაისმა“ „ბათუმს“ 3:1 მოუგო, მეორე შეხვედრა კი გაცილებით დრამატული და უხვგოლიანი გამოდგა, რომელშიც „ლანჩხუთმა“ „აბაშას“ 7:6 აჯობა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. „ქუთაისისა“ და „ლანჩხუთის“ ფინალური დაპირისპირება მასპინძლების უპირატესობით წარიმართა. **დავით მოდებაძისა** და **ხვიჩა ჯავახაძის** მიერ გაწვრთნილმა ქუთათურებმა 6:2 იმარჯვეს და თასს დაეუფლნენ.

ვაჟებს თანაქალაქელი გოგონებიც არ ჩამორჩნენ და პირველობა მათაც არავის დაუთმეს. მათ პლეი ოფში „აბაშას“ მოუგეს 3:0 და ფინალში მეორე წყვილში გამარჯვებულ „ბათუმს“ დაუპირისპირდნენ. ზღვისპირელებმა ფინალის საგზური „ლანჩხუთთან“ დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვეს (შეხვედრის ძირითადი დრო 2:2 დასრულდა და ბათუმელებმა პენალტების სერიაში აჯობეს გურულებს). მთავარი მატჩი ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 2:0 დასრულდა. ასე რომ, თემურ არჩაიას სეხოლობის ორივე თასი ქუთაისში დარჩა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად ქუთაისის ქალთა და ვაჟთა გუნდის წევრები **ლელა სვინტრაძე** და **გრიგოლ გერაძე** დაასახელეს.

9 აპრილს ჰოკეისტები ჩოხატაურს ესტუმრნენ და იქ 9 აპრილს დაღუპული ნატო გიორგაძის სახელობის ტრადიციული ფესტივალი ჩაატარეს.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

წყალბურთი. მოვლენის შემდეგ

# სარფიან შემოთავაზებას მეგობრების ერთგულება არჩია

რამდენიმე დღის წინათ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თბილისის ტურში საქართველოს ნაკრებმა სამ მეტოქეს სძლია, ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრა და პირველი ადგილი დაიკავა. „ჯვაროსანთა“ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ნატურალიზებული თავდამსხმელი **დამირ ცრეპულია**, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარში 11 ბურთი გაიტანა.

29 წლის ჩერნოგორიელი წყალბურთელი ამჟამად ბუდვაში ცხოვრობს და ადგილობრივი კლუბის შემადგენლობაში ხორვატ, ჩერნოგორიელ და სლოვაკ წყალბურთელებთან ერთად ადრიატიკის თასის გათამაშებაში მონაწილეობს. მისი გუნდი მე-4 ადგილზეა.

- შვიდი წლის ვიყავი, ცურვაზე რომ დავიწყე სიარული, - გვითხრა ცრეპულიამ. - მერე წყალბურთზე გადავინაცვლე და ორი ათეული წელიწადია, სპორტის ამ სახეობისთვის არ მიღალატია. თავიდან „პრიმორაცში“ გამოვდიოდი, მერე - იადრანის „ჰერცეგნოვიში“, ერთი წელიწადი საუდის არაბეთის „არ-ახლის“ შემადგენლობაში ვიყავი, ახლა „ბუდვაში“ ვარ.

**- გვსმენია, წარმატებებისთვისაც არაერთხელ მიგიღწევიათ.**

- „პრიმორაცში“ 10 წელიწადი ვითამაშე. ორჯერ ჩერნოგორიის ჩემპიონი გავხდი, ერთხელ ქვეყნის თასი მოვიპოვე, ევროპის ჩემპიონთა თასზე მეორე ადგილზე გავედი. 2008 წლის ადრიატიკის ჩემპიონი ვარ. ექვსი წლით ადრე კი ახალგაზრდების ევროპის პირველობა მოვიგე.

**- საქართველოს ნაკრებში როგორ აღმოჩნდით?**

- იოვან პოპოვიჩთან ერთად „პრიმორაცის“ შემადგენლობაში კარგა ხანს გამოვდიოდი. ახლოს ვიცნობ ზვიად დავითიანსაც. ორი წლის წინათ მათ მთხოვეს, საქართველოს მოქალაქეობა მიმეღო და ქვეყნის ნაკრებში მეთამაშა. დავთანხმდი. მართალია, მერე მაკედონიიდან უფრო სარფიანი შემოთავაზება მივიღე, მაგრამ სიტყვას როგორ გავტეხდი, მეგობრებს ხომ არ ვუღალატებდი. თბილისს პირველად შარშან ვეწვიე და საერთაშორისო ტურნირშიც ვიასპარეზე.

**- ამ შესარჩევ ეტაპზე რას იტყვით?**

- თბილისის ტურში სერიოზული მეტოქეები გვყავდა. განსაკუთრებით სლოვაკეთის ნაკრები მინდა გამოვყო. ამ გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობა თითქმის 10 წელიწადია, ერთად თამაშობს და ბიჭებს უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის. ამიტომაც მიიჩნეოდნენ A ჯგუფის ფავორიტებად. ბრიტანელებსაც ჩვენსავით ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ, მაგრამ შეთამაშება მოასწრეს, რადგან ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ პერიოდში ბევრ ქვეყანაში იასპარეზეს, ახლაც არანაკლებს მოგზაურობენ და მიზანსაც აღწევენ. ჩვენი ნაკრების შედეგებით კმაყოფილი ვარ. ერთად გამოსვლის მეტი გამოცდილება რომ გვქონოდა, სლოვაკეთსაც მოვუგებდით. ალბათ, ეს დროც მალე მოვა. შესარჩევ ეტაპზე ურიგო სტარტი არ აგვიღია. ვფიქრობ, პლეი ოფის საგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს, თუმცა მანამდე კიდევ ორი რაუნდია გასავლელი.

**- აქაურობას როგორ შეეწყვეთ?**

- მართალია ვარჯიშებსა და მატჩებს შორის შუალედში თავისუფალი დრო ცოტა გვქონდა, მაგრამ თბილისისთვის ცალი თვალის გადავლება მაინც მოვასწარი. ლამაზი ქალაქია. ხალხი, როგორც ჩერნოგორიაში, სტუმართმოყვარე და ყურადღებიანია. გემრიელი კერძები გაქვთ, ნაირგვარიც. ხაჭაპურიც გავსინჯე, მწვადიც, ხინკალიც, მაგრამ, არ გაგეცინოთ და, ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩვენებური სუპი მომენატრა...

**- საქართველოს სახელით ასპარეზობა კიდევ როდის მოგიწევთ?**

- ალბათ, ივნისში - თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ივლისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ.

**ვაჟა დანელია**



დამირ ცრეპულია

რეგიონი. ხელბურთი



# გორში ხელბურთი ვითარდება

გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის დარბაზი ამ დღეებში ხელბურთში 2000-2001 წლებში დაბადებულთა ტურნირის სარბიელად იქცა. შეჯიბრება ვეტერანი ხელბურთელის (თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“) **ლევან იაშვილის** დაბადების 77-ე წელს მიეძღვნა. ბატონი ლევანი აქტიური სპორტული კარიერის შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელია გორის უნივერსიტეტში მუშაობს. გორის სასპორტო სკოლის (დირექტორი **კონსტანტინე ხუბულური**) და სპორტული ცენტრის (დირექტორი **ნოდარ მეტრეველი**) მიერ ორგანიზებულ ტურნირში გორის, თელავის, რუსთავის, სამტრედიის, ქუთაისის, თბილისის 161-ე და 175-ე სკოლების გუნდებმა იასპარეზეს. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა და ვინაიდან გორის და 161-ე სკოლის გუნდ „პეგასს“ თანაბარი ქულები აღმოაჩნდათ, ხოლო შეხვედრაც ფრედ დასრულდა, გამარჯვებულები ბურთების უკეთესი სხვაობით მასპინძლები გახდნენ.

შეჯიბრების დასასრულს ვეტერანმა ხელბურთელებმა, რომელთა შემადგენლობაში თვით 77 წლის ლევან იაშვილი და საპრიზო ადგილზე გასული გუნდების მწვრთნელები თამაშობდნენ, ახალგაზრდა ხელბურთელებს გაეჯიბრნენ და მოუგეს კიდეც.

აღსანიშნავია, რომ ამ ასაკში, თბილისის გარდა, ასეთი წარმომადგენლობითი ტურნირი არსად ჩატარებულა. გორელებმა კი თბილისის უკანასკნელი ორი პირველობის გამარჯვებულ გუნდს აჯობეს. გამოჩნდა, რომ გორში ხელბურთი რიგიანად ვითარდება. სამწუხაროდ, დარბაზის სიმცირის გამო გორში უფროს ასაკში მატჩის ჩატარება ვერ ხერხდება.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა 2012-13. XIX ტური. საუკეთესონი

# დინამოელთა დომინირებით

21-ე ჩემპიონატის 21-ე ტურის ცენტრალურმა შეხვედრამ გაამართლა: საინტერესო ბრძოლაში ბევრისთვის მოულოდნელად „დინამომ" „შსს აკადემიას" ბოლო წამებზე აჯობა. გუნდის ლეგიონერებთან ერთად გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა **ბექა ჩიკვილაძემ** (1991 წელსაა დაბადებული), რომელიც ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მან 4-დან 2 ორქულიანი, 7-დან 5 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 20 ქულას 4-4 პასი-ჩაჭრა მიამატა.

ლოგიკას მოკლებული არ არის, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ბექას გარდა კიდევ ორი დინამოელი მოხვდა - **ქიენ კარტერი** და **ლამარ კარიმი**. ცენტრის პოზიციაზე სიმბოლურში მოხვედრას იმსახურებდა ასევე „დინამოს" მეფარე **მილან ოლუიჩი**, მაგრამ სიმბოლურ ხუთეულში ცენტრობა არავის დაუთმო სოხუმელმა **სერგო ათუაშვილმა**, რომელსაც ტურში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი აღმოაჩნდა - 40. მის სტატისტიკას სიმბოლურ ნაკრებში იხილავთ, აქ კი დავამატებთ, რომ სერგოს ანგარიშზე (1985 წელსაა დაბადებული, 224 სმ სიმაღლისაა) 5 სამქულიანია.

სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით ტურში მეორე იყო ოლიმპელი **აკაკი დვალიშვილი** (39), რომლის შეჩერება სტუ-ელებმა ვერ შეძლეს.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ დღეს, 13 საათზე, ვაკეში, სპორტის სამინისტროს დარბაზში გაიმართება გადადებული მატჩი „დინამოსა" და „სოხუმს" შორის, შაბათს კი რეგულარული ეტაპი დასრულდება.




| | |
|---|---|
| შსს აკადემია-დინამო | 78:80 |
| ოლიმპი-სტუ | 123:66 |
| სოხუმი-სამედიცინო | 95:66 |
| ბათუმი-არმია | 61:88 |
| ქუთაისი-თსუ | 73:63 |

## რეკორდები

**ქულა**

49 - ნეით ბოუი (რუსთავი)
2-ქულ 17/29; 3-ქულ 5/10; საჯ 0/2
09.03.13 სოხუმი-რუსთავი

**მოხსნა**

26 - სერგო ათუაშვილი (სოხუმი)
(მეტოქ: 5; საკუთ: 21)
09.03.13 სოხუმი-რუსთავი

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედიცინო)
15.12.12 სამედიცინო-სტუ
12 - მალხაზ აბაიშვილი (რუსთავი)
04.02.13 რუსთავი-სტუ
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
06.02.13 სამედიცინო-ქუთაისი
12 - გივი ბაქრაძე (თსუ)
23.02.13 თსუ-ოლიმპი
12 - ლაშა გამყრელიძე (არმია)
23.02.13 სტუ-არმია

**ჩაჭრა**

8 - ლევან ფაცაცია (ოლიმპი)
23.02.13 თსუ-ოლიმპი

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

### ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 19 | 409 | 21.53 |
| 2 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 14 | 301 | 21.5 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 19 | 386 | 20.32 |
| 4 | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 17 | 333 | 19.59 |
| 5 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 19 | 329 | 17.32 |
| 6 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 19 | 320 | 16.84 |
| 7 | ლამარ კარიმი | დინამო | 17 | 280 | 16.47 |
| 8 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 19 | 304 | 16 |
| 9 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 18 | 282 | 15.67 |
| 10 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 17 | 260 | 15.29 |
| 11 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 15 | 220 | 14.67 |
| 12 | ფლინ კლიმენი | დინამო | 18 | 264 | 14.67 |
| 13 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 153 | 13.91 |
| 14 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 18 | 238 | 13.22 |
| 15 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 18 | 235 | 13.06 |
| 16 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 19 | 247 | 13 |

### მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 19 | 242 | 12.74 |
| 2 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 15 | 191 | 12.73 |
| 3 | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 17 | 216 | 12.71 |
| 4 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 18 | 221 | 12.28 |
| 5 | სერჟი ასელაინი | თსუ | 17 | 180 | 10.59 |
| 6 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 19 | 177 | 9.32 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 19 | 171 | 9 |
| 8 | მილან ოლუიჩი | დინამო | 12 | 98 | 8.17 |
| 9 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 86 | 7.82 |
| 10 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 13 | 94 | 7.23 |
| 11 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 15 | 108 | 7.2 |
| 12 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 18 | 127 | 7.06 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 18 | 122 | 6.78 |
| 2 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 18 | 110 | 6.11 |
| 3 | სტენ სოკი | ოლიმპი | 19 | 112 | 5.89 |
| 4 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 19 | 107 | 5.63 |
| 5 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 18 | 98 | 5.44 |
| 6 | ლამარ კარიმი | დინამო | 17 | 92 | 5.41 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 20 | 108 | 5.4 |
| 8 | ნეით ბოუი | რუსთავი | 19 | 91 | 4.79 |
| 9 | ლევან ცეკვავა | რუსთავი | 17 | 67 | 3.94 |
| 10 | ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 17 | 66 | 3.88 |

### ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 19 | 52 | 2.74 |
| 2 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 18 | 40 | 2.22 |
| 3 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 17 | 34 | 2 |
| 4 | მიხეილ ჭოჭუა | რუსთავი | 10 | 20 | 2 |
| 5 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 19 | 35 | 1.84 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 14 | 24 | 1.71 |
| 7 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 19 | 31 | 1.63 |
| 8 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 18 | 29 | 1.61 |
| 9 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 18 | 28 | 1.56 |
| 10 | აკაკი დვალიშვილი | ოლიმპი | 19 | 29 | 1.53 |

### დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 12 | 27 | 2.25 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 19 | 30 | 1.58 |
| 3 | ავთანდილ ელიაშვილი | ბათუმი | 19 | 25 | 1.32 |
| 4 | იოაკიმ შელბომი | არმია | 10 | 13 | 1.3 |
| 5 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 15 | 19 | 1.27 |
| 6 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 18 | 21 | 1.17 |
| 7 | გიორგი ფერიაშვილი | თსსუ | 19 | 22 | 1.16 |
| 8 | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 17 | 18 | 1.06 |
| 9 | სერჟ ასელაინი | თსუ | 17 | 17 | 1 |

### შეცდომა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 19 | 62 | 3.26 |
| 2 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 18 | 58 | 3.22 |
| 3 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 14 | 44 | 3.14 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 17 | 53 | 3.12 |
| 5 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 18 | 55 | 3.06 |
| 6 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 19 | 58 | 3.05 |
| 7 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი | 14 | 42 | 3 |
| 8 | გივი ბაქრაძე | თსუ | 20 | 58 | 2.9 |
| 9 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 19 | 53 | 2.79 |
| 10 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 15 | 41 | 2.73 |

ხედი ესტონეთიდან

**დოსიე**



**ვიქტორ სანიკიძე**

დაიბადა: 1.04.1986
სიმაღლე: 203 სმ
ამპლუა: ფორვარდი

**საკლუბო კარიერა**

თბილისის „აკადემია" (2003)
საფრანგეთის „დიჟონი" (2003-06)
ესპანეთის „ესტუდიანტესი" (2006-07)
თბილისის „დინამო" (2008)
ესტონეთის „ტარტუ როკი" (2008-09)
იტალიის „ვირტუსი" (2009-12)
იტალიის „მონტეპასკი" (2012-დან)

**მიღწევები**

საქართველოს ნაკრების წევრი (2004-დან).
2004 წელს დრაფტზე „ატლანტამ" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო.
საფრანგეთის თასების თასის გამარჯვებული (2004).
ფიბას თასის ფინალისტი (2004).
საფრანგეთის თასის მფლობელი (2006).
საქართველოსა და იტალიის ჩემპიონატების „ოლ სტარების" მონაწილე (2008 და 2011).
იტალიის პირველობის საუკეთესო ევროპელი (2011-12).

# ვიქტორი ვიქტორზე

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** ესტონეთში კვლავაც კარგად ახსოვთ. იგი „ტარტუ როკში" 2009 წელს თამაშობდა და მას მერე ბალტიისპირულ საიტებზე ოპერატიულად იწერება ინფორმაციები ვიქტორის საკლუბო ამბებზე.

ახლახან, გამოცემა ERR-ის ჟურნალისტი **ვიქტორ სოლცი** იტალიას სტუმრობდა, სადაც სანიკიძეს შეხვდა და საკუთარ გამოცემაში მცირე პუბლიკაცია გამოაქვეყნა:




„როგორც ვიქტორ სანიკიძე ამბობს, ევროლიგის დონემდე ასვლაში დიდად დაეხმარა „ტარტუ როკში" გატარებული სეზონი.

ევროლიგაზე ვიქტორის „მონტეპასკიმ" ბოლო ტურში სტუმრად „კახა ლაბორალთან" დათმო, ერთი კვირით ადრე კი დასანანი მარცხი ინვნია სიენაში „ბარსელონასგან".

- ვიცოდით, რომ „ბარსა" ძალიან ძლიერი გუნდია, თუმცა გამარჯვების შანსი გვქონდა. ჩვენი წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სასტარტო ხუთეულის ორი კალათბურთელის არყოფნა იყო, - ამბობს სანიკიძე.

იმ მატჩის მოგება „მონტეპასკის" პლეი ოფში გაიყვანდა, მაგრამ... ქართველმა ფორვარდმა 2007 წელს ოპერაცია გაიკეთა, 2008-09 წლების სეზონში კი ესტონურ „ტარტუ როკში" ჩაირიცხა და ჩვეული ფორმა აღიდგინა.

- არაერთხელ მითქვამს, რომ ტარტუული გუნდი ძალიან დამეხმარა. სწორედ ესტონეთში აღვიდგინე ძველი სათამაშო ფორმა და მას მერე ჩემი კარიერა აღმავალი გზით მიდის: სამი წელი ბოლონიის „ვირტუსში" გავატარე, ხოლო მიმდინარე სეზონში „მონტეპასკის" საკვანძო კალათბურთელთა შორის ვარ.

შეგახსენებთ, რომ 2008-09 წლების სეზონში სანიკიძესთან ერთად „ტარტუ როკმა" ბალტიის ლიგაში მესამე ადგილი დაიკავა. ეს გუნდისთვის სარეკორდო შედეგია.

- ესტონეთში ერთი წელი დავყავი და უამრავი მეგობარი შევიძინე. მათთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს. სადღეისოდ ჩემ გვერდით თამაშობს ესტონელი კრისტიან კანგური, რომელთანაც ასევე მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლეგიონერები

# ხუთი პლეი ოფში, ოთხი ქვედა დივიზიონში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. პლეი ოფის მერვედფინალში ქართველ მორაგბეთა ხუთმა გუნდმა გააღწია და ელიტურ, მეორე დივიზიონში გადასვლისთვის განაგრძობს ბრძოლას. ესენია: „მაკონი", „რომანი", „სენ ნაზერი", „პერიგო" და „სენტ ეტიენი". ამასთან ერთად დივიზიონის დატოვება ოთხ „ქართულ გუნდს", „სტრასბურს", „შატორენარს", „მარმანდს" და „სენ ჟუნიენს" მოუწევს.**



ბურთით ბაჩუკი გუჯარაიძე

A ჯგუფში წარმატებას ორმა „ქართულმა გუნდმა" მიაღწია, „მაკონმა" და „სენტ ეტიენმა". რეგულარული გათამაშების ბოლო ტურში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. **რევაზ ჟღენტისა** და **გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენს" შინ აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონისთან" მატჩში. მასპინძლებმა ეს მოახერხეს კიდეც - 34:26. არადა, 47-ე წუთისთვის 26:6 აგებდნენ.

გარდატეხას სენტეტიენელებმა დასკვნით 20 წუთში მიაღწიეს. მათ ზედიზედ სამი ლელო გაიტანეს და პლეი ოფში თამაშის უფლება გაინაღდეს. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს, გაბელია თამაშში მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ჩაერთო, მელიქიძე და ჟღენტი განაცხადში არ იყვნენ.

მერვედფინალში „მაკონის" მეტოქე „ნევერი" იქნება, „სენტ ეტიენი" კი, გათამაშების ფავორიტს, „მონტობანს" დაუპირისპირდება.

A ჯგუფში პლეი ოფს მიღმა დარჩნენ „მონლუსონი" და „შალონი", რომლებმაც შესაბამისად მეხუთე და მეექვსე ადგილები დაიკავეს. **ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა" ბოლო ტურში **გიორგი სულუაშვილის** „სტრასბურს" უმასპინძლა და 32:5 მოუგო. გიგაურმა სრულად ითამაშა, ყუფარაძე 64-ე წუთზე შეცვალეს, სულუაშვილი განაცხადში არ იყო. „სტრასბური", ისე, რომ ერთი მატჩიც არ მოუგია, დივიზიონიდან გავარდა.

**გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი" სტუმრად დამარცხდა პირველადგილოსან „ლილთან" - 12:22. შეგახსენებთ, რომ „ლილის" ერთ-ერთი მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ყოფილი მესამეხაზელი **დავით ბოლღაშვილია**. ჯაშიტაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 44-ე წუთიდან გამოჩნდა.

### A ჯგუფი

**ბურგ ან ბრესი-ბობინი 52:3, დიჟონი-ვიენი 9:6, მონლუსონი-სტრასბური 32:5, ლილი-შალონი 22:12, სენტ ეტიენი-მაკონი 34:26.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლილი - 74 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 72, 3. მაკონი - 48, 4. სენტ ეტიენი - 44, 5. მონლუსონი - 39, 6. შალონი - 38, 7. ბობინი - 36, 8. დიჟონი - 35, 9. ვიენი - 33, 10. სტრასბური - 2.**

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდიდან პლეი ოფში მხოლოდ ერთმა, **ირაკლი ნინიძის** „რომანმა" გააღწია, რომელმაც საბოლოოდ 49 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. რომანელებმა ბოლო ტურში სტუმრად ფრედ ითამაშეს „აგდისთან" - 34:34. ნინიძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

„რომანი" მერვედფინალში შინ მიიღებს **შოთა ცხოვრებაშვილისა** და **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერს", რომელიც C ჯგუფის ბინადარი იყო. დივიზიონის დატოვება მოუწევს **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარს", რომელმაც 26 ქულით ბოლო ადგილი დაიკავა. ჩვენებურის ამ გუნდმა ბოლო ტურში სტუმრად წააგო **თემურ გელანტიასა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენასთან" - 14:42. გელანტია 41-ე წუთზე შეცვალეს, კუთარაშვილი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ექვსი წუთის შემდეგ მოედანზე ურჯუკაშვილიც გამოჩნდა. „ობენა" 44 ქულით მე-5 ადგილს დასჯერდა და ერთი ქულით ჩამორჩა პლეი ოფში გასულ მეოთხეადგილოსან „ლა სეინს".

კიდევ ერთი ქართველის, **დავით კაჭარავას** „როდეზმა" შინ წააგო პირველადგილოსან „ბურგუენთან" - 12:35. კაჭარავამ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

### B ჯგუფი

**ბლანიაკი-ვალანსი 19:17, ობენა-შატორენარი 42:14, აგდი-რომანი 34:34, როდეზი-ბურგუენი 12:35, ლავორი-ლა სეინი 19:21.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგუენი - 79 ქულა, 2. ვალანსი - 51, 3. რომანი - 49, 4. ლა სეინი - 45, 5. ობენა - 44, 6. ბლანიაკი - 39, 7. ლავორი - 36, 8. როდეზი - 33, 9. აგდი - 30, 10. შატორენარი - 26.**

C ჯგუფში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლეი ოფში „სენ ნაზერმა" გააღწია. ამ გუნდთან ერთად მეორე დივიზიონში ალზევებისთვის განაგრძობს ბრძოლას **თედო ზიბზიბაძის** „პერიგოც", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად დაამარცხა „ლანჟონი" 34:26 და 62 ქულით მესამე ადგილზე გავიდა. ზიბზიბაძე თადარიგში იყო და თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

პერიგოელთა მეტოქე მერვედფინალში „ვალანსი" იქნება. „სენ ნაზერის" მომავალ მეტოქეზე უკვე ვთქვით. ამ გუნდმა ბოლო ტურში შინ დიდი ანგარიშით მოუგო „ნუარს" - 56:7. გუჯარაიძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 79-ე წუთზე ლელო გაიტანა, ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყო.

ბოლო ადგილზე გავიდა და ფედერალ 1 დივიზიონის დატოვება მოუწევს **ნიკოლოზ მალალდაძისა** და **ირაკლი ჩომახაშვილის** „მარმანდს", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად წააგო „სენ ჟან დე ლუზთან" - 14:40. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

### C ჯგუფი

**ლანჟონი-პერიგო 26:34, სენ ნაზერი-ნუარი 56:7, სენ ჟან დანჟელი-ვანი 19:19, სენ ჟან დე ლუზი-მარმანდი 40:14, ტიროსი-აგეტმო 28:13.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტიროსი - 72 ქულა, 2. სენ ნაზერი - 66, 3. პერიგო - 62, 4. სენ ჟან დე ლუზი - 45, 5. ვანი - 41, 6. ლანჟონი - 38, 7. სენ ჟან დანჟელი - 29, 8. აგეტმო - 28, 9. ნუარი - 26, 10. მარმანდი - 20.**

დივიზიონის დატოვება მოუწევს D ჯგუფში მოასპარეზე კიდევ ერთ „ქართულ გუნდს". **მერაბ კვირიკაშვილისა და გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად წააგო „სენ მედართან" 19:28, საბოლოოდ 23 ქულა დააგროვა და ბოლო ადგილზე გავიდა.

რვა ქულით მეტი დააგროვა და გათამაშება მე-8 ადგილზე დაასრულა **სიმონ მაისურაძისა** და **ლაშა მალაღურაძის** „ბაგნერემ", რომელმაც ბოლო ტურში შინ წააგო „ნევერთან" - 14:31.

### D ჯგუფი

**მონტობანი-ოლორონი 57:26, კასტანე-ლანამეზანი 46:10, ლიმოჟი-ლურდი 23:27, ბაგნერე-ნევერი 14:31, სენ მედარი-სენ ჟუნიენი 28:19.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მონტობანი - 74 ქულა, 2. ნევერი - 65, 3. კასტანე - 47, 4. ოლორონი - 44, 5. ლიმოჟი - 40, 6. ლურდი - 38, 7. ლანამეზანი - 37, 8. ბაგნერე - 31, 9. სენ მედარი - 30, 10. სენ ჟუნიენი - 23.**

### მერვედფინალი

**დიჟონი-ლილი, რომანი-სენ ნაზერი, კასტანე-ბურგ ან ბრესი, ლა სეინი-ტიროსი, მაკონი-ნევერი, სენ ჟან და ლუზი-ბურგუენი, პერიგო-ვალანსი, სენტ ეტიენი-მონტობანი.**



ლაშა მალაღურაძე (მარცხნიდან მეორე) და სიმონ მაისურაძე (მარჯვნივ)

ახალი ტურნირი



# ისტორიული მომენტი ქართული რაგბისთვის

**ივნისში თბილისი პირველად უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ტრადიციული გახდება და „თბილისის თასის" გათამაშება დაერქმევა. ეს ახალი ტურნირი საქართველოს დედაქალაქში რაგბის საერთაშორისო საბჭოს გადაწყვეტილებითა და მისი უშუალო მხარდაჭერით გაიმართება. IRB-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა სპეციალური კომუნიკე, რომელიც ზემოთ ნახსენებ შეჯიბრებას ეძღვნება. გთავაზობთ ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან.**

„რაგბის საერთაშორისო საბჭომ საბოლოოდ განაცხადა, რომ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ახალი საერთაშორისო ტურნირი დაფუძნდა, რომელიც ოფიციალურად შევა IRB-ის კალენდარში. შეჯიბრება 7 ივნისს დაიწყება და 16 ივნისამდე გასტანს. მასში სამხრეთ აფრიკისა და ირლანდიის A ნაკრებებთან ერთად საქართველოსა და ურუგვაის ეროვნული გუნდები იასპარეზებენ, რომლებიც 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურისთვის იბრძვიან და იქ მოხვედრის რეალური კანდიდატები არიან.

საქართველოში რაგბი ეროვნულ სპორტის სახეობად მყარად დამკვიდრდა. „ბორჯღალოსნები" ამჟამად მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ლიდერები არიან.

**„თბილისში ახალი ტურნირის დაფუძნება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა IRB-ის შეჯიბრებათა კალენდარში. მასში ასპარეზობა განსაკუთრებით სასარგებლო უნდა იყოს საქართველოსა და ურუგვაის ნაკრებებისთვის, რომლებიც 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან.**

**ამასთან ერთად ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის A ნაკრებებს, რომლებიც პერსპექტიული მორაგბეებით არიან დაკომპლექტებული, ზემოთ ნახსენები გუნდები სათანადო კონკურენციას გაუწევენ, რაც თავიანთი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ შემოწმების საშუალებას მისცემს.**

**ქართველებს ძალიან უყვართ რაგბი და დარწმუნებული ვარ, ეს ტურნირი ოვალური ბურთით თამაშს კიდევ უფრო პოპულარულს გახდის ამ ქვეყანაში, მის განვითარებას უცილობლად შეუწყობს ხელს."** - თქვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე ბერნარ ლაპასემ.

ამ ტურნირის დაარსებას ქართული რაგბის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯებს „აბრალებს" IRB-ის განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი მარკ იგანი.

**„საქართველოს რაგბის კავშირი, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან ერთად მიზანმიმართული საქმიანობით, შესანიშნავ შედეგებს აღწევს. თბილისში ახალი ტურნირის დაფუძნება ამ ქვეყნის რაგბისთვის საჩუქარია, იმ მიღწევებისთვის, რაც ბოლო წლებში აჩვენა. ბოლო ოთხ წელიწადში თბილისში აშენდა საერთაშორისო დონის სარაგბო ობიექტები, რომელთა გამოყენების საშუალებაც „თბილისის თასის" მონაწილეებს ექნებათ."** - თქვა მან.

საქართველოსთვის მსგავსი დონის ტურნირის გამართვა კიდევ ერთი საშუალებაა, დაანახვოს სარაგბო სამყაროს, რომ ნამდვილად მისი სრულუფლებიანი წევრია.

**„საქართველოს რაგბის კავშირი მადლობას უხდის რაგბის საერთაშორისო საბჭოს იმისთვის, რომ თბილისში სერიოზული საერთაშორისო ტურნირის გამართვის გადაწყვეტილება მიიღო. მას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც აღიარებას ქართული რაგბის ბოლო წლების წარმატებისა. „თბილსის თასი" ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში რაგბის პოპულარიზაციასა და განვითარებას, ასევე საქართველოს სარაგბო ერად ჩამოყალიბებას"** - თქვა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ.

საქართველოს ჩემპიონატი

# თიბისი უმაღლესისკენ მიიწევს

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშების მეორე ეტაპზე მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. შეჯიბრების ფავორიტმა თბილისის „თიბისის" ერთადერთ სერიოზულ კონკურენტს, ქუთაისის „ბაგრატს" უმასპინძლა და 22:3 დაამარცხა. შედეგად, თბილისური გუნდი დაუმარცხებლად ლიდერობს.

მეორე მატჩში ფოთის „რაინდებმა" შინ წააგეს პატარძეულის „ვეფხვებთან" - 14:26. აღსანიშნავია, რომ ქუთათურებს, რომლებიც ახლა მეორე ადგილზე არიან, ერთი მატჩი თადარიგში აქვთ. საბოლოოდ პირველი ლიგის გამარჯვებულის ვინაობა, სავარაუდოდ, ბოლო ტურში ქუთაისში, „ბაგრატისა" და „თიბისის" დაპირისპირებაში გაირკვევა.

### I ლიგა

### III ტური

**თიბისი-ბაგრატი 22:3, რაინდები-ვეფხვები 14:26**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. თიბისი - 14 ქულა, 2. ბაგრატი - 5, 3. ვეფხვები - 4, 4. რაინდები - 0.**

### IV ტური

**რაინდები-თიბისი, ვეფხვები-ბაგრატი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



კარმელო ენტონი

# კვირის მოთამაშეები

„ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **კარმელო ენტონი** და „მინესოტა ტიმბერვულვზის" ცენტრი **ნიკოლა პეკოვიჩი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთ კონფერენციის ლაურეატი ენტონი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა, რითაც „ნიქსმა" თავისი მოგებათა სერია 12 მატჩამდე აიყვანა. ენტონი საშუალოდ მატჩში 41.8 ქულა დააგროვა (საუკეთესო შედეგი ლიგაში) და გახდა მეორე მოთამაშე „ნიუ იორკის" ისტორიაში, ვინც ზედიზედ სამ მატჩში დააგროვა მინიმუმ 40 ქულა.

ჯეფერსონის კარგი თამაშის წყალობით, "მინესოტამ" გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. „მგლების" ცენტრმა საშუალოდ 25.0 ქულა (მესამე კონფერენციაში) და 8.5 მოხსნა მიითვალა, თან თამაშიდან 58.9 პროცენტის სიზუსტით ისროლა.

**ენტონის კვირა**

**2 აპრილი. მაიამი-ნიუ იორკი 90:102.** 50 ქულა.

**3 აპრილი. ატლანტა-ნიუ იორკი 82:95.** 40 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი.

**5 აპრილი. ნიუ იორკი-მილუოკი 101:83.** 41 ქულა, 14 მოხსნა.

**პეკოვიჩის კვირა**

**1 აპრილი. მინესოტა-ბოსტონი 110:100.** 29 ქულა, 5 მოხსნა.

**3 აპრილი. მილუოკი-მინესოტა 98:107.** 27 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი.

**5 აპრილი. მინესოტა-ტორონტო 93:95.** 24 ქულა, 8 მოხსნა.

**6 აპრილი. მინესოტა-დეტროიტი 107:101.** 20 ქულა, 13 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დერონ უილიამსი** („ბრუკლინი"), **კარლოს ბუზერი** („ჩიკაგო"), **კორი ბრიუერი** („დენვერი"), **როი ჰიბერტი** („ინდიანა"), **მაიკ კონლი** („მემფისი"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა") და **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა").

● NCAA-ის ჩემპიონატი. ფინალი



ლუისვილის ტრიუმფი

# ლუისვილი ჩემპიონია!

ამერიკული სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ჩემპიონი გახდა „ლუისვილი", რომელმაც ურთულეს ფინალში ორნიშნა ჩამორჩენა გააბათილა და 82:76 დაამარცხა „მიჩიგანი". **კევინ უეირი**, რომელმაც ცოტა ხნის წინ, მატჩის მსვლელობისას საშინელი ტრავმა მიიღო, NCAA-ის ჩემპიონი გახდა. ცნობილმა სპეციალისტმა **რიკ პიტინომ**, რომელსაც მალე დიდების დარბაზში შეიყვანენ, ისტორიაში პირველად მოიგო NCAA-ის ჩემპიონატი ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად.

ფინალში „ლუისვილი" **ჰენკოკმა** გადაარჩინა, რომელიც რთულ მომენტში მხსნელად მოევლინა თავის გუნდს, თამაშში სათადარიგოთა სკამიდან შევიდა, 22 ქულა ჩააგდო და თავისიანებში ყველაზე შედეგიანი იყო. ამ სეზონში ლიუკ ჰენკოკმა მხოლოდ სამ მატჩში ჩააგდო 20 ქულაზე მეტი და ორჯერ ეს ურთულეს ნახევარფინალსა და ფინალში გააკეთა! სნაიპერმა ხუთიდან ხუთი სამქულიანი მოათავსა კალათში და ამას 10-დან 7 ზუსტი საჯარიმო დაუმატა. გასაკვირი არ არის, რომ ფინალის MVP სწორედ ჰენკოკი გახდა.

NCAA-ის ფინალი ბრწყინვალე სეზონის შთამბეჭდავი დასასრული გამოდგა. გადამწყვეტმა მატჩმა სარეკორდო აუდიტორია - 47 326 მაყურებელი შეკრიბა.

**მიჩიგანი-ლუისვილი 76:82**

38:37, 38:45

მ: ბერკი (24), ალბრეხტი (17), ჰარდუეი უმცროსი (12), რობინსონ III (12), მაკგერი (6), სტაუსკასი (3), მორგანი (2).

ლ: ჰენკოკი (22), სივა (18+6 მოხსნა+5 პასი), ბეჰანენი (15+12 მოხსნა), სმიტი (9), ბლეკსჰირი (8), დიენგი (8+8 მოხსნა+6 პასი), ჰარელი (2).

● კალათბურთი. ინტერვიუ მანუ ჯინობილისთან

# ბილ რასელთან ვითამაშებდი

„სან ანტონიო სპურსის" არგენტინელმა ლეგიონერმა მანუ ჯინობილიმ ინტერნეტკონფერენციაში მიიღო მონაწილეობა და ბევრ საინტერესო თემას შეეხო ფანებთან საუბრის დროს...

**- არასოდეს გიფიქრიათ სხვა კლუბში გადასვლაზე? სხვაგან უფრო სერიოზული როლი გექნებოდათ.**

- ამაზე სერიოზულად არასოდეს მიფიქრია. "სპურსში" ბედნიერი ვარ.

**- კარიერის დასრულებას "სან ანტონიოში" გეგმავთ?**

- დიახ, რა თქმა უნდა.

**- პროფესიულ დონეზე 15 წელია თამაშობთ. ყველაზე სასიამოვნოდ რა გახსენდებათ NBA-ში ან ნაკრებში თამაშიდან?**

- ოლიმპიადა 2004 წელს და 2004-05 წლების "სან ანტონიო" და, რა თქმა უნდა, სეზონი იტალიაში 2001 წელს. ეს ჩემი პირველი დიდი გამოცდილება იყო.

**- ყველაზე დასამახსოვრებელი ისტორია, რომელიც გრეგ პოპოვიჩს უკავშირდება?**

- ასეთი ბევრია. მაგრამ, ალბათ, ვახშმობები გუნდთან ერთად, აგრეთვე მასთან ხანგრძლივი საუბრები. გრეგთან სასიამოვნოა ურთიერთობა.

**- შესაძლებელია თუ არა ევროლიგისა და NBA-ის მოთამაშეების ნიჭის შედარება?**

- რა თქმა უნდა, მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში მეტი ნიჭიერი მოთამაშეა, განსაკუთრებით ათლეტიზმის მხრივ. მაგრამ, ევროპაშიც არის ბევრი ნიჭიერი კალათბურთელი, რომლებიც ფეხს მოიკიდებდნენ ოკეანის გაღმა.

**- რამდენად პოპულარულია კალათბურთი არგენტინაში?**

- იმედია, მეორე ადგილს იკავებს. რა თქმა უნდა, ფეხბურთს კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ NBA-ის მატჩებს მართლაც ბევრი ადამიანი ადევნებს თვალს.

**- AT@T Center-ის გარდა, რომელია NBA-ში თქვენი საყვარელი არენა?**

- "მედისონ სკვერ გარდენი" – შესანიშნავი არენაა. ასევე კარგია "სტეიპლ ცენტრი" ლოს ანჯელესში.

**- თქვენი საყვარელი მოთამაშე იმათგან, ვინც "სან ანტონიოში" არ თამაშობს?**

- არ შეიძლება არ აღფრთოვანდე ლებრონით ან დურანტით. ისინი ფენომენალურ კალათბურთს აჩვენებენ.

**- როგორია NBA-ის ერთ-ერთ ყველაზე ინტერნაციონალურ გუნდში თამაში? მოახერხეთ სხვა ერების კულტურის გაცნობა?**

- შესანიშნავი შესაძლებლობაა. კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ბოლო წლებში ჩვენს გუნდში თითქმის მთელი მსოფლიოდან შეიკრიბნენ მოთამაშეები. მე ეს მომწონს.

**- რა არის მთავარი ჯილდო ისეთ მწვრთნელთან ურთიერთობისას, როგორიც პოპოვიჩია?**

- ის შესანიშნავი მწვრთნელი და ადამიანია, იუმორის ბრწყინვალე გრძნობა აქვს. ხალხს ჰგონია, რომ ის ძალიან მკაცრია. მაგრამ ასე არ არის. მე მისგან ბევრი რამ ვისწავლე, როგორც საკალათბურთო, ასევე ადამიანური თვისებების მხრივ.

**- რას უპასუხებთ მათ, რომლებიც სიმულანტს გიწოდებენ?**

- ისინი არ მაღელვებენ. მე უბრალოდ საკუთარ საქმეს ვაკეთებ.

**- ზოგიერთს თამაში "სან ანტონიოს" შესრულებით მოსაწყენი ეჩვენება. რას იტყვით ამის შესახებ?**

- ყველას აქვს საკუთარი აზრის ქონის უფლება. მე მომწონს ჩვენი თამაში. ამ სეზონში რამდენიმე დანკიც კი შევასრულე.

**- კარიერის დასაწყისში ბევრი დიდი კალათბურთელისგან გქონდათ სწავლის საშუალება. თანაგუნდელთაგან ვინ მოგცათ ყველაზე მეტი საკალათბურთო განვითარების მხრივ?**

- მქონდა ბედნიერება, ბევრი ნიჭიერი კალათბურთელის გვერდით მეთამაშა. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. მაგალითად, ესპილი არგენტინაში, ბოუენი, ფინლი, კერი, სმიტი და სხვები NBA-ში. შეიძლება ვილაც გამომრჩა.

**- "მინუს ხუთის" თამაშისას, რომელია თქვენი საყვარელი სროლა?**

- გარკვეულ ილეთებს ვილებ ფეხბურთიდან. მაგალითად, თავით დარტყმა. ამერიკელების წინააღმდეგ ეს ყოველთვის მუშაობს!

**- დაასახელეთ ნებისმიერი ეპოქის ნებისმიერი მოთამაშე, ვისთანაც ისურვებდით ერთ გუნდში თამაშს.**

- ბილ რასელი. არასოდეს მინახავს მისი თამაში, მაგრამ ბევრი მსმენია მის შესახებ. თუ დავფიქრდებით, კალათბურთის ისტორიაში მოინახება ბევრი დიადი შემსრულებელი, ამიტომაც, ერთის ამორჩევა რთულია.

**- კალათბურთის გარდა, კიდევ რას თამაშობთ?**

- სეზონის მსვლელობისას ამის გაკეთება არ ხერხდება, რადგან ნაკლები თავისუფალი დრო გვაქვს და თან ორგანიზმის გაფრთხილებაა საჭირო. ზაფხულში კი ჩოგბურთს ვთამაშობ.

**- საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა თქვენთვის დრაფტი. თქვენ ხომ NBA-ის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე ხართ, რომელიც დრაფტის მეორე რაუნდის ბოლოს აირჩიეს. ელოდით, რომ 60 ბედნიერს შორის მოხვდებოდით?**

- არც კი ვიცოდი, რომ იმ დღეს დრაფტი მიდიოდა. ბრაზილიაში ვიყავი და იქ ნაკრების შემადგენლობაში ვთამაშობდი. სწორედ იქ შემატყობინეს ეს ამბავი. არ მჯეროდა და არ ველოდი.

**- თქვენ, სავარაუდოდ, 2005 წელს მიაღწიეთ კარიერის პიკს. თანაც, გამოირჩეოდით არა მხოლოდ თამაშით, არამედ... ვარცხნილობით. რატომ აღარ გვინახავს ბოლო ექვსი წელია ჯინობილი გრძელი თმებით?**

- სიამოვნებით გავიზრდიდი თმას, მაგრამ ბუნებამ სხვაგვარად გადაწყვიტა.




**- რას ფიქრობთ კარიერის მოცემულ მომენტზე?**

- რა თქმა უნდა, ველარ ვაჩვენებ საუკეთესო კალათბურთს. სამაგიეროდ, გუნდი პირველ ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში.

**- ახლა რომ სრულდებოდეს სეზონი, კარიერის გაგრძელების სურვილი გექნებოდათ?**

- აუცილებლად.

**- რას გააკეთებთ მაშინ, როცა კარიერას დაასრულებთ?**

- ჯერ არ ვიცი. იდეა ბევრია.

**- თანაგუნდელთაგან ვისთან გაქვთ ყველაზე ხშირი ურთიერთობა?**

- სპლიტერთან, დიაოსთან, მილსთან, დანკანთან, ბონერთან და პარკერთან.

**- როგორ შეეგუეთ "მეექვსე მოთამაშის" როლს?**

- მადლობა პოპოვიჩს! მწვრთნელს მიაჩნია, რომ მე ასე უფრო მეტი სარგებლობა შემიძლია მოვუტანო გუნდს. როგორც ხედავთ, ის მართალია.

**- როგორ ისწავლეთ კალათბურთის თამაში?**

- მწვრთნელების წყალობით, აგრეთვე ვიდეოჩანაწერებით. ყოველთვის ბევრს ვამუშავებდი ამა თუ იმ მოთამაშის ილეთს. ყველა წვრილმან დეტალსა და ნიუანსს ვიმახსოვრებდი.

**- რას გააკეთებთ, თუ არგენტინის ნაკრები ფეხბურთში 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს?**

- ძალიან გავიხარებ. მინდა ბრაზილიაში გამგზავრება და მატჩების "ცოცხლად" ხილვა, მაგრამ არ მგონია, ასეთი შესაძლებლობა მივიღო.

**- არგენტინაში სახლი კიდევ გაქვთ? რომელ ქალაქსა თუ პროვინციაში მოგწონთ დროის გატარება?**

- რა თქმა უნდა, იქ სახლი მაქვს. სეზონის შემდეგ, ყოველთვის ვბრუნდები იმ ადგილებში, სადაც გავიზარდე. არგენტინა ის ქვეყანაა, რომლის მონახულება ღირს.

**- რა ასაკში ხდება NBA-ში კალათბურთელი ვეტერანი?**

- აქ 40 წლის მოთამაშეებიც არიან. საქმეს პროფესიულად უნდა მიუდგეთ, საკუთარი ორგანიზმი დაზოგოთ და საჭირო დიეტა დაიცვათ - მაშინ თქვენი კარიერა დიდხანს გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ვაშინგტონის" ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი** დაასახელა, რომელიც ოთხ მატჩში შვიდი გოლით ლიგის ლიდერი გახდა და პირველი ადგილი გაიყო ცხრა ქულით.

დედაქალაქური კლუბის რუსმა ვარსკვლავმა შვიდიდან ოთხი გოლი მაშინ გაიტანა, როცა მის გუნდს ერთით მეტი ჰოკეისტი ჰყავდა ყინულზე და ახლა, ოვეჩკინი ლიგის ლიდერია რიცხობრივ უპირატესობაში გატანილი გოლებისა (14) და ქულების (21) რაოდენობით.

ამ მომენტისთვის, ოვეჩკინს 39 მატჩში 43 ქულა (25+18) აქვს დაგროვებული, რაც ლიგაში მეექვსე მაჩვენებელია. 25 გოლით, რუსი პირველ ადგილს იყოფს „ტამპა ბეის" ფორვარდ **სტივენ სტემკოსთან**.

კვირის მეორე ვარსკვლავია „სენტ ლუისის" მეკარე **ბრაიან ელიოტი**, რომელმაც თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა, საშუალოდ 1.45 შაიბას იგერიებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.2 პროცენტს იგერიებდა.

გასული შვიდი დღის მესამე ვარსკვლავიც მეკარეა - „ნიუ იორკ რეინჯერსის" წევრი **ჰენრიკ ლუნდკვისტი**, რომელმაც ოთხი მატჩი ჩაატარა და სამი მოიგო. შვედის სტატისტიკა ასეთი იყო - 1.22 გაშვებული შაიბა და 96.2 პროცენტი მოგერიება.

**ბოსტონი-კაროლინა 6:2**

3:0, 2:0, 1:2

**გოლები:** 1:0 პევერლი-5 (საიდენბერგი-9, ფერენსი-6), 2:0 მარჩანდი-15 (გ. კემპბელი-6, იაგრი-13), 3:0 მარჩანდი-16 (იაგრი-14, საიდენბერგი-10), 4:0 ფერენსი-3 (საიდენბერგი-11, გ. კემპბელი-7), 5:0 კერონი-1 (პევერლი-9, შ. ტორნტონი-2), 5:1 დუაიერი-7 (ბელემორი-2, ტლუსტი-10), 5:2 ბოუმენი-3 (რაილი ნეში-5, ჯ. სტაალი-14), 6:2 პორტონი-13 (დ. ჰემილტონი-11, ლუჩიჩი-18).

**ტორონტო-რეინჯერსი 4:3**

1:0, 2:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ვან რიმსდიკი-16 (ლაილსი-8, კესელი-26), 2:0 ო'ბირნი-2 (კადრი-23, მაკარტური-11), 2:1 რიკ ნეში-16 (სტეპანი-19), 3:1 კესელი-11 (ფანოფი-17, ფრენსონი-19), 3:2 რიკ ნეში-17 (მური-2, ემინგერი-2), 3:3 სტეპანი-14, 4:3 კესელი-12 (ბოჟაკი-14, ვან რიმსდიკი-11).

**კოლორადო-კალგარი 1:3**

0:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ბ. მელოუნი-1 (ბერი-7, რ. ო'რაილი-10), 1:1 ჩერვენკა-6 (ჯორდანო-8, პორაკი-2), 1:2 კამალერი-12 (პორაკი-3, ბეგინი-4), 1:3 ტანგეი-11 (სტემპნიაკი-19).

**ვანკუვერი-ფინიქსი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კესლერი-2 (რეიმონდი-10, ბიეკსა-4), 2:0 ჰამჰუისი-4.

**ანაჰაიმი-ედმონტონი 2:1**

1:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 დვორჟაკი-2 (ლავჯოი-9, ს. კოივუ-18), 1:1 შულცი-1 (იაკუპოვი-13, სემ განიე-21), 2:1 დვორჟაკი-3 (ვინიკი-13, ს. კოივუ-19).



ალექსანდრ ოვეჩკინი

ოლიმპიზმი. რიო 2016

# რიოში პროგრამას გააფართოებენ?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტულმა დირექტორმა **კრისტოფ დიუბიმ** განაცხადა, რომ შესაძლებელია, 2016 წლის ოლიმპიადის პროგრამაში გაჩნდეს ახალი დისციპლინები, რომელიც უკვე დამტკიცებული სპორტის სახეობების ეგიდით გაიმართება. ასე მაგალითად, ბრაზილიაში შეიძლება გათამაშდეს მედლები „სამი სამზე" კალათბურთში, ველოსპორტის ორ ახალ დისციპლინაში (BMX-ის ფრისტაილი და ტურნირი გამოვარდნაზე მაუნტიბაიკში), შერეულ გუნდურ შეჯიბრებაში მშვილდოსნობასა და ტრიატლონში, აგრეთვე ცურვაში რვა ახალ დისციპლინაში (50 მეტრი ბრასი, 50 მეტრი ბატერფლაი, 50 მეტრი გულაღმა - კაცებსა და ქალებს შორის, 800 მეტრი თავისუფალი კაცებში და 1500 მეტრი ქალებში).


ოლიმპიური რიო

დიუბის სიტყვებით, ოლიმპიური სპორტული ფედერაციები მეტად შემოქმედებითად მიუდგნენ სპორტის შესაბამისი სახეობების რანგში ახალი დისციპლინების გამოჩენის შესაძლებლობას, და თამაშებმა მათ განვითარების ახალი ბიძგი უნდა მისცეს. დიუბის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, სოკ-ის აღმასკომი ახალ დისციპლინებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას 9 აგვისტოს, მოსკოვში მიიღებს.

ასევე არსებობს იდეა იმის შესახებ, რომ გაიზარდოს მონაწილე გუნდების რიცხვი კალათბურთის ტურნირებზე, პლაჟის ფრენბურთში (32 წყვილი მამაკაცებსა და ქალებს შორის 24-ის ნაცვლად) და ქალთა წყალბურთში (12 გუნდი 8-ის ნაცვლად). ასევე შეიძლება გაიზარდოს მონაწილეთა რიცხვი ღია წყალში 10 კილომეტრზე ცურვაში (25-დან 30-მდე) და წყალში ხტომაში.

დიუბის თქმით, ფიფას არ შეუთავაზებია ოლიმპიურ პროგრამაში პლაჟის ფეხბურთის შეტანა. სამაგიეროდ, ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციას სურს შეიტანოს ოლიმპიურ პროგრამაში დოლის სახეობა.

ამ მომენტისთვის, 2016 წელს, რიო დე ჟანეიროში აპირებენ მედლების 306 კომპლექტის გათამაშებას სპორტის 27 სახეობაში: მძლეოსნობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბადმინტონი, კალათბურთი, კრივი, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, ცხენოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა, ხელბურთი, ბალახის ჰოკეი, ძიუდო, ცურვა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტაეკვანდო, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ტრიატლონი, აფროსნობა, ფრენბურთი, რაგბი, გოლფი და ჭიდაობა. სულ ზაფხულის თამაშებზე იგეგმება 10 700 ათლეტის მონაწილეობა.

ამბები

**კალათბურთი**

## ლავს ოპერაცია სჭირდება

„მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდი **კევინ ლავი**, რომელმაც პრაქტიკულად სრულად გამოტოვა წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატი სხვადასხვა ტრავმის გამო, უახლოეს ხანში მარცხენა მუხლზე ოპერაციას გადაიტანს, - წერს კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

„მინესოტას" ერთ-ერთი ლიდერი, ბოლოს, მოედანზე 3 იანვარს გავიდა. იტყობინებიან, რომ ოპერაციის შემდეგ, ლავი კიდევ მინიმუმ ერთი თვეს გამოტოვებს. წლევანდელ სეზონში, ფორვარდმა მხოლოდ 18 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

## კაციკარისი საუკეთესო მწვრთნელია

რუსეთის ნაკრებისა და ესპანეთის „ბილბაოს" მთავარი მწვრთნელი **ფოცის კაციკარისისი** ევროპის თასის წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. ბერძენი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, „ბილბაო" ევროპის თასის ფინალში გავიდა და იქ რუსულ „ლოკომოტივ-ყუბანს" შეხვდება.

რუსეთის ნაკრები კაციკარისმა 2013 წლის იანვარში ჩაიბარა. ამ პოსტზე მან ამერიკელი **დევიდ ბლატი** შეცვალა.

**ჰოკეი**

## აილენდერსს ბრუკლინში უნდა

„ნიუ იორკ აილენდერსის" ხელმძღვანელობა აპირებს დააჩქაროს გუნდის ბრუკლინში, ახალ არენაზე გადასვლის პროცესი. ადრე წერდნენ იმის შესახებ, რომ „კუნძულელები" ახალ დარბაზში 2015-16 წლების სეზონიდან გადავიდოდნენ, მაგრამ ეს, შესაძლოა, ერთი წლით ადრე მოხდეს.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, „აილენდერსის" შეფობამ უნდა გაწყვიტოს მოქმედი კონტრაქტი არენა „ნასაუს" მფლობელებთან, სადაც ახლა გუნდი გამოდის. მოსალოდნელი ფინანსური დანახარჯების მიუხედავად, კლუბში მზად არიან ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| კარდიფი-ბარნსლი | 1:1 |
| მილუოლი-უენსდი | 1:2 |

| I ლიგა | |
|---|---|
| დონკასტერი-კარლაილი | 0:2 |
| მილტონი-სუინდონი | 2:0 |
| პრესტონი-ოლდჰემი | 2:0 |
| შეფილდი-ქროული | 0:2 |

| II ლიგა | |
|---|---|
| ბრედფორდი-როვერსი | 4:1 |
| ბარტონი-უიკომბი | 2:0 |
| პორტ ვეილი-ალდერშოტი | 1:1 |
| როტერჰემი-ექსეტერი | 4:1 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| ალფრეტონი-ბაროუ | 4:0 |
| დარტფორდი-გრიმსბი | 1:2 |
| ფორესტ გრინი-ჰერეფორდი | 0:1 |
| გეიტშიდი-ნანიტონი | 0:2 |
| ჰაიდი-ებსფლიტი | 1:0 |
| ლუტონი-ლინკოლნი | 3:0 |
| მენსფილდი-მაკლსფილდი | 3:1 |
| ნიუპორტი-ბრენტრი | 1:0 |
| რექსჰემი-კემბრიჯი | 1:0 |

**გერმანია**

| III ბუნდესლიგა | |
|---|---|
| შტ. კიკერსი-დორტმუნდი II | 0:1 |

| რეგიონალლიგა (დას) | |
|---|---|
| ჰულსი-ესენი | 5:0 |
| ფორტუნა-ობერჰაუზენი | 2:0 |
| ბოხუმი II-ბერგიში | 1:1 |
| ზიგენი-ფელზერტი | 4:1 |

| რეგიონალლიგა (ს-დ) | |
|---|---|
| მანჰაიმი-ბაიერნი (ა) | 1:1 |
| პფიულენდორფი-მაინცი II | 1:2 |
| ზონენჰოფი-ვორმატია | 1:0 |

| რეგიონალლიგა (ბაიერნი) | |
|---|---|
| ბაიერნ ჰოფი-ვიქტორია | 0:0 |
| მიუნხენი II-ელტერსდორფი | 3:0 |
| მემინგენი-ზელიგენპორტენი | 2:0 |
| ჰელმსშტეტენი-რაინი | 2:0 |

**საფრანგეთი**

| ნასიონალი | |
|---|---|
| რუანი-ამიენი | 1:0 |

**შოტლანდია**

| I დივიზიონი | |
|---|---|
| დამბარტონი-რეითი | 1:2 |
| კოუდენბითი-ლივინგსტონი | 2:2 |
| ჰემილტონი-ეირდრი | 5:0 |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ბრეჩინი-ფორფარი | 3:4 |
| ისტ ფაიფი-სტრანრარი | 1:1 |

| ამხანაგური მატჩი | |
|---|---|
| ლიუბეკი-ჰამბურგი | 1:4 |

| დანია | |
|---|---|
| სონდერიისკი-ესბერგი | 3:1 |

**შვედეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| იორგრიტე-ფალკენბერგსი | 0:2 |

**ავსტრია**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ბლაუ ვაისი-გრიოდიგი | 0:3 |
| ლუსტენაუ-ჰორნი | 1:1 |
| ჰარტბერგი-სტ. პოლტენი | 0:0 |
| ვენა-ავსტრია (ლ) | 0:0 |

| უელსი | |
|---|---|
| ებერისტვიტი-ქონეჰსი | 1:1 |
| ეირბასი-კარმარტენი | 2:0 |
| პრესტატინი-ბანგორი | 0:1 |

**სლოვაკეთის თასი**

| 1/2 ფინალი. I მატჩები | |
|---|---|
| კოშიცე-სლოვანი | 0:3 |
| ჟილინა-ტრნავა | 3:2 |

**რუსეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| სკა ენერგია-სალუტი | 0:3 |
| მეტალურგი-როტორი | 2:1 |
| ნალჩიკი-ვოლგარი | 3:1 |

**პოლონეთის თასი**

| 1/2 ფინალი. I მატჩი | |
|---|---|
| რუხი-ლეგია | 0:0 |

| უნგრეთი | |
|---|---|
| ეგრი-პაქსი | 2:2 |
| პეჩი-კაპოშვარი | 0:2 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ლოკომოტივი (ს)-სლავია | 1:0 |

| ლიტვა | |
|---|---|
| შიაულიაი-ტაურასი | 4:2 |
| კლაიპედოსი-დაინავა | 6:1 |

| მაკედონია | |
|---|---|
| დრიტა-მეტალურგი | 0:2 |

**აზია**

| ჩემპიონთა ლიგა | |
|---|---|
| ფახთაქორი-ლეხვია | 2:2 |
| ალ იტიჰადი-ალ შაბაბი | 4:1 |
| ალ რაიანი-ალ აინი | 2:1 |
| ესტეგლალი-ალ ჰილალი | 0:1 |
| ჟეონბუკი-ურავა | 2:2 |
| მუანი-გუანგჯოუ | 1:4 |
| კაშივა-სუვონი | 0:0 |
| გუიჟუ-სენტრალ კოუსტი | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 72:70 (O) |

| გერმანია | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ალბა | 84:80 (O) |

**ჰოკეი**

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ჟლინი-პლზენი | 0:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ფრიბურგი-ბერნი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| როჟე ვასელენი-მონტანიესი | 3:6, 6:4, 6:4 |
| ხიმენო ტრავერი-გარსია ლოპესი | 6:7, 6:3, 3:6 |
| ჟემლია-ბახინგერი | 6:7, 7:5, 7:6 |
| ბედენე-ჟიკელი | 6:1, 6:4 |
| მელცერი-კამკე | 3:6, 3:6 |
| ლააკსონენი-რაშიდი | 6:3, 6:7, 6:1 |
| ვოლანდრი-მატიო | 6:3, 7:5 |
| ანდუხარი-კარენო ბუსტა | 4:6, 6:2, 3:6 |

| ATP. ჰიუსტონი | |
|---|---|
| ჩიპოლა-არგელო | 4:6, 6:4, 7:5 |
| ლორენცი-მელცერი | 6:2, 6:2 |
| ჯინეპრი-რასელი | 6:2, 6:2 |
| სოკი-კლანი | 7:6, 6:3 |
| ბერანკისი-ლევინი | 6:7, 7:5, 6:4 |

| WTA. კატოვიცე | |
|---|---|
| არუაბარენა-ბერტენსი | 1:6, 1:6 |
| შმიედლოვა-კორნე | 6:3, 6:0 |
| დოლონცი-მინელა | 6:3, 6:7, 2:6 |
| ბეგუ-იოჰანსონი | 5:7, 7:6, 6:1 |
| პირონკოვა-პეერი | 7:5, 6:7, 6:7 |
| კამერინი-ჩეპელოვა | 7:6, 6:3 |
| კანეპი-ზანიევსკა | 6:1, 6:1 |

TV პროგრამა

**10 აპრილი. ოთხშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-რეალი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰამბურგი-ფრაიბურგი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტური. რედინგი-საუთჰემპტონი.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVII ტური. სანტოსი-სან კაეტანო.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ფეიენოორდი-ვენლო.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XVII ტურის მიმოხილვა.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰოფენჰაიმი-ფორტუნა.
00:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
00:30 არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. რასინგი-რივერ პლეიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. პსჟ-ბარსელონა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ფენერბახჩე-ლაციო.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. სარასენზი-ალსტერი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი .1971-72 წლები. I ნაწილი.
20:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი. რეალი-მაკაბი. I მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
15:20 კალათბურთი. ევროლიგა. ოლიმპიაკოსი-ხიმკი.
17:20 სპორტ-NEWS.
17:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
19:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი.
21:50 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. ამერიკა-სერბეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# სახალისო მეორე სახელები

დასავლეთში არსებობს ტრადიცია - ბავშვს დაბადებისთანავე არქმევენ ორ სახელს. თუ პირველი სახელი, ჩვეულებრივ, „სამუდამოა“, მეორეს ან ივიწყებენ, ან უარს ამბობენ მასზე სხვადასხვა გაუგებრობისა თუ კაზუსის თავიდან ასაცილებლად. ამ მხრივ არც ჩოგბურთელები არიან გამონაკლისები. ბრიტანული პორტალის - The Tennis Space-ის ჟურნალისტებმა შეაგროვეს ყველაზე სახალისო მეორე სახელები ჩოგბურთის სამყაროდან.

### ანდრე კირკ აგასი

ბევრს მიაჩნია, რომ **ანდრემ** მეორე სახელი იმის გამო მიიღო, რომ მამამისი ცნობილი მსახიობის **კირკ დუგლასის** დიდი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ ეს ასე არ არის.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ასე **კირკ კერკორიანის** საპატივცემულოდ დაარქვეს. ყოფილი მოყვარული მოკრივე და ამერიკის ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშე აგასების ოჯახს ეხმარებოდა მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მძიმე ფინანსურ სიტუაციაში იყო. შედეგად, **მაიკ აგასიმ** ვაჟს მეორე სახელი მეგობრისა და ქველმოქმედის საპატივცემულოდ დაარქვა.

### ამანდა ჟაკული კიოტცერი

სამხრეთ აფრიკის „თეთრი“ მოსახლეობის - ბურების ენაზე **ჟაკული** იმავეს ნიშნავს, რასაც ტრადიციული ინგლისური - „ჟაკლინი“.

### მარდი სიმპსონ ფიში

ამერიკელის კარიერის საწყის ეტაპზე, ბევრი კომენტატორი დაბნეული კითხულობდა - რომელი იყო პირველი სახელი, რომელი მეორე და რომელი გვარი. დროთა განმავლობაში, ყველაფერი თავის ადგილას დადგა, მაგრამ მაინც უცნობია, საიდან წარმოიშვა სახელი „სიმპსონი“.

### ლეიტონ გლინ ჰიუიტი

სახელი „გლინის“ წარმოშობაში გასაკვირი არაფერია - ეს არის ჩოგბურთელის მამის პირველი სახელი. ასე რომ, აქ არანაირ ორიგინალურობასთან არ გვაქვს საქმე - უბრალოდ ოჯახური ტრადიციაა.

### რიჰარდ პეტერ სტანისლავ კრაიჩეკი

1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონის მშობლები ჩეხური წარმოშობის არიან, შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ **რიჰარდს** დაუმატეს ორი სლავური სახელი. სლავური დარჩა სპორტსმენის გვარი. ყველაფერი დანარჩენი - ჰოლანდიურია.


დები უილიამსები

### იმაკულადა კონსეპსიონ მარტინეს ბერნატი

ამ ჩოგბურთელს თქვენ სხვა გვარითა და სახელით იცნობთ - **კონჩიტა მარტინესი**. უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს სახელისა და გვარის ტრადიციული ესპანური წყობა აქვს, მაგრამ კომენტატორები, ალბათ, მადლიერნი არიან სპორტსმენის, რომ მან ეს „რთული წინადადება“ „კონჩიტა მარტინესამდე“ შეამცირა.

### ენდრიუ ბერონ მარეი

პროფესიულ ტურში დებიუტის შემდეგ, მარეიმ პირველი სახელი „ენდიმდე“ შეამცირა, მეორე კი იგივე დარჩა - „ბერონი“. დღემდე გაუგებარია, გარეულია თუ არა ამაში რაიმე ოჯახური ტრადიცია, მაგრამ ძველი ინგლისურიდან ის ასე ითარგმნება - „ახალგაზრდა მებრძოლი“. პრინციპში, ზედგამოჭრილი სახელია.

### პამელა ჰოვარდ შრაივერი

დღემდე დარწმუნებულნი არ ვართ - უხდება თუ არა ქალს მეორე სახელად „ჰოვარდი“, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

### ვენუს ებონი სტარ უილიამსი

მართლაც, რატომ უნდა დაარქვა შვილს ერთი მეორე სახელი, როცა შეიძლება ორი დაარქვა? სხვათა შორის, **ვენუსმა** ერთხელ აღიარა, რომ მისი მეორე სახელის საყვარელი ნაწილია - ორი „რ“ სახელში „სტარი“.

### სერენა ჯამიკა უილიამსი

სწორედ „ჯამიკა“ და არა „იამაიკა“, როგორც უნდა ამტკიცონ საპირისპირო. **სერენას** უახლოესმა მეგობრებმა ეს სახელი „მიკა“-მდე შეამცირეს და სხვადასხვა ტურნირზე, ჩოგბურთელის გასამხნევებლად, სწორედ ამ შემცირებულ ვარიანტს სკანდირებენ.

● სამთო თხილამურები

# ბოდე მილერს ძმა მოუკვდა


შელონ მილერი

ცნობილი ამერიკელი სამთო მოთხილამურის **ბოდე მილერის** ოჯახში სამწუხარო ამბავი მოხდა. აშშ-ის კურორტ მემოტ ლეიკში, საკუთარ ტრაილერში მკვდარი იპოვეს 35 წლის მოთხილამურის უმცროსი ძმა - **შელონ მილერი.**

ექსპერტიზის შემდეგ გაირკვევა, რა გახდა სიკვდილის მიზეზი. სავარაუდოდ, ეს იყო ბუნებრივი სიკვდილი, კერძოდ, უმცროსმა მილერმა ინსულტი გადაიტანა.

შელონი სნოუბორდისტი იყო. 2005 წელს, ის მოტოციკლით ავარიაში მოხვდა, თავის ტრავმა მიიღო და 11 დღე კომაში იმყოფებოდა. გამოჯანმრთელების შემდეგ, კიბიდან გადავარდა, 20 მეტრი იფრინა და მიწაზე ზურგით დაეცა. 2012 წელს, შელონ მილერი ალასკაზე, სნოუბორდისტთა შეჯიბრებაში გამოდიოდა, ტრასაზე ცუდად დაეცა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამდენი ტრავმის მიუხედავად, უმცროსი მილერი არ ნებდებოდა და 2014 წლის ოლიმპიადაზე გამგზავრების კარგი შანსიც ჰქონდა, რადგან აშშ-ის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა...

● კრივი

# ფლოიდი რთული ბრძოლის მოლოდინში

ამერიკელმა მოკრივე **ფლოიდ მეივეზერმა**, რომელიც 4 მაისს ჩაატარებს საჩემპიონო ბრძოლას **რობერტ გერეროს** წინააღმდეგ, ჟურნალისტებს მოუყვა მომავალი მეტოქისა და ბრძოლისთვის მზადების პროცესზე.

*„თითქმის ერთი წელია, რინგზე არ გავსულვარ, ასე რომ, მოუთმენლად ველოდები ამ შეხვედრას. თვეზე ნაკლები დარჩა და ამიტომაც, ჩვეულებრივზე აღელვებული ვარ, - განაცხადა მეივეზერმა. - რობერტ გერერო ძალიან სერიოზული მეტოქეა, „კერკეტი კაკალი“. 4 მაისს თქვენ იხილავთ მოვლენებით დატვირთულ ბრძოლას“. მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი მოგებისთვის“.*


ფლოიდ მეივეზერი

მეივეზერისა და გერეროს ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართება და გათამაშდება WBC-ის ტიტული 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608